პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 63, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ. ) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

კვირა, 22 სექტემბერი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 219 (2565)

## დღიური

- საფრანგეთის კომპარტიის ცეკას პლენუმი.
- შუა-ევროპის კომუნისტური პარტიების კონფერენცია.
- გაიხსნა რეგულიარული მიმოსვლა ამერიკის და შავი ზღვის ნავთსადგურებს შორის.
- რიგიდან მოსკოვში გამოემგზავრა საბჭ. კავშირის ცაკ. სრულუფ. წარმომადგენელი ლატვიაში ლორენცი.
- ამხ. რიკოვი ხუთწლიანი გეგმის შესახებ.
- ამხ. ვოროშილოვი ბობრუისკის მანევრებზე.

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა ოქტომბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81.

## განსაკუთრებული ყურადღება სოფელს

### (ინდუსტრიალიზაციის სესხის კამპანიის გამო)

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მეოთხე ტირაჟმა, რომელიც ამჟამად თბილისში მიმდინარეობს, ცხოველი ინტერესი გამოიწვია მუშათა მასებში. მათთვის სულ უფრო ცხადი ხდება ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობა ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციისათვის, სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის. მათ კარგად ესმით, რომ მტრული კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში, როცა იმპერიალისტები ყოველნაირად ცდილობენ შეაფერხონ ჩვენი სამეურნეო განვითარება და ერთად-ერთ პროლეტარულ სახელმწიფოზე თავდასხმისათვის ემზადებიან—საბჭოთა კავშირის მშრომელებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ თავისი შინაური რესურსები მტრების შავი ზრახვების ალსაკვეთად და პროლეტარიატის დიქტატურისათვის მტკიცე ეკონომიური ბაზის შესაქმნელად.

ამ საშუალებებ შორის სახელმწიფო სესხების რეალიზაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს; ისინი ქმნიან მეტად საგრძნობ წყაროს ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის. ამიტომაცაა, რომ მუშა-მოსამსახურეთა შორის დიდი წარმატებით გავრცელდა ინდუსტრიალიზაციის პირველი და მეორე სესხის ობლიგაციები, ამიტომაცაა, რომ მესამე სესხის გასაღებაც ასეთივე წარმატებით მიმდინარეობს. ამ სესხის საკონტროლო ციფრები გადაჭარბებით იქნება დაფარული, თუ ჩვენ მუშაობას გავაძლიერებთ.

ამავე დროს ალსანიშნავია, რომ სოფელი ამ მხრივ მნიშვნელოვნად ჩამორჩა ქალაქს. ეს გარემოება ოდნავადაც არ აიხსნება იმით, თითქოს მშრომელი გლეხობა გაურბოდეს თავის მოვალეობის შესრულებას სახელმწიფოს წინაშე. მთავარი აქ ის არის, რომ სოფლად სესხების პოპულიარიზაციის და მისი გავრცელების საქმე დღემდე ძალზე სუსტადაა დაყენებული. გლეხობა ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ გარკვეული იმაში, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს სახელმწიფო სესხებს, როგორც მთლიანად სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის, ისე კერძოდ სასოფლო მეურნეობის გარდაქმნისა და გლეხობის კეთილდღეობის აწევისათვის. გლეხობამ კარგად არ იცის, თუ რა სარგებლობა მოაქვს სესხს მისი ობლიგაციების შემძენთათვის. ამავე დროს სესხის გასაღების ორგანიზაციული მხარეც მოუგვარებელია; ჩვენ დღემდე ვერ მოვახერხეთ მისი უშუალოდ მიწოდება გლეხისათვის.

ასეთ შეუწყნარებელ მდგომარეობას გადაჭრით უნდა მოუღოთ ბოლო. ინდუსტრიალიზაციის სესხის იდეა გასაგები უნდა გავხადოთ ყოველი გლეხისათვის თვით მივარდნილ სოფლებში და მისი ობლიგაციები ხელმისაწვდომი უნდა შეიქნეს.

ამ მიმართულებით უნდა გადაახალისოს თავისი საქმიანობა ფინაპარატმაც. ამ ამოცანის გადაჭრას ჯეროვანი ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა. სესხის პოპულიარიზაციის და მისი გავრცელების საქმეში აქტიურად უნდა ჩავაბათ ყველა სასოფლო ორგანიზაცია და კულტურული ძალები. საბჭოთა და კოლექტიურმა მეურნეობებმა, კოოპერაციამ, გლეხთა ურთიერთი დახმარების კომიტეტებმა, სხვადასხვა ნებაყოფლობითი საზოგადოებებმა ამ დარგში ენერგიული მუშაობა უნდა გააჩაღონ. ამ მიზნით უნდა ამოძრავდნენ სოფლის მასწავლებლობა და სხვა კულტურული მუშაკები. ღარიბი და საშუალო გლეხობა უნდა დავრაზმოთ ამ საკითხის გარშემო.

დიდი მნიშვნელობა აქვს სესხის გავრცელების ხელის შემწყობ კომისიების მუშაობას. ბევრგან ასეთი კომისიების შემადგენლობა ვერ იყო სათანადოთ შერჩეული და ისინი უფრო ქაღალდზე არსებობენ, ვინემ ნამდვილად რამეს აკეთებენ. საჭიროა ამას სერიოზული ყურადღება მიექცეს და ხსენებულ კომისიების მუშაობა გამოვაცოცხლოთ.

სესხის გავრცელების საქმეში შეჯიბრების მეთოდი ძალიან სუსტადაა გამოყენებული, ან სრულებითაც არ არის გამოყენებული. უნდა მოეწყოს შეჯიბრება სოფლებსა, სხვა და სხვა ორგანიზაციებსა და გლეხობის ცალკე ჯგუფებს შორის. ეს უეჭველად დიდ ნაყოფს გამოიღებს.

ამავე დროს ერთ გარემოებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ესაა კულაკების ცდა ჩაშალონ ჩვენი სახელმწიფო სესხების გავრცელების საქმე. როგორც ჩვენი მუშაობის და მშენებლობის ყოველ დარგში, ისინი აქაც სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევენ და სხვადასხვა პროვოკაციული ხრიკებით ლამობენ სახელი გაუტეხონ ჩვენს სესხებს და მათ შეძენაზე გლეხობას გული აუცრუონ. ჩვენ აქაც რკინის ხელით უნდა ავლაგმოთ კულაკები და ყველა ანტისაბჭოთა ელემენტები, რომელნიც არაფრის წინაშე არ ჩერდებიან ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ჩასაშლელად.

ყველა ამ ღონისძიების გატარებით, პირველ ყოვლისა კი მშრომელ გლეხობის საზოგადოებრივობის მობილიზაციით, ჩვენ აუცილებლად მივაღწევთ მიზანს — ინდუსტრიალიზაციის სესხის ფართოდ გავრცელებას გლეხთა მასებში.

მაგრამ არ კმარა მარტო სესხის რეალიზაცია. ამასთან გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ობლიგაციების ხანგრძლივად შენარჩუნებას მათ შემძენთა მიერ. ეს ერთნაირად ეხება როგორც ქალაქს, ისე სოფელს. ყველამ უნდა შეიგნოს, რომ მხოლოდ გრძელვადიანი კრედიტის განმტკიცება შეუწყობს ხელს იმ ამოცანების გადაჭრას, რომლებიც ჩვენს წინაშე დგანან. ამ მიმართულებით დაწყებული მუშაობა, რომელმაც ბოლო ხანებში უკვე საგრძნობი ეფექტი მოგვცა, მომავალში უფრო უნდა გავაძლიეროთ.

## სოციალისტური შეჯიბრება და სამეურნეო მუშაკები

სამეურნეო მშენებლობისა და სოციალისტური გარდაქმნის ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების შესრულებას აადვილებს და აჩქარებს მთელი რიგი ხელშემწყობი მომენტები. ამ მომენტებში ყველაზე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს გეგმიანობის ელემენტების განმტკიცებას ჩვენს მეურნეობაში და იმ აღურიცხავი რეზერვების გამოყენებას, რომლებიც მრეწველობას მოეპოვება. მაგრამ, გარდა ამისა, სახალხო მეურნეობის წინაშე მდგომი ამოცანების ძნელი და საპასუხისმგებლო ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად საჭიროა მუშათა მასების შემოქმედებითი ინიციატივა და თვითმოქმედება, რომელმაც უკვე ჰპოვა მკაფიო გამოხატულება სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ეს შეჯიბრება შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში მოედო საქართველოს საწარმოთა თვალსაჩინო უმრავლესობას. შეჯიბრებამ გამოააშკარავა მუშათა მასების მტკიცე ნებისყოფა დაბრკოლებათა გადასალახავად და მათი ნამდვილი ენტუზიაზმი.

მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრების დაწყებიდან მცირე დრო გავიდა და ეს მოკლე ვადა შვებულებათა პერიოდმაც შეამცირა, ადგილებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ შეჯიბრებამ მაინც თვალსაჩინო შედეგები გამოიღო. ეს შედეგები გამოიხატა უმთავრესად შრომის დისციპლინის განმტკიცებაში (სამუშაოს გაცდენისა და შინაგანი განწესის დარღვევის შემთხვევების შემცირება), შრომის ნაყოფიერების გადიდებაში, თვითღირებულების შემცირებაში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში და მთელ რიგ ანალოგიურ მომენტებში.

მაგრამ მასების ეს შემოქმედებითი აღფრთოვანება, რომელმაც ყველა დაბრკოლების მიუხედავად უკვე ხელშესახები შედეგები გამოიღო, შეიძლება სავსებით გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეჯიბრების საკითხის ირგვლივ დავრაზმავთ საწარმოთა ხელმძღვანელებისა და ტეხნიკური პერსონალის ყურადღებას. სამეურნეო მუშაკების ამოცანა ამ მხრივ იმაში მდგომარეობს—სათანადოდ მოაწყონ შეჯიბრების მატერიალური ბაზა.

შეჯიბრება უდიდეს ეფექტს გამოიღებს იმ შემთხვევაში, თუ სამეურნეო მუშაკების წინდახედულებითა და ენერგიით გადალახული იქნება შეჯიბრების გზაზე წამოჭრილი ყველა დაბრკოლება და სიძნელე. აქედან ცხადია, რომ მასების ამოძრავებასთან ერთად სამეურნეო მუშაკებმა უნდა მიიღონ საჭირო ღონისძიებათა მაქსიმუმი, უნდა გამოიჩინონ მაქსიმალური გეგმიანობა და ყურადღება სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობაში მისი უდიდესი წარმატებისათვის.

ამჟამად დროული და მიზანშეწონილია დაისვას საკითხი იმის შესახებ, თუ ჩვენს პირობებში სამეურნეო ორგანოებმა რა გააკეთეს სოციალისტური შეჯიბრების უდიდესი წარმატების უზრუნველსაყოფად. მიაქციეს თუ არა ამ საკითხს სამეურნეო მუშაკებმა საჭირო ყურადღება, სავსებით გადასჭრეს თუ არა მათ წინაშე მდგომი ამოცანა? გულახდილად უნდა ითქვას, რომ სამეურნეო ორგანოებს ამ სფეროში მეტად მცირე რამე აქვთ გაკეთებული. მეტის-მეტად ბევრია წერილობითი მითითებანი და განკარგულებანი, მეტის-მეტად ბევრია მიწერ-მოწერა, ხოლო თითქმის სრულებით არ სჩანს ცოცხალი მონაწილეობა ამ უაღრესად მნიშვნელოვან მუშაობაში. უმაღლეს მომწესრიგებელ ორგანოებს, და, მათ შორის ს. მ. უ. საბჭოს, დირექტივების გაცემის შემდეგ ერთხელაც არ შეუმოწმებიათ საქმით, თუ როგორ სრულდება ეს დირექტივები ადგილებზე.

ამავე დროს კი როგორც ხელმძღვანელ სამეურნეო ორგანოებს, ისე ადგილობრივი უშუალო ხელმძღვანელებს ეკისრებათ საპასუხისმგებლო ამოცანა — ფხიზლად ადევნონ თვალყური შეჯიბრების მიმდინარეობას, დაუყოვნებლივ სათანადოდ გამოეხმაურონ ყველა წამოჭრილ სიძნელეს, შეკრიბონ მასალა შეჯიბრების შედეგების შესახებ, ანალიზი გაუკეთონ მას და ამ ანალიზის საფუძველზე დასახონ სავსებით კონკრეტული ღონისძიებანი ეფექტის გასაძლიერებლად და შეჯიბრების ვიწრო ადგილების გადასალახავად. ჯერ-ჯერობით ამ მუშაობის ირგვლივ საჭირო რაოდენობით არ არის დარაზმული სამეურნეო მუშაკების ყურადღება.

და თუ დღემდე ასეთი იყო სამეურნეო მუშაკების დამოკიდებულება სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობისადმი, დღევანდელი დღის მორიგ პრაქტიკულ ამოცანას წარმოადგენს არსებული მდგომარეობის გამოსწორება. ამისათვის კი არსებობს რადიკალური საშუალება: მასების შემოქმედებით აღფრთოვანებას უნდა შევუერთოთ საწარმოთა და მრეწველობის მომწესრიგებელ ორგანოთა მთელი ხელმძღვანელი და ინჟენერ-ტეხნიკოსთა პერსონალის შეუსუსტებელი ყურადღება და გამძაფრებული ენერგია.

ვ. ქ.

# ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის ერთა ლიგაში გადატანის ცდა

## ნანკინი ცდილობს ამერიკის ბანკირები დააინტერესოს აღმ.-ჩინეთის რკინის გზით

### ხმებია, რომ ერთა ლიგა გერმანიას და იაპონიას მიანდობს მეთვალყურეობას ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის განვითარებაზე.

## ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტი

### ჩინეთის დელეგატები უკმაყოფილო არიან

**ჟენევა**, 20 სექტემბერი. ჩინეთის დელეგატები ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირის უკანასკნელი ნოტის გამო სჩივიან, რომ საბჭოთა დიპლომატია „ფართოდ სარგებლობს ჩინეთის დიპლომატიის ყველა შეცდომებით".

### ერთა ლიგის წრეები კონფლიქტის შესახებ

**ჟენევა**, 20 სექტემბერი. საფრანგეთის წრეებს ემჩნევა ტენდენცია, ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტი ერთა ლიგის მსჯელობის საგნათ გახადონ. მაგრამ ინგლისელებმა ნათლათ აგრძნობინეს ჩინელებს, რომ ისინი ამის წინააღმდეგ გაილაშქრებენ. ჩინელებიც გრძნობენ, რომ მდგომარეობა ლიგაში მათთვის არახელსაყრელ ხასიათს იღებს და ამავე დროს ერთა ლიგისათვის მიმართვით არ სურთ შეასუსტონ ამერიკის მხრივ დახმარების შანსები. (ადს).

**ჟენევა**, 20 სექტემბერი. ხმებია, რომ შესაძლოა — ლიგის საბჭომ იაპონიასა და გერმანიას დაავალოს თვალყურის დევნება, ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის განვითარებისათვის. ჩინეთის დელეგაციის წევრები აცხადებენ, რომ ერთა ლიგის დახმარების იმედი ძლიერ სუსტია. ისინი აგრეთვე თვლიან, რომ ჩინეთ-საბჭოთა მოლაპარაკება საბოლოოთ ჩაშლილათ ვერ ჩაითვლება. ჩინეთის დელეგატების სიტყვით, ნანკინი კიდევ ერთ ნაბიჯს გადასდგამს შეთანხმების მისაღწევათ. (ადს).

### უ-ჩაო-ჩუს იმედები

**ჟენევა**, 20 სექტემბერი. ჩინეთის დელეგაციის წრეები იუწყებიან, რომ ჩინეთის ელჩი შეერთ. შტატებში უ-ჩაო-ჩუ ცდილობს დააინტერესოს მორგანის ჯგუფი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ექსპლოატაციით. ეს ცდა უშედეგოთ დასრულდა, რადგან მორგანი თანახმაა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის კონტროლში მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ ევროპის საბანკო წრეებთან ერთად.

### გომინის ცნობა

**შანხაი**, 20 სექტემბერი. გომინის სააგენტოს ცნობით, საბჭოთა მთავრობის უკანასკნელი ნოტა ნანკინში ჯერ არ მოუღიათ. სააგენტო აღნიშნავს, რომ თუ პრესის ცნობა ნოტის შინაარსის შესახებ, სწორი აღმოჩნდა, საგარეო საქმეთა სამინისტრო მასზე პასუხს არ გასცემს, რადგან საბჭოთა მთავრობისა და ჩინეთის თვალსაზრისი გზის მმართველის დანიშვნის საკითხში დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ერთმანეთს. (ადს).

### მონღოლეთის მშრომელები — ჩინელ მილიტარისტების წინააღმდეგ

**ულან-ბატორი**, 20 სექტემბერი. მონღოლეთის პროფკავშირთა კრებამ ულან-ბატორში მიიღო რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს ომის საფრთხის წინააღმდეგ, კერძოდ კი გათავხედებულ ჩინელ მილიტარისტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საჭიროებას. (ადს).

## ინგლისის ანტი-ფრანგული მანევრი

### ხმელეთის ჯარების შემცირების მოთხოვნა

**ჟენევა**, 20 სექტემბერი. ერთა ლიგასთან არსებულ განიარაღების კომისიის სხდომაზე ინგლისის დელეგატმა სესილმა დაასაბუთა ინგლისის რეზოლიუცია განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის მეექვსე სესიის ზოგ დადგენილებათა გადასინჯვის შესახებ. სესილმა აღნიშნა, რომ კომისიის უკანასკნელ სესიებს არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამთ წინ განიარაღების დარგში, მეექვსე სესიამ კი განიარაღების საკითხებში უკან დაიხია — განიარაღების კონვენციიდან ისეთი ელემენტების გამორიცხვით, როგორიც არის, გაწვრთნილი რეზერვები. სესილი პირდაპირ არ მოითხოვდა ამ პუნქტის შეტანას კონვენციაში. მან დასვა კითხვა: „ხომ არ შეიძლება კიდევ რაიმე ზომების მიღება ხმელეთის ჯარების რიცხვის ან მათი სამსახურის ვადის პრაქტიკულად შესამცირებლად".

**კომისიის უმრავლესობამ გაილაშქრა სესილის წინადადების წინააღმდეგ იმ საბაბით, რომ „რადიკალური გადაწყვეტილებები ჩაფუშავენ განიარაღების საქმეს".**

გერმანიის დელეგატი ბერნსტორფი თანაგრძნობით შეხვდა სესილის წინადადებას. (ადს).

## საფრანგეთის შრომის უნიტარული კონფედერაციის ყრილობა

**პარიზი**, 20 სექტემბერი. სინდიკალისტური ლიგის ლიდერმა შამბელლანმა განაცხადა, რომ ის და მისი ამხანაგები დარჩებიან უნიტარულ ფედერაციაში, მან უმრავლესობას მიმართა თხოვნით—არ გამოიყენოს რეპრესიები უმცირესობის მიმართ. „ჩვენ ვფიქრობთ,—განაცხადა შამბელანმა,— რომ არც ომი და არც რევოლიუცია, უშუალოდ არ მოგველის ჩვენ. საჭიროა პროფკავშირების გაძლიერება და მათი გადახრა რეფორმიზმისაკენ".

შემდეგ რიბეტომ აცნობა ყრილობას, რომ შეერთ. შტატების ელჩმა უარი სთქვა თავის მთავრობისათვის ყრილობის იმ საპროტესტო რეზოლიუციის გადაცემაზე, რომელიც გასტონიის ფეიქართა გასამართლების წინააღმდეგაა მიმართული. ყრილობამ გადასწყვიტა—საპროტესტო დეპეშა გაუგზავნოს ჩრდ. კაროლინის შტატის მთავრობას.

შამბელის განცხადებაზე პასუხი გასცა პარრიემ. „თუ წინედ,— განაცხადა მან,— საჭირო იყო ბრძოლა პროფესიონალურ მოძრაობაში პოლიტიკური პარტიების ჩარევის წინააღმდეგ, ახლა მდგომარეობა შეიცვალა. კომპარტიამ კაპიტალიზმთან ბრძოლაში მასების ავანგარდის როლი მოიპოვა „დამოუკიდებლობისათვის" ბრძოლით. ოპოზიცია ფაქტიურად იბრძვის კომპარტიისა და რევოლიუციონური მოღვაწეობის წინააღმდეგ. ორი საშუალება არალეგალურ მდგომარეობაზე გადასვლისაგან თავის დასაღწევად. ერთი მდგომარეობს რევოლიუციონურ ამოცანებზე ხელის აღებაში და ამას ქადაგობს რეფორმისტული ოპოზიცია. მეორე მდგომარეობს პროფკავშირების გაძლიერებაში, რაც ამასთანავე ნიშნავს ბრძოლის გაძლიერებას მრეწველობისა და მთავრობისათვის ენერგიული და ძლევამოსილი წინააღმდეგობის გასაწევად. ამ გზაზე მიუთითებს რევოლიუციონური უმრავლესობა. ჩვენ გვჯერა, რომ მუშათა კლასი და ჩვენ ამ გზით მივდივართ" (ადს).

### რეფორმისტების მოკავშირეთა სასტიკი დამარცხება

**პარიზი**, 20 სექტემბერი. ყრილობის მეხუთე დღის დილის სხდომაზე მომხსენებელმა ჟიგტონმა წარმოსთქვა საბოლოო სიტყვა და შემდეგი აღნიშნა: შამბელენს სურს კონფედერაციის ლეგალობა გადაარჩინოს კაპიტულიაციის საშუალებით. უმრავლესობას კი ამ ლეგალობის უზრუნველყოფა სურს მასებთან მჭიდრო კავშირით, ბრძოლისათვის შეტევის ხასიათის მიცემით. კონფედერაციის ლოზუნგია: „ერთიანი ფრონტი რეფორმისტულ ბელადებთან ბრძოლის საფუძველზე". ჩვენთვის არსებობს ბრძოლის მხოლოდ ერთი გზა — ეს არის ლენინის გზა, რომლითაც მიდის საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი.

შუმახერის მიერ უმრავლესობის სახელით წარდგენილი რეზოლიუციამ მიიღო 1,512 ხმა, რომლებიც წარმოადგენენ 943 პროფორგანიზაციას; ამავე რეზოლიუციას შესწორებებით მხარი დაუჭირა ათმა დელეგატმა — 8 პროფორგანიზაციის წარმომადგენელმა; წინააღმდეგ — 215 ხმა, 148 პროფორგანიზაციის წარმომადგენელი; თავი შეიკავა — 215 (17 პროფორგანიზაცია).

## რენეგატი სტყუის

**ნიუ-იორკი**, 20 სექტემბერი. პარტიიდან გარიცხული რენეგატ ლოვსტონის იმ განცხადების საპასუხოდ, თითქო თავდასხმა ამერიკის კომპარტიის ცეკას ბინაზე მოაწყო პოლიტიკურმა პოლიციამ და დოკუმენტებიც მანვე გაიტაცა, ამერიკის კომპარტიის ცენტრ. საკონტროლო კომისიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ თავისი ვერსია ლოვსტონმა იმ მიზნით გამოიგონა, რომ დამალოს თავისი ქურდობა. ცენტრ. საკონტროლო კომისია აცხადებს, რომ 25 აგვისტოს ლოვსტონი შეიპარა ცეკას შენობაში და მოიპარა დოკუმენტები. ორი დღის შემდეგ ლოვსტონი შეუდგა მის მიერ მოპარული კომინტერნის დეპეშის გავრცელებას.

შემდეგ ცენტრ. საკ. კომისია აცხადებს, რომ როცა ლოვსტონმა შენიშნა პარტიული მასის აღშფოთება მისი საქციელის გამო, შეუთანხმდა სხვადასხვა რენეგატებსა და ჯაშუშებს, რომელიც დაემოწმენ მის ვერსიას; რომ პარტიული დოკუმენტები პოლიტიკური პოლიციის ხელშია. ცენტრ. საკონტრ. კომისია აცხადებს; რომ ლოვსტონის მიერ მოპარულ დოკუმენტების გამოკლებით; მთელი პარტიული არქივი ხელუხლებელია. (ადს).

## მდგომარეობა სამხრეთ სლავიაში

**ვენა**. ბელგრადის გაზეთების ცნობით. „რუსული კადეტთა კორპუსი" სარაევოდან (ბოსნია) ბელაია ცერკოვში (ბელგრადის ახლო) გადაიყვანეს. ეს ღონისძიება პოლიტიკური მოსაზრებით არის გამოწვეული, ვინაიდან ოპოზიცია სამხედრო დიქტატურის წინააღმდეგ თანდათანობით ძლიერდება, მთავრობას სურს ახლო იყოლიოს „საიმედო ნაწილები" (ს. დ. ს.).

### სამხრეთ-სლავიის ემიგრანტების საჩივარი

**ვენა**, სამხრეთ-სლავიის მთავრობის განკარგულებით დაშლილი რადიჩის პარტიის გენერალურმა მდივანმა გეორგ კრნევიჩმა თავისი პარტიის სახელით ერთა ლიგას საჩივარი გადასცა ხორვატიის ხალხის ეკონომიურად, კულტურულად და პოლიტიკურად შევიწროების წინააღმდეგ (კრნევიჩი კოშუკიჩთან — რადიჩის პარტიის ცეკას წევრთან—ერთად ამ რამდენიმე ხნის წინად უცხოეთში გაიპარა სამხრეთ-სლავიიდან). საჩივარში ნათქვამია, რომ სამხრეთ-სლავიის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს „თავიდან მოიცილოს რადიჩის პარტიის ახლანდელი ლიდერები — მაჩეკი, კრნევიჩი და კოშუტიჩი. მათი მოკვლა დავალებული ჰქონდა ქ. ზაგრების კომენდანტს გენერალ ბელიმარკოვიჩს. (ს. დ. ს.).

### მუშა-მოსამსახურეთა შევიწროება

**ვენა**. სამხრეთ-სლავიის მეფემ გამოსცა დეკრეტი ყველა იმ კანონების გაუქმების შესახებ, რომლებიც მუშა-მოსამსახურეთა უფლებებს შეეხებოდა. დეკრეტით რკინისგზელი და საფოსტო უწყების მუშა-მოსამსახურენი შეიძლება სამსახურიდან დაითხოვონ ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, რამდენი ხანიც არ უნდა ჰქონდეთ მათ ნამსახური. (ს. დ. ს.).

## კონსერვატიული პარტია

### საბჭოთა კავშირთან დაახლოვების წინააღმდეგია

**ლონდონი**, 20 სექტემბერი. კონსერვატიული პარტიის ყოველწლიურ კონფერენციაზე ნოემბერში შეტანილი იქნება რეზოლიუცია, რომლითაც კონსერვატიული პარტია დაადასტურებს თავის უარყოფით პოზიციას საბჭოთა კავშირთან დაახლოვების მიმართ. (ადს).

## იტალიის მთავრობის ხარჯები ჯაშუშობაზე

**პარიზი**. საფრანგეთის ანტიფაშისტურმა წრეებმა გამოაქვეყნეს საინტერესო ცნობები იმ თანხების შესახებ, რომელსაც იტალია ხარჯავს ჯაშუშობაზე და ფაშისტურ პროპაგანდაზე. სამხედრო ბიუჯეტიდან ამ მიზნებისათვის იხარჯება 781.500 ლირა (ოქროს ლირა უდრის 37 ნახევარ კაპიკს). შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტით გათვალისწინებულია შემდეგი თანხების დახარჯვა ამავე მიზნებზე. 4 ნახ. მილიონი ლირა ფაშისტური პროპაგანდისათვის პრესაში, 1 მილიონი — ბავშთა ფაშისტური ორგანიზაციის „ბალილა"-სათვის, 3 მილიონი ლირა ნავარაუდევია „საიდუმლო ხარჯებისათვის", პირველ რიგში ფაშისტური პროპაგანდისათვის უცხოეთში და, დაბოლოს, 30 მილიონი ლირა გადადებულია „პოლიტიკური გამოკვლევისათვის".

საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტით, ოფიციალურად, „საიდუმლო ხარჯები" 1.200.000 ლირას არ აღემატება, სინამდვილეში კი—გაცილებით მეტია. 2.400.000 ლირა გადადებულია „შემთხვევითი ხარჯებისათვის", ხუთი მილიონი—„საერთაშორისო ხასიათის საიდუმლო ხარჯებისათვის" 1 მილიონი — პროპაგანდისათვის უცხოეთში 40.000 ლირა—სტიპენდიების მისაცემად სტუდენტებისათვის დალმაციაში (ს. დ. ს.).

## საფრანგეთის კომპარტიის ცეკას პლენუმი

### მოიწონეს კომინტერნის აღმასკომის ცეკას 10 პლენუმის ყველა გადაწყვეტილებები

**პარიზი**, 20 სექტემბერი. შესდგა საფრანგეთის კომპარტიის ცეკას პლენუმი, რომელმაც მოისმინა მოხსენება კომინტერნის აღმასკომის მე-10 პლენუმის შესახებ. მიღებული რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ საფრანგეთის კომპარტია სავსებით ეთანხმება მეათე პლენუმის ყველა დადგენილებებს. გადაწყდა — მიღებულ იქნეს ყველა ზომები ამ დადგენილებათა ფართო პოპულიარიზაციისათვის.

ბიუმ პლენუმზე გააკეთა მოხსენება ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციების მომავალი ყრილობის შესახებ. საფრანგეთის კომკავშირის წინაშე ამჟამად შემდეგი ამოცანები სდგას: პოლიტიკური ხასიათის მიცემა ანტისამხედრო მუშაობისათვის, ბრძოლა „ეკონომიზმთან", ჯარისკაცთა მოთხოვნილებები და მუშა-ახალგაზრდობის ნაციონალური ყრილობის მოწვევა.

სემარმა პლენუმს გააცნო უკანასკნელი ამბები და მდგომარეობა პარტიაში. მან მიუთითა სიძნელეთა ზრდაზე, კლასობრივი ბრძოლის გამწვავებაზე, რეფორმისტ მუშათა ფართო კადრების ჩაბმაზე კლასობრივ ბრძოლაში და საფრანგეთის იმპერიალიზმის აშკარად დაცვაზე სოციალ-დემოკრატიის მიერ. სემარის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში აღნიშნეს,—პარტიის სისუსტე, რაც იმაში გამოიხატება, რომ საკმაო ენერგიით არ სწარმოებს ბრძოლა სოციალ-დემოკრატიასთან. ამჟამად საჭიროა მთელი ძალების შემოკრება პარტიის ლეგალობისათვის საბრძოლველად. მიუთითებდნენ აგრეთვე საორგანიზაციო მუშაობის ცუდ მდგომარეობაზე, რის გამო, დადგენილებათა შესრულება ადგილებზე მოიკოჭლებს.

პლენუმმა მოიწონა პარტაპარატის, განსაკუთრებით—„ლუმანიტე"-ს აპარატის წმენდა და აგრეთვე საჭიროდ სცნო რედაქციის შედგენა უფრო გამობრძმედილ, იდეოლოგიური თვალსაზრისით უფრო ერთსულოვან ამხანაგებიდან.

პირველი აგვისტოს შედეგების საკითხი დასმული იქნება ცეკას უახლოეს პლენუმზე.

უკანასკნელი მოხსენება გააკეთა მონმუსომ შრომის უნიტარული კონფედერაციის ყრილობის შესახებ, მონმუსომ აღნიშნა, რომ ოპოზიციონური ელემენტები თავს იყრიან სინდიკალისტური ლიგის რეფორმისტულ-ანტიკომუნისტური პლატფორმის გარშემო. უმცირესობა ობიექტიურად განხეთქილებისაკენ ილტვის (ადს).

## შუა-ევროპის კომუნისტური პარტიების კონფერენცია

**ბერლინი**, 20 სექტემბერი. შესდგა შუა-ევროპის კომპარტიების საერთაშორისო კონფერენცია, რომელმაც განიხილა ავსტრიაში ფაშისტური საფრთხის გაძლიერების საკითხი.

კონფერენციაზე, რომელიც კომინტერნის დასავლეთ-ევროპის ბიურომ მოიწვია, დაესწრო შუა-ევროპის კომპარტიების 47 წარმომადგენელი, მათ რიცხვში ავსტრიის, გერმანიის, ჩეხო-სლოვაკიის, იტალიის, სამხრეთ-სლავიის, უნგრეთის და შვეიცარიის კომპარტიების, კომპარტიის ბალკანეთის ფედერაციის, კომუნისტური ახალგაზრდობის ინტერნაციონალის, წითელ-ფრონტელთა კავშირის, პროფინტერნისა და ცალკე პროფკავშირების წარმომადგენლები.

კონფერენციამ დაადგინა — ევროპის ყველა ქვეყნების მუშებს შორის ჩაატაროს საერთაშორისო კამპანია ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ავსტრიის პროლეტარიატთან ერთად, ავსტრიის მუშათა კლასისათვის მატერიალური და იდეური დახმარების აღმოსაჩენად ავსტრიაში ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კონფერენციამ, სხვათა შორის, საჭიროდ სცნო საერთაშორისო კომიტეტის შექმნა ავსტრიის ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. (ასდ).

## გერმანელმა ფაშისტებმა თავი წამოჰყვეს

**ბერლინი**, ავსტრიაში მომხდარ უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით, გერმანელმა ფაშისტებმა საგრძნობათ გააძლიერეს მუშაობა. „ფოლადის მუზარადის" ხელმძღვანელმა დისტერბერგმა ლიუნებურგში ფაშისტთა შეკრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ „ფოლადის მუზარადი" გულხელდაკრეფილი არ დარჩება". ასეთივე შინაარსის სიტყვით დისტერბერგი გამოვიდა ბრაუნშვეიგში. ლიუნებურგში, სადაც ადგილი ჰქონდა რამდენიმე აფეთქებას, რომლებიც, როგორც სჩანს, ფაშისტებმა მოაწყვეს, მოსახლეობა დაშინებულია; ფაშისტებს თავხედურათ უჭირავთ თავი. „ფოლადის მუზარადი" წევრებმა თავს დაესხნენ მუშათა დემონსტრაციას და დაარბიეს კომპარტიის კომიტეტის ბინა. (ს. დ. ს.).

## „მუშათა კულტურის საზ-ბის" მოწოდება

**ბერლინი**. გერმანიის „მუშათა კულტურის საზოგადოება"-მ, რომელშიაც შედიან ლიტერატურისა და ხელოვნების მრავალი მემარცხენე წარმომადგენლები, მათ შორის ცნობილი მწერალი **იოჰან ბიზერი**, რეჟისორი ერვინ პისკატორი და სხვები, გერმანიის ყველა პროლეტარულ კულტურულ ორგანიზაციებს მიმართა მოწოდებით. მოწოდებაში აღნიშნულია მემარცხენე პროლეტარული კულტურის ყველა ძალების მობილიზაციის საჭიროება რეაქციონური კინოცენზურის, მემარცხენე მწერლების ნაწარმოებთა აკრძალვისა და ბურჟუაზიული პრესის წინააღმდეგ საბრძოლველად (ს. დ. ს.).

## გადაფრენა მოსკოვი-ნიუიორკი

### შეერთ. შტატების საზღვაო უწყების დახმარება

**ვაშინგტონი, 20 სექტემბერი. შეერთ. შტატების საზღვაო უწყება იუწყება, რომ მზად არის ხელი შეუწყოს „საბჭოთა ქვეყნის" გადაფრენას წყნარ ოკეანეზე**; ალიასკის საზღვაო რადიო-სადგური პირველი მოთხოვნისთანავე შეუდგება ამინდის შესახებ ცნობების გადაცემას ყოველ ოთხ საათში.

## „ინტელექტუალური" კონგრესი ბარსელონაში

**მადრიდი**. 15-16 ოქტომბერს ბარსელონაში (ესპანეთი) შესდგება „ინტელექტუალური კავშირების ინტერნაციონალური ფედერაციის" კონგრესი. კონგრესის დღის წესრიგის მთავარი საკითხია — „კულტურის ვულგარიზაცია". ფრანგი სენატორი ანატოლ დე-მონზი კონგრესზე გააკეთებს მოხსენებას „კულტურის დემოკრატიული კონცეპციის შესახებ", ინგლისის დელეგატი კი — „კულტურის არისტოკრატიული კონცეპციის შესახებ". კონგრესს 200-მდე კაცი დაესწრება (ს. დ. ს.).

## სკანდინავიის მუშათა დელეგაციის დეკლარაცია

**მოსკოვი**, 21 სექტემბერი. სკანდინავიაში დაბრუნების წინ სკანდინავიის მუშათა დელეგაციამ, რომელმაც საბჭოთა კავშირში იმოგზაურა საკავშირო პროფსაბჭოს გადასცა განსაკუთრებული დეკლარაცია. დეკლარაციაში ნათქვამია შემდეგი: „იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირის მშრომელთა მილიონიანი მასები სოციალიზმს აშენებენ, იმპერიალისტურ სახელმწიფოებში მზადდება ომი, პირველ რიგში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. **სკანდინავიის მუშათა დელეგაცია პირდება საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებს, რომ მთელი ძალღონით და საშუალებით იბრძოლებს ომის მზადების წინააღმდეგ და მშრომელთა ერთად-ერთი სამშობლოს დასაცავად.** (ადს).

## ხის დამმუშავებელთა საერთაშორისო გაერთიანების კონგრესის შედეგები

**მოსკოვი**, 21 სექტემბერი. ხის დამმუშავებელთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ცნობები ხის დამმუშავებელთა საერთაშორისო გაერთიანების კონგრესის მუშაობის შესახებ. კონგრესის ხელმძღვანელებმა სასტიკად გაილაშქრეს ინგლისის მეავეჯეთა და ფინეთის ხის დამმუშავებელთა წინააღმდეგ იმის გამო, რომ მათ მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება დასდეს საბჭოთა კავშირის ხის დამმუშავებელთა კავშირთან. კონგრესმა აღნიშნულ კავშირებს მისცა ვადა 1930 წლის 1 დეკემბრამდე და მოსთხოვა ამ ვადისთვის გააუქმონ ზემოდასახელებული ხელშეკრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ემუქრებიან გაერთიანებიდან გამორიცხვით. **ინგლისის მეავეჯეებმა განაცხადეს, რომ ისინი კატეგორიულად უარყოფენ საბჭოთა კავშირის ხის დამმუშავებელთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტას.** ფინეთის დელეგაციამ მოითხოვა, რათა ამ საკითხის გადაწყვეტა გადაეცეს ფინეთის ხის დამმუშავებელთა მომავალ კონგრესს. (ადს).

## გადასვლა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე

**მოსკოვი**, 21 სექტემბერი. საწარმოებისა და დაწესებულებების განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადამყვანმა მთავრობის კომისიამ, რომელიც შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებობს, დაადგინა, რომ სახამ დაწესებულებათა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლის 1929-30 წლის სრული კალენდარული გეგმა შესდგებოდეს, ს. მ. უ. საბჭომ უნდა დააჩქაროს განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადაყვანა, პირველ რიგში, სათბობი, სამთა-მადნო, სასოფლო-სამეურნეო, მანქანათმშენებლობის, საამშენებლო მასალის, ძირითადი ქიმიური მრეწველობის, შავი და ფერადი მეტალურგიის ცეხებისა, რომლებიც ჯერ კიდევ არ აწარმოებენ განუწყვეტელ მუშაობას, აგრეთვე საწარმოთა იმ ცალკე ცეხებისა, რომლებიც წარმოების სუსტ ადგილებს წარმოადგენენ, თუ განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლა მუშათა რიცხვის გადიდებას ან დეფიციტიანი ნედლეულის და ნახევარფაბრიკატის დამატებით მიწოდებას მოითხოვს, მაშინ გადასვლა შეიძლება მოხდეს მხოლოდ საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს ნებართვით და შესაფერ პროფკავშირებთან შეთანხმებით. დეფიციტიანი ნედლეულის მომხმარებელ მრეწველობაში, როგორიცაა მანქანათსაამშენებლო, ელექტროტეხნიკური, საფეიქრო, ტყავის, ფეხსაცმელის და საკვები მასალის მრეწველობა, კალენდარული გეგმის შედგენამდე განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადასვლა შეიძლება მოხდეს მხოლოდ ს. მ. უ. საბჭოს ნებართვით და სათანადო კავშირთან შეთანხმებით. (ადს).

## პროფკავშირების მონაწილეობა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაში

**მოსკოვი**, 21 სექტემბერი. საკავშირო პროფსაბჭოს სოფლად მუშაობის კომისიამ შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია პროფკავშირების მონაწილეობის გაძლიერება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაში, რადგან ბამბისა და კანაფის მეურნეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ამიტომ საჭიროა მჭიდრო კავშირი გაიბას სამრეწველო ცენტრების მუშათა და მებამბეობისა და მეკანაფეობის რაიონებს შორის და ფართო დახმარება აღმოუჩინოს აღმოსავლეთის დეხკანობას, აგრეთვე შეიქმნას ფეიქარ მუშების საზოგადოება, რომელიც ხელს შეუწყობს ბოჭკოვანი კულტურების კოლექტივიზაციის განვითარებას. (ადს).

## ამხ. რიკოვი

### ხუთწლიანი გეგმის შესახებ

(ტელეგრაფით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

**მოსკოვი**, 21 სექტემბერი. დღეს, 21 სექტემბერს, მოსკოვის საბჭოთა საოლქო ყრილობაზე საკავშირო მთავრობის სახელით ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ა. რიკოვმა, რომელმაც განაცხადა:

**„საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა სავსებით რეალური აღმოჩნდა. გეგმის შესრულების პირველ წელშივე აშკარად გამოირკვა, რომ წარმოებათა მთელ რიგ დარგში დასახულ ამოცანებს მუშათა კლასი გადასჭრის გაცილებით უფრო მოკლე ხნის განმავლობაში, ვიდრე ეს ხსენებული გეგმით არის ნავარაუდევი."**

დელეგატები მქუხარე ტაშის ცემით შეეგებნენ ამხ. ა. რიკოვის ამ განცხადებას.

## მოხალისეთა სამხედრო მომზადება

### თავდაცვა-ავიაქიმის მიმართვა მოხალისეებისადმი

**მოსკოვი**, 21 სექტემბერი. თავდაცვა-ავიაქიმის მიმართვაში მოხალისეებისადმი ნათქვამია:

„ჩინეთის მილიტარისტებსა და თეთრგვარდიელთა ნაშთების ყოველივე ცდას შემოიჭრან საბჭოთა კავშირის საზღვრებში, შორეული-აღმოსავლეთის განსაკუთრებული არმია გამანადგურებელ პასუხს აძლევს. საჭირო მომენტში, ამხანაგო მოხალისენო, მთავრობა გაგიწვევს თქვენ არმიის რიგებში. ამასთან დაკავშირებით, რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს დადგენილების თანახმად, საჭიროა პირველ რიგში აღრიცხული იქნას მოხალისეთა ყველა ძალა, რაც უნდა ჩატარდეს თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედებისა და სარაიონო საბჭოების საშუალებით, რათა ერთი წვეთი სისხლიც არ დაიღვაროს უმიზეზოდ, მზად უნდა ვიყოთ არა მარტო თავგანწირვისათვის, არამედ წინდაწინ უნდა შევაიარაღოთ, როგორც საჭიროა სამხედრო საქმის ცოდნით.

სამხედრო საქმე სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ. ბევრი მოხალისე, ყოფილი მეთაურები, პარტიზანები და წითელ არმიელები ძლიერ ჩამორჩნენ მომზადების მხრით. ახალგაზრდობის კიდევ უფრო მეტი ნაწილი სრულებით არ იცნობს სამხედრო საქმეს. ამიტომ შეავსეთ თავდაცვა-ავიაქიმის რიგები თვითმოქმედებისა და ინიციატივის საფუძვლებზე და იბრძოლეთ სამხედრო ცოდნის შესაძენად". (ადს).

## ამხ. ვოროშილოვი ბობრუისკის მანევრებზე

**ბობრუისკის მანევრების რაიონი**, 21 სექტემბერი. მანევრების მსვლელობისათვის თვალყურის დევნების მიზნით ჩამოსულმა ამხ. ვოროშილოვმა ინახულა მანევრებში მონაწილე ჯარის ნაწილები. წითელარმიელებთან საუბრის დროს ამხ. ვოროშილოვს აინტერესებდა წითელ არმიელების მიერ თავიანთი ამოცანების გაგება. ამხ. ვოროშილოვი მონაწილეობას იღებდა „ბრძოლაში" როგორც უბრალო მებრძოლი.

## უმცირესობის მოძრაობის კონგრესი

(წერილი ინგლისიდან)

### რა პირობებში შესდგა კონგრესი

ყოველი ინტერნაციონალისტი რევოლიუციონერისათვის ცხადია ინგლისის მუშათა უმცირესობის მოძრაობის მნიშვნელობა. მისმა მეექვსე წლიურმა ყრილობამ გაარჩია ურთულესი პრობლემები და მოქმედების გეგმა შეიმუშავა. ეს ყრილობა უკიდურესად კრიტიკულ პირობებში შეიკრიბა. გარეთ — ბრძოლა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის წინააღმდეგ, რევოლიუციონური მუშების დევნა ინდოეთში, ჩაგვრის გაძლიერება კოლონიებში; შიგნით — კონფლიქტი საფეიქრო ინდუსტრიაში, კაპიტალისტური რაციონალიზაციის გეგმების განვითარება, „მუშათა" მთავრობის შედგენა, ტრედუნიონების გენერალური საბჭოს გაერთიანებული იერიშები მუშათა მოძრაობის მებრძოლი ელემენტების წინააღმდეგ.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ 800 დელეგატმა, რომელმაც შერედიტში მოიყარა თავი, დიდი აღფრთოვანება და თავგამოდება გამოიჩინა არა მარტო იმ უმაგალითო თავდასხმის უკუგდებაში, რომელსაც რეფორმისტული ბიუროკრატია აწარმოებს, არამედ აგრეთვე სისტემატიური რევოლიუციური ბრძოლის ორგანიზაციაშიც. არა ერთი და ორი, არამედ რამდენიმე ათეული ორატორი ავიდა დარბაზის ტრიბუნაზე, რათა ყრილობა გაეფრთხილებია, რომ კენჭის ყრით მიღებული რეზოლიუცია არ უნდა დარჩეს მარტო ქაღალდზე, არამედ უშუალო მოქმედებათ უნდა განხორციელდეს.

ამ ადამიანების უდიდესი შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ მათ საკმაოდ ხელი არ შეუწყვეს საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების განვითარებას, ეს კომიტეტები კი სწორეთ უმცირესობის მოძრაობის მტკიცე საძირკველად უნდა გადაქცეულიყო. ეს ცხადი გახდა საფეიქრო ინდუსტრიაში მომხდარი კონფლიქტის დროს, როცა აღმოჩნდა, რომ უმცირესობის მოძრაობას სუსტა კონტაქტი ჰქონია მუშათა მომქმედ ორგანიზაციებთან. ამ უდიდეს შეცდომას ის შედეგი მოჰყვა, რომ უმცირესობის მოძრაობამ ვერ შესძლო ხელში სადავეები ჩაეგდო დღეს, როცა მუშები აჯანყებული არიან რეფორმისტული ბიუროკრატიის და მუშათა მთავრობის ღალატით და ხელმძღვანელობენ ხელფასის შემცირების გამო დაწყებულ ბრძოლაში.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ მწარე გაკვეთილმა თავისი გავლენა იქონია.

გარდა ამისა, უმცირესობის მოძრაობას მძიმე ტვირთად აწევს ერთი თანდაყოლილი ცოდვა, რომლისაგანაც რამდენიმედ არც ინგლისის კომპარტიაა თავისუფალი. ვერც წევრებმა და ვერც მეთაურებმა ვერ შესძლეს განთავისუფლებულიყვნენ ტრადიციული ტრედუნიონისტული სულისაგან, რომელშიც ისინი აღზრდილნი არიან უმეტეს შემთხვევაში. ეს სული მათ ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი, როგორც ერთხელ ჰორნერმა სთქვა, მათი აზროვნება არაა „პოლიტიკური". მაგრამ უკვე სჩანს ნიშნები, რომ ისინი თავისუფლდებიან ცალმხრივ ტრედუნიონისტული აზროვნებისაგან.

ამ მხარეს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ზოგიერთმა დელეგატმა. — ჩვენ პოლიტიკურად უნდა ავღზარდოთ მასები, პოლიტიკური აზრი უნდა მივსცეთ სამრეწველო კონფლიქტებს, მასსათა მოძრაობათ ვაქციოთ ნაწილობრივი ხასიათის გაფიცვებით,—ამბობდნენ ისინი.

ინგლისის რევოლიუციონურ მოძრაობას კიდევ ერთი დიდი ნაკლი აქვს. მას არ მოეპოვება ყოველდღიური გაზეთი და ამიტომ მისი კავშირი მასსებთან შესუსტებულია.

### „მუშათა" მთავრობის იმპერიალიზმი

„მუშათა" მთავრობის შედგენას მოჰყვა რეპრესიების და ექსპლოატაციის პოლიტიკის გაძლიერება კოლონიებში. ამ მთავრობამ თავისი თავი ბრიტანეთის იმპერიალიზმის ფალავნად გამოაცხადა. ბრიტანეთის იმპერიალიზმი კი დღეს ისეთ გაჭირვებას განიცდის, როგორც არასოდეს განუცდია. მისი ძლიერება სუსტდება სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით ამერიკასთან, შედარებით, რაციონალიზაციის ღონისძიებათა შემოღებამ გაადიდა ინგლისის წარმოების ნაყოფიერება, ეს გარემოება კი ამწვავებს ბრძოლას დიდი საახალშენო და კოლონიური ბაზრებისათვის და ნედლი მასალის ახალი წყაროების დასაპყრობად. მოქიშპეების დასაძლევად ინგლისის კაპიტალიზმი ცდილობს შეამციროს ინგლისელი მუშის საცხოვრებელი მინიმუმი და იგი კოლონიური მუშის დონემდე დაიყვანოს. ეს ნათელი გახდა ლანკაშირის კონფლიქტის დროს, როცა პატრონების მთავარი საბუთი ხელფასის შესამცირებლად ის იყო, რომ ინდოეთის და ჩინეთის ფეიქრებს მცირეოდენ ხელფასს აძლევენო. იმავე დროს ინგლისის კაპიტალიზმს დაუცხრომელი იერიშები მიაქვს სამუშაო პირობების წინააღმდეგ კოლონიებში. ბომბეის მუშათა ბრძოლა დაკავშირებულია ლანკაშირის ბრძოლასთან.

ამ შეტევაში ინგლისის იმპერიალიზმს საუცხოვო დახმარებას უწევს ტრედუნიონისტური ბიუროკრატია და „მუშათა" მთავრობა.

### ომის საფრთხე

ჩინელ მილიტარისტების მიერ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელთ ჩაგდება, „მუშათა" მთავრობის უარი დიპლომატიური ურთიერთობა აღადგინოს საბჭოთა კავშირთან, შეთანხმება ჩინეთის გენერლებთან ჩინეთის ფლოტის რეორგანიზაციის მოსახდენად, — ყოველივე ეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯებია. მეორე მხრით ინგლისი და საფრანგეთი, რომელთაც ეშინიათ ხუთწლიანი გეგმის წარმატებისა, აქტიურ დახმარებას უწევენ ფინეთის, ესტონეთის, პოლონეთის, რუმინეთის, და სხვ. შეიარაღებას; ინგლისის იმპერიალიზმი იწვევს კონტრ-რევოლიუციას ავღანისტანში, აღვივებს აჯანყებას სპარსეთში და სამხედრო და საჰაერო ბაზისებს ჰქმნის ინდოეთსა და მესოპოტამიაში. ყოველივე ეს კეთდება იმის მოლოდინში, რომ ადრე თუ გვიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სამხედრო შეტევა უნდა დაიწყოს.

უმცირესობის მოძრაობა, რომელიც შეშფოთებულია ამ სამზადისით და გამსჭვალულია ვალდებულების შეგნებით საბჭოთა კავშირის მიმართ, საჯაროთ აცხადებს, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს მუშათა რესპუბლიკების კავშირს. მაგრამ ომის საფრთხე დაკავშირებულია მსოფლიო იმპერიალიზმის დღევანდელ კრიზისთან, რომელმაც ჰააგაში განსაკუთრებით მწვავეთ იჩინა თავი. ინგლისის იმპერიალიზმის მდგომარეობა იმდენად სახიფათოა, რომ „მუშათა" მთავრობას, „მუშათა" პარტიას და ტრედუნიონისტულ ბიუროკრატიას დიდი თავგამოდება სჭირიათ, რომ მუშათა კლასი ეგრეთწოდებული სამრეწველო ზავის და მონდიზმის შემწეობით იმპერიალიზმის გეგმების განხორციელებას დაუმორჩილონ.

### ბრძოლა რაციონალიზაციის წინააღმდეგ

შეუძლებელია ბრძოლა იმპერიალიზმისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ გამოთიშულ იქნას რაციონალიზაციის საწინააღმდეგო ბრძოლისაგან, მიტომ რომ თვით რაციონალიზაცია ერთი ნაწილია ომის სამზადისისა.

სხვადასხვა მიზეზის გამო რაციონალიზაციის ღონისძიებათა განვითარება ინგლისში ჩამორჩა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში მიღებულ ღონისძიებათ. მაგრამ უეჭველია, რომ „მუშათა" მთავრობის და ტრედუნიონების შემწეობით ამ ღონისძიებათა განხორციელება ჩქარის ნაბიჯით წავა წინ. უმცირესობის მოძრაობამ ამ საკითხის შესახებ გამოაქვეყნა დაწვრილებითი მოხსენება: ხელფასის შემცირება, სამუშაო დღის გადიდება, უბედურ შემთხვევათა გახშირება, დედაკაცების და ბავშვების რიცხვის ზრდა მრეწველობაში,—აი რა შედეგი მოსდევს კაპიტალისტურ რაციონალიზაციას. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია რაციონალიზაციის პოლიტიკური შედეგები: ესაა კაპიტალისტური მონოპოლიების განვითარება, ტრესტებისა და სახელმწიფოს ურთიერთშორის გადახლართვა, შუღლის გაძლიერება კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის ბაზრებისთვის ბრძოლის გამო, კოლონიური ერების ჩაგვრის გამწვავება და სხ. „მუშათა" მთავრობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინგლისის ინდუსტრიის რაციონალიზაციაში. რეფორმისტების ბელადები ცდილობენ რაციონალიზაციის საშინელი შედეგები მიჩქმალონ იმ ყალბი მოსაზრებით, რომ იგი მუშათა კლასის ცხოვრების დონეს აამაღლებსო. ერთსა და იმავე დროს „მუშათა" მთავრობა ამძაფრებს თავის იერიშებს რევოლიუციონური მუშების წინააღმდეგ, ხოლო ტრედუნიონების გენერალური საბჭო ანხორციელებს ინდუსტრიული ზავის პოლიტიკას, მეგობრულ ურთიერთობას ამყარებს და მოლაპარაკებას მართავს კაპიტალისტურ ორგანოებთან, უარს ამბობს პროფესიონალურ ბრძოლაზე და სისტემატიურად ღალატობს მუშათა კლასს „კვლევა ძიების კომისიებსა", „მორიგების კომისიებსა" და „სავალდებულო არბიტრაჟის კომისიებში".

უმცირესობის მოძრაობის ყრილობამ მთელი პროგრამა მიიღო რაციონალიზაციის წინააღმდეგ. ეს პროგრამა კაპიტალისტების მოთხოვნილებათა საწინააღმდეგოთ არდგენს მთელს რიგს მოთხოვნებს.

### უმუშევრობა

უმუშევართა ეროვნული მოძრაობის მდივანმა ჰენინგტონმა მოხსენება წარმოადგინა უმუშევართა მდგომარეობაზე და მოითხოვა, რომ უმცირესობის მოძრაობამ ვიწრო კავშირი დაამყაროს უმუშევართა მოძრაობასთან, რათა კაპიტალისტების კლასს ხელი შეუშალოს უმუშევართა არმიის გამოყენებაში მომქმედი პროლეტარიატის წინააღმდეგ და რათა დაიცვას „უმუშევართა ქარტია", რომელიც უკვე გამოქვეყნებულ იქნა.

### უმცირესობის მოძრაობის მიზნები

უმცირესობის მოძრაობის უმთავრესი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ მან დამოუკიდებელი ბრძოლა უნდა აწარმოოს კაპიტალისტებისა და მათი მოკავშირეებისა, ე. ი. „მუშათა" მთავრობისა და ტრედუნიონისტული ბიუროკრატიის წინააღმდეგ. ძველი ფეტიშები, „კონსტიტუციური მოქმედება", „შეთანხმების პატივისცემა", „ლეგალური ტრედუნიონიზმი" და სხვ. უნდა მოისპოს. ეს ნიშნავს მუშათა ყოველდღიური ბრძოლის დამოუკიდებლათ წარმოებას, გაფიცვების ორგანიზაციას მომქმედ კომიტეტების ხელმძღვანელობით, შეკავშირებული და შეუკავშირებელი მუშების გაერთიანებას და სხ.

ჯ. დავიდ,

ლონდონი, 10 სექტემბერი.

# სოციალიზმის მშენებლობა და ზრდის წინააღმდეგობანი

## ამხ. მოლოტოვის

## მოხსენება მოსკოვის პირველ საოლქო პარტკონფერენციაზე 1929 წლის 14 სექტემბერს

### კაპიტალისტური მსოფლიო და საბჭოთა კავშირი

— ამხანაგებო! რაც უნდა ღრმად არ ჩავეფლათ სამეურნეო საქმეებში, პროლეტარული რევოლუციის ძირითად პერსპექტივების საკითხი ყოველთვის რჩებოდა და რჩება ჩვენი ყურადღების ცენტრში. მსოფლიო კაპიტალიზმის სულ უფრო და უფრო გამწვავებული კრიზისის პირობებში ამ საკითხს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. სოციალიზმის მშენებლობა საბჭოთა კავშირში იმ დროს სწარმოებს, როდესაც კაპიტალისტური მსოფლიო სულ უფრო და უფრო ირყევა, როდესაც მასში სულ უფრო და უფრო იზრდებიან და მწვავდებიან მისი დამრღვევი წინააღმდეგობანი. ამასთან დაკავშირებით ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ კომინტერნის აღმასკომის მე-10 პლენუმის შემდეგ მითითებას: „მიუხედავად იმისა, რომ იმპერიალისტური ბანაკის შიგნით ადგილი აქვს მეტოქეობას და გააფთრებულ ბრძოლას, **ძირითადი მსოფლიო წინააღმდეგობა** (ხაზი ამხ. მოლოტოვის) კაპიტალისტურ მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირს შორის, ამ ორ პრინციპიალურად ერთმანეთის საწინააღმდეგო სამეურნეო-პოლიტიკურ სისტემას შორის, თანდათან უფრო მწვავდება. იმპერიალისტების თავდასხმა საბჭოთა კავშირზე წარმოადგენს **მთავარ საფრთხეს** (ხაზი ამხ. მოლოტოვის). როგორ იხახება სინამდვილეში ძალთა განწყობილება კაპიტალისტურ მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირს შორის? ჩვენი ძალები, რამდენადაც ლაპარაკია ტეხნიკასა და არსებულ ეკონომიურ რესურსებზე, თვალსაჩინოდ უფრო სუსტია იმაზე, რაც მოეპოვება კაპიტალისტურ მსოფლიოს და ზოგიერთ ცალკე კაპიტალისტურ ქვეყნებსაც კი. მაგრამ, თუ განვლილ პერიოდს გადავხედავთ, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძალთა განწყობილება კაპიტალისტური მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირს შორის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ შეიცვალა და იცვლება ჩვენს სასარგებლოდ. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საბჭოთა კავშირის მუშათა კლასისათვის, არამედ აგრეთვე მთელი საერთაშორისო პროლეტარიატისათვისაც. ეს ფაქტი თანდათან უფრო შეიგნეს იმპერიალისტური ქვეყნების გაბატონებულმა კლასებმაც. ამით აიხსნება მათი გაძლიერებული მისწრაფება—ხელი შეუშალონ სოციალისტურ მშენებლობას, აქედან გამომდინარეობს თანდათან უფრო გაზრდილი საფრთხე იმპერიალისტების ახალი ინტერვენციისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მხოლოდ ამ გაშუქებით შეიძლება სწორად გაგება საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში მომხდარი ფაქტებისა, რომლებზედაც ამჟამად მიპყრობილია საბჭოთა კავშირის მუშათა და საერთოდ მშრომელთა განსაკუთრებული ყურადღება.

### ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტი და იმპერიალისტები

ასეთია უწინარეს ყოვლისა შორეულ აღმოსავლეთში მომხდარი ამბები.

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდება წარმოადგენს არა მარტო ყაჩაღურ აქტს, არამედ ომის პირდაპირ პროვოკაციასაც. „კომუნისტურ პროპაგანდასთან" ბრძოლის აშკარად შეთხზული საბაბით ჩინეთის იმპერიალისტებმა დაარღვიეს ის ხელშეკრულება, რომელიც 1924 წელს დაიდო საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის მთავრობას შორის. ეს ნაბიჯი დიდი ხნიდან მზადდებოდა. მუკდენისა და ნანკინის ზურგს უკან მდგომი იმპერიალისტური სახელმწიფოები სისტემატიურად ურჩევდნენ ჩინეთის ხელისუფლებას ამ ნაბიჯის გადადგმას. ეხლა ეს ავაზაკური თავდასხმა აშკარად იმ მიზნით მოახდინეს, რომ საბჭოთა კავშირი ომში ჩაეთრიათ. ის დაჟინება, რომელიც მუკდენისა და ნანკინის ხელისუფლებამ გამოიჩინა დღემდე ამ საკითხში, ცხადჰყოფს, რომ მუკდენისა და ნანკინის ხელისუფლების ზურგს უკან დგანან უფრო მძლავრი იმპერიალისტური ძალები. იმპერიალისტური მთავრობების დიპლომატიურმა ფუსფუსმა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარი კონფლიქტის ირგვლივ მხოლოდ ხაზგასმით დაადასტურა ამ მთავრობების მონაწილეობა ხარბინის პროვოკაციაში.

მაგრამ მოვლენებმა გვიჩვენეს, რომ პროვოკატორთა ზრახვები მარცხით დამთავრდა. იმპერიალისტები, რომლებსაც გაუცრუვდათ ის იმედი, რომ საბჭოთა კავშირი გამოეყვანათ მშვიდობიანობის დამრღვევად და ომის წამომწყებად, ეხლა სცდილობენ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარე პოზიცია გაასაღონ საბჭოთა კავშირის უძლურებად. ბოლოს და ბოლოს ეს ცდაც ომის პროვოკაციას წარმოადგენს. მაგრამ, საბჭოთა კავშირის მტკიცე პრინციპიალური თანამიმდევრობითი პოზიციის გამო, იმპერიალსტურ სახელმწიფოების ამ იმედსაც თანდათან უფრო აშკარავებენ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარ კონფლიქტებთან დაკავშირებული მოვლენები.

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ძალმომრეობით ხელში ჩამგდებნი სრულებით არ გრძნობენ თავს გამარჯვებულად. კონფლიქტთან დაკავშირებით მათი სიძნელენი თანდათან იზრდება. თანდათან ინგრევა რკინის გზა, უფრო და უფრო მატულობს ჩინეთის სარკინიგზო ადმინისტრატიული და სამხედრო ხელისუფლების უმწეობა იმ არევ დარევასთან ბრძოლაში, რომელსაც ადგილი აქვს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე. მეორეს მხრით, კონფლიქტში საბჭოთა მთავრობის პოლიტიკისათვის, მისი პრინციპიალური გადაწყვეტილების გამო, უზრუნველყოფილია არა მარტო საბჭოთა კავშირის მშრომელთა თანაგრძნობა, არამედ სხვა ქვეყნების მშრომელი მასების თანაგრძნობაც, რომელიც დღითი-დღე იზრდება. ამასობაში მუკდენი და ნანკინი, თავისი უმწეობისა და რყევის დასაფარავად, იძულებული არიან მიმართონ ირიბაზურ მანევრებს. მუკდენმა და ნანკინმა რამოდენიმეჯერ მიმართეს საბჭოთა კავშირს კონფლიქტის მოსაგვარებლად მოლაპარაკების დაწყების შესახებ. საბჭოთა მთავრობა სისტემატიურად ამხელს ამ წინადადებათა თვალთმაქცურ ხასიათს. საბჭოთა მთავრობა დასთანხმდა მხოლოდ მინიმალურ წინასწარ პირობებზე იმისათვის, რომ დაწყებულიყო მოლაპარაკება კონფლიქტის მოსაგვარებლად. როგორც ვიცით, ამ პირობებში, უპირველესად ყოვლისა, შედის აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მმართველისა და მისი მოადგილის დაუყოვნებლივ დანიშვნა საბჭოთა მთავრობის მიერ, იმასთან შეფარდებით, რასაც ადგილი ჰქონდა კონფლიქტამდე მუკდენ-პეკინის შეთანხმების საფუძველზე. თავისთავად ცხადია, რომ შეთანხმების გზით კონფლიქტის მოსაგვარებლად ეს პირობა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, მაგრამ მუკდენ-ნანკინის ხელისუფლების ორგანოები ხან სათანადო დაპირებებს იძლევიან, ხან მათ ისევ უკან მიაქვთ ეს დაპირებები, და ამნაირად ისინი ერთხელ კიდევ ამჟღავნებენ მთელი თავისი პოლიტიკის ვერაგობას. ასეთივე თვალთმაქცური ხასიათი აქვს ნანკინის უკანასკნელ წინადადებასაც, რომელიც შეეხება საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მხრით მმართველის ხითო თანაშემწის დაუყოვნებლივ დანიშვნას, იმ წინადადებას, რომლითაც ნანკინის მთავრობამ შესცვალა მის მიერ წინად მოცემული თანხმობა საბჭოთა მმართველისა და მისი თანაშემწის დანიშვნის შესახებ. თავის თავად ცხადია, რომ ნანკინის მთავრობის ასეთი მანევრები მხოლოდ მისსავე ავტორიტეტს აყენებენ ზიანს.

ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ ნანკინისა და მუკდენის ამ პოლიტიკით სრულებით არ იქმნება ელემენტარული წინასწარი პირობები შეთანხმების გზით კონფლიქტის მოსაგვარებლად. ამიტომ საბჭოთა მთავრობა მტკიცედ სდგას მის მიერ დაჭერილ პოზიციაზე, რომელიც ნიშნავს, კონფლიქტის მოგვარების მიზნით, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფერენციის მოსაწვევად მინიმალური პირობების უზრუნველყოფას. ჩვენი პოზიცია ამხელს ომის ყველა და ყოველი ჯურის პროვოკატორს. ამავე დროს ის იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი, როგორც წარსულში, მომავალშიაც გამანადგურებელ პასუხს გასცემს ყველას, ვინც მაზე თავდასხმას განიზრახავს. წითელი არმიის ნაწილებმა არა ერთი და ორი მაგალითი გვიჩვენეს შედეგარი პასუხისა, რომელიც მათ გასცეს თეთრგვარდიელ-ბანდიტებსა და ჩინეთის ნაწილებს, როდესაც მათ ჩვენი საზღვრის გადმოლახვა განიზრახეს. ჩვენ მოვახერხებთ თეთრგვარდიელთა ახალ ხრიკებზე მანჯურიაში და ჩინელი მილიტარისტების ახალ თავდასხმებზე სათანადოთ მტკიცე და დაუზოგველ პასუხის გაცემას. საბჭოთა მთავრობა, წინააღმდეგ იმპერიალისტებისა, რომელთაც კონცესიები აქვთ ჩინეთში, თავის დროზე ნებაყოფლობით დასთანხმდა გზის საერთო მმართველობაზე და ჩინეთისათვის იმ რკინის გზის მოგების გადაცემაზე, რომელიც ეკუთვნის ჩვენს სახელმწიფოს. ამავე დროს საბჭოთა მთავრობამ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე გაატარა ის ძირითადი ღონისძიებები მუშა-მოსამსახურეთა მიმართ, რომლებიც განხორციელებულია საბჭოთა კავშირში,— რვა საათის სამუშაო დღე, შრომის დაცვა, მუშა-მოსამსახურეთა ბინებისა, საავადმყოფოებისა და სკოლების მშენებლობა და სხვ. ამჟამად საბჭოთა მთავრობა ცდილობს მხოლოდ იმ ხელშეკრულებათა აღდგენას, რომლებიც 1924 წელს ნებაყოფლობით დაიდო საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის და რომლებიც ვერაგულად დარღვეულ იქნა ყაჩაღური თავდასხმებით. საბჭოთა კავშირის ასეთი პოზიცია სავსებით ეთანხმება არა მარტო ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის ინტერესებს, არამედ ჩინეთის მუშათა კლასისა და აგრეთვე მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესებს.

ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანა ამ შემთხვევაში არის ის, რომ ყოველმხრივ განვუმარტოთ საბჭოთა კავშირის ფართო მასებს და მთელ მსოფლიოს მშრომელთ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის სისწორე და უზრუნველვყოთ ის, რომ ამ პოლიტიკას სულ უფრო და უფრო დაუჭიროს მხარი, უწინარეს ყოვლისა, საერთაშორისო პროლეტარიატმა. ჩვენ შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ ის პოლიტიკა, რომელსაც ატარებს საბჭოთა კავშირი აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარი კონფლიქტის ირგვლივ, სავსებით შეეფერება ამ ამოცანას. ახლანდელ მდგომარეობაში ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, იმის გამო, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდებით გამოწვეული კონფლიქტი სინამდვილეში გამოხატავს წინააღმდეგობათა ზრდას და ბრძოლის გაძლიერებულ გამწვავებას იმპერიალისტურ მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირს შორის. აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარი კონფლიქტი არის კონფლიქტი არა იმდენად საბჭოთა კავშირსა და ჩინელ მილიტარისტებს შორის, რამდენადაც ერთ-ერთი დიდი მომენტი იმპერიალისტური სახელმწიფოების ბრძოლაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეს კონფლიქტი გამოხატავს ზემოდ აღნიშნულ იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო წინააღმდეგობათა ცენტრში თანდათან უფრო ექცევა ძირითადი წინააღმდეგობა პრინციპიალურად ერთმანეთის საწინააღმდეგო სამეურნეო - პოლიტიკურ სისტემებს შორის — კაპიტალისტურ მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირს შორის.

### მაკდონალდის მთავრობის ანტისაბჭოთა პოლიტიკა

ასეთივე თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ურთიერთობას. როგორც ვიცით, მაკდონალდის პარტია საარჩევნო კამპანიის დროს ამომრჩევლებს დაჰპირდა, რომ დაუყოვნებლივ იცნობდა საბჭოთა კავშირს. მაგრამ, როდესაც ეს პარტია ხელისუფლების სათავეში ჩადგა, იგი თავისებურ „მანევრებს" შეუდგა.

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა სცადა მოლაპარაკების პროცედურის განხილვის საბაბით ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ცნობამდე დაეწყო მოლაპარაკება სადავო საკითხების არსებითი შინაარსის შესახებ. ასეთი გზით ჰენდერსონს, როგორც სჩანს, სურდა დაემტკიცებია, რომ ბოლშევიკების მხრივ ისეთ დათმობებს მიიღებდა, რომლებიც კონსერვატიულმა მთავრობამ ვერ მიიღო. ამ შემთხვევაში ბატონი ჰენდერსონი გამოდიოდა არა მარტო როგორც ინგლისის ბურჟუაზიის წარმომადგენელი, არამედ როგორც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მტრულად განწყობილ მთელი იმპერიალისტურ მსოფლიოს წარმომადგენელიც. როგორც სჩანს, ჰენდერსონმა, რომელსაც სურდა წინ გაესწრო ბურჟუაზიული მთავრობებისათვის საბჭოთა კავშირის შევიწროვების საქმეში, გადასწყვიტა ისეთი დათმობები გამოეგლიჯა საბჭოთა კავშირისათვის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის ფასად, რომლებიც დღემდე ვერც ერთმა იმპერიალისტურმა სახელმწიფომ ვერ მიიღო. რა თქმა უნდა, ჰენდერსონს, რომ ამ მხრივ თუნდაც ნაწილობრივი წარმატებისათვის მიეღწია, იგი მთელ იმპერიალისტურ მსოფლიოს გმირად გადაიქცეოდა. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ეს იმედი მხოლოდ საპნის ბუშტს ჰგავს. მხოლოდ ახლა ინგლისის მმართველმა წრეებმა თითქოს შეიგნეს ამ ოცნების უნაყოფობა, და ჩვენ დავთანხმდით უკვე ახალ წინადადებაზე, რომ მოლაპარაკება გაიმართოს მხოლოდ და მხოლოდ პროცედურის ფორმალურ საკითხებზე. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენს გზაზე ფარული დაბრკოლებები არ იყოს აღმართული. ერთი რამ ცხადია, — ჩვენი ხაზი საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ურთიერთობაში ძველი რჩება: მხოლოდ ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შემდეგ შესაძლებელი იქნება დაიწყოს მოლაპარაკება არსებითად სადავო საკითხების შესახებ, მოლაპარაკება პრეტენზიებისა და კონტრპრეტენზიების შესახებ.

ის ფაქტი, რომ მუშათა პარტიის პირველმა მთავრობამ 1924 წელს სცნო საბჭოთა კავშირი ყოველგვარი წინასწარი პირობების გარეშე, ხოლო იმავე მაკდონალდის ახლანდელი მთავრობა, მისი წინანდელი პოზიციის წინააღმდეგ, დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენამდე შეუდგა საბჭოთა კავშირის ყოველნაირი ზედმოქმედების პოლიტიკის გატარებას, თვალსაჩინოდ მოწმობს ძირითადი მსოფლიო წინააღმდეგობის გამწვავებას კაპიტალისტურ მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირს შორის. ყველა და ყოველგვარი იმპერიალისტების პოლიტიკის გამომჟღავნება. ამასთანავე მუშებისა და ჩვენი მშრომელებისათვის პროლეტარულ სახელმწიფოს პრინციპიალური ხაზის (კაპიტალისტური სახელმწიფოების მიმართ) ყოველმხრივ განმარტება იყო და დარჩება ჩვენს უმნიშვნელოვანეს ამოცანად. კონფლიქტი აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე (აღმოსავლეთი) და ბრძოლა საბჭოთა კავშირისა და ინგლისის მოლაპარაკების ირგვლივ (დასავლეთი) წარმოადგენენ საერთაშორისო პოლიტიკის იმ კვანძებს, რომლებშიც მკაფიო გამოხატულებას პოულობს ურთიერთობის გამწვავება კაპიტალისტურ მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირს შორის. თავის მხრივ ეს გამწვავება გამომდინარეობს ერთის მხრივ კაპიტალისტურ მსოფლიოს და მეორეს მხრივ საბჭოთა კავშირის განვითარების ხასიათიდან.

### კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა ზრდა

ახლა გადავალ ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითის მიხედვით კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების ხასიათზე.

ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებული შტატები ყველაზე მძლავრი კაპიტალისტური ქვეყანაა. ამ ქვეყნის ეკონომიური განვითარების ანალიზს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. ამასთან დაკავშირებით, მე უნდა შევჩერდე ერთ წიგნზე, რომელიც მაისში გამოვიდა ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებულ შტატებში. მე მხედველობაში, მაქვს მთავრობის კომიტეტის ანგარიში. ამ კომიტეტს მეთაურობდა ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი პრეზიდენტი ჰერბერტ ჰუვერი. ამ კომიტეტმა, რომელშიაც, ჰუვერის გარდა, შედიოდნენ ამერიკის ისეთი თვალსაჩინო მოღვაწენი, როგორიც არიან ოუენ იუნგი — იუნგის ცნობილი გეგმის ავტორი, ვილიამ გრინი — ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარე, უდიდესი ბანკების წარმომადგენელნი, პროფესორები და ადვოკატები, — გამოსცა ორ ტომიანი გამოკვლევა შემდეგი სათაურით: „უკანასკნელი ცვლილებანი ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკაში". ეს გამოკვლევა ასწერს ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიურ განვითარებას 1922 წლიდან 1929 წლის დასაწყისამდე.

ეს წიგნი წარმოადგენს ბურჟუაზიული შემოქმედების ტიპიურ ნაყოფს, მაგრამ, უველა უაღრესად სერიოზული ნაკლის მიუხედავად, იგი ბევრ რამე საგულისხმოს შეიცავს. შემდეგში მე შევჩერდები ამ წიგნის ძირითად დასკვნაზე. მაგრამ ჯერ გაგაცნობთ მასში მოყვანილი ორი საინტერესო ცხრილის შინაარსს. ამ ცხრილებში მოცემულია 17 უდიდესი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის მიმოხილვა 1919—21 და 1921—27 წლებში. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ აქ საბჭოთა კავშირზედაც არის ლაპარაკი. პირველ ცხრილში, 1919, 1920 და 1921 წლების სვეტებში, მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ აღნიშნულია: დეპრესია. შემდეგ წლებში სურათი იცვლება, სახელდობრ: 1922 წ. — დეპრესია, გამოცოცხლება, 1923 — გამოცოცხლება, შემცირება, 1924 — დეპრესია, გამოცოცხლება, 1925 — აყვავება, შემცირება, 1926 — აყვავება, 1927 — აყვავება. იმავე ცხრილებიდან სჩანს, რომ მხოლოდ ორ ქვეყანაში — კანადასა და ავსტრალიაში — 1926 — 27 წლისათვის ასევე კატეგორიულად აღნიშნავს აყვავებას. ამრიგად, ჰუვერისა და კომპანიის პატივცემული კომიტეტი თავის გამოკვლევაში ადასტურებს, რომ 1926 — 27 წლებში საბჭოთა კავშირში დაიწყო აყვავება, რასაც ვერ დაიკვეხნის თუნდაც იგივე ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკა. მთელ რიგ სხვა ქვეყნებში იმავე წლებისათვის პირდაპირ აღნიშნულია დეპრესია, ხოლო ზოგჯერ მთელი რიგი წლებისათვისაც. ჩვენ არ შეგვიძლია ერთგვარი კმაყოფილებით არ აღვნიშნოთ, ჰუვერის კომიტეტის ზემოთ მოყვანილი მიუდგომელი დადასტურება საბჭოთა კავშირის „პროსპერიტი"-სა (აყვავებისა), რამდენადაც ამას ამბობენ ჩვენს მიმართ ასე მტრულად განწყობილი იმპერიალისტურ სახელმწიფოს ბელადები. ზედმეტი არ იქნება აგრეთვე, რომ ჩვენი მტრების ეს განცხადება შევადაროთ მემარჯვენეთა წუწუნსა და გოდებას დეგრადაციის შესახებ.

გადავდივარ იმ მთავარ დასკვნაზე, რომელიც გამოჰყავს ჰუვერის კომიტეტს წიგნის დასაწყისში მოთავსებულ თავის მოკლე ანგარიშში.

„თუმცა ჩვენ,—ვკითხულობთ წიგნში, — დიდი ეკონომიური აქტივობისა და აგრეთვე სამრეწველო ნაყოფიერების პერიოდი განვვლეთ და სტაბილობის ისეთს დონეს მივაღწიეთ, რომელიც ძლიერ მაღალ დონედ უნდა ჩაითვალოს, და თუმცა ამერიკას დიდი პერსპექტივების შემცველი მომავალი აქვს, მაგრამ მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც ამ გამოკვლევაშია გაშუქებული, მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ვერ შევინარჩუნებთ ჩვენს ეკონომიურ უპირატესობებს ან ვერ ვიქონიებთ ჩვენი ეკონომიური მომავლის რეალიზაციის სრულ იმედს, თუ შეგნებულად არ შევითვისებთ **წონასწორობის პრინციპს** (უკანასკნელი ორი სიტყვა ხაზგასმულია ამხ. მოლოტოვის მიერ) და მოხერხებულად არ გამოვიყენებთ მას ყოველგვარ ეკონომიურ ურთიერთობაში".

ბანკირებისა, ბურჟუაზიული პროფესორებისა და პოლიტიკოს-იმპერიალისტების კომიტეტი მეტად დამარწმუნებლად ამტკიცებს, რომ დღევანდელს პირობებში ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკა ვერ შეინახავს ეკონომიურ უპირატესობებს, თუ ყოველგვარ ეკონომიურ ურთიერთობაში შეგნებულად არ იქნება გატარებული და მოხერხებით გამოყენებული „წონასწორობის პრინციპი". კომიტეტი გამოსთქვამს იმედს, რომ ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომისტები, ინჟენრები და სტატისტიკოსები იმდენად დაამუშავებენ ამერიკის კაპიტალიზმისათვის საჭირო „წონასწორობის ტეხნიკას", რომ ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკა მომავალშიაც შესძლებს კაპიტალისტური „პროსპერიტი"-ს (აყვავების) გზით სიარულს. ადვილია იმის გაგება, რომ წონასწორობის ტეხნიკის შესახებ ბუნდოვანი ფრაზებით ამერიკელი ბანკირები, კაპიტალისტები და ბურჟუაზიული პოლიტიკოსები ცდილობენ დაჰფარონ თავისი შიში ამერიკის კაპიტალიზმის მომავალი ბედის წინაშე.

ტყუილად კი არ [illegible] აღნიშნული ანგარიში მეტად დაწეული ტონით. ფიქრი ეკონომიური წონასწორობის შესახებ კაპიტალიზმის დროს ცხოვრების პირველი შეხებისთანავე [illegible]. ბოლოს და ბოლოს ეს წარმოადგენს ოცნებას „მოწესრიგებული კაპიტალიზმის" შესახებ, რომელიც დედამიწაზე არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს.

ბანკირებისა და ბურჟუაზიული პოლიტიკოსების უგზო-უკვლო ხეტიალი „ეკონომიური წონასწორობის" საკითხის გარშემო მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ კაპიტალიზმმა დრო მოსჭამა, რომ არის ერთად ერთი გამოსავალი „წონასწორობის" ოცნების რეალურად განსახორციელებლად: კაპიტალიზმის დამხობა და გეგმიან სოციალისტურ მეურნეობაზე გადასვლა. იმ ფაქტმა, რომ საბჭოთა კავშირი რამდენიმე წლის განმავლობაში წარმატებით ატარებს მის მიერ დასახულ ეკონომიურ გეგმებს, იმ ფაქტმა, რომ ჩვენ ამჟამად უკვე ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას შევუდექით, არ შეიძლება არ გააძლიეროს გაბატონებულ ბურჟუაზიულ კლასებ შორის კაპიტალისტური სტიქიის ხელში ჩაგდებისა და კაპიტალისტური ანარქიისათვის ორგანიზაციული სახის მიცემის სურვილი. ბატონ ჰუვერისა, იუნგისა, გრინისა და სხვათა ეს ცდა განსაკუთრებული სიცხადით მოწმობს იმას, რომ კაპიტალისტური მსოფლიო თანდათან უფრო იხლართება თავის წინააღმდეგობებში, რომ კაპიტალიზმი ვერ ჰპოულობს გამოსავალს და რომ ეს გამოსავალი მხოლოდ აღსასრულშია. ეს ხდება სწორედ იმ მომენტში, როდესაც სოციალიზმის მშენებლობის ქვეყანა—საბჭოთა კავშირი ძლევამოსილად მიემართება გეგმიანი სოციალისტური მეურნეობის განმტკიცების გზით. ჰუვერის კომიტეტის ანგარიში მეტად ნათლად ადასტურებს ამ მთავარ დასკვნას, რომელიც კაპიტალიზმის განვითარების მარქსისტულ-ლენინურ ანალიზს ემყარება. ამჟამად კაპიტალისტურ მსოფლიოში კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავებამ იმ დონემდე მიაღწია, რომ ჩვენ მოწმენი ვართ ახალი რევოლუციონური აზვირთებისა კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა მოძრაობაში და აგრეთვე კოლონიებში, სადაც მწიფდება რევოლუციონურ - განმანთავისუფლებელი, კაპიტალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ძალები. ეს სრულებით გარკვეულად აღნიშნა კომინტერნის აღმასკომის უკანასკნელმა პლენუმმა.

შემდეგ ამხ. მოლოტოვი ლაპარაკობს მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებისა და კაპიტალის შეტევის მიმართ მუშათა კლასის წინააღმდეგობის ზრდის შესახებ, სხვათა შორის, კოლონიებშიც. მუშათა მოძრაობის ახალ რევოლუციონურ აზვირთებას მართლადაც საერთაშორისო ხასიათი აქვს. შემდეგ ამხ. მოლოტოვი გადადის სოციალ-დემოკრატიის როლის შეფასებაზე.

— ბურჟუაზიისათვის,—ამბობს ის,—„ამჟამად ხელსაყრელია „მუშური", „დემოკრატიული", „პაციფისტური" სახელის მიღება. ბურჟუაზიას არ ეშინია ბატონი მიულერების „სოციალიზმისა". მას არ ეშინია ბატონი მაკდონალდების „მუშათა ხელისუფლებისა". სამაგიეროდ, მას სჭირდება პაციფისტური კორიანტელი, რომელსაც ეს ვაჟბატონები აყენებენ თავისი ქვეყნის მუშებისა და ყველა მშრომელის თვალის ახახვევად. ამ გზით ისინი ცდილობენ დაფარონ ახალი იმპერიალისტური ომისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციის სამზადისი. ყველაზე უფრო ცდილობს საფრანგეთის მთავრობა ბრიანის მეთაურობით. მის პროექტს, რომელიც ევროპის შეერთებული შტატების შექმნას შეეხება, როგორც ეტყობა, მიზნად აქვს გადააჭარბოს იმ პაციფისტურ პროგრამებს, რომლებიც გერმანიისა და ინგლისის მთავრობათა სათავეში მდგომ სოციალ-იმპერიალისტებს ეკუთვნით.

ნამდვილად კი ბრიანის პროექტი წარმოადგენს იმპერიალისტურ პროგრამას უძლიერეს კაპიტალისტურ ქვეყნისას, რომელიც მიზნად ისახავს ჩრდილოეთ-ამერიკის კონკურენციისაგან თავის დახსნას და კიდევ უფრო მეტად ცდილობს შექმნას ევროპის იმპერიალისტების ერთიანი ფრონტი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაგრამ ჰააგის შედეგები ნათლად მოწმობენ—თუ რამდენად არ ძალუძთ იმპერიალისტებს გადასჭრან თავიანთ წრეშივე წამოჭრილი წინააღმდეგობანი. ჰააგის კონფერენცია, რომლის მიზანი იყო ეგრედწოდებული იუნგის გეგმის გავრცელება, ტიპიური მაგალითია იმისა, რომ იმპერიალისტებს არ შეუძლიათ გადასჭრან კაპიტალისტური განვითარების წინააღმდეგობანი, რომლებიც თანდათანობით მწვავდებიან.

## სოციალისტურ მშენებლობის საკითხები

ამხ. მოლოტოვი ხაზს უსვამს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ურთიერთობაში არსებულ წინააღმდეგობას, ახასიათებს კომინტერნის და მისი ცალკე სექციების მდგომარეობას და შემდეგ გადადის საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის საკითხებზე.

### ხუთწლიან გეგმას გადაჭარბებით შევასრულებთ

— ახლა,—ლაპარაკობს ის,—დროულია მოვიგონოთ, თუ რას ამბობდა ლენინი პარტიის მე-11 ყრილობაზე მაშინდელი მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის პერსპექტივების შესახებ. მაშინ ლენინი ასე განსაზღვრავდა ჩვენს ამოცანებს:

„დავუკავშირდეთ გლეხურ მასას, უბრალო მშრომელ გლეხობას და დავიწყოთ წინსვლა შეუდარებლად, გაცილებით იმაზე ნელა, ვინემ ჩვენ ვოცნებობდით, მაგრამ სამაგიეროდ ისე, რომ მართლაც მთელი მასა ჩვენთან ერთად ამოძრავდეს. მაშინ თავის დროზე დავინახავთ ამ მოძრაობის ისეთ აჩქარებას, რომელსაც ჩვენ ახლა ოცნებაშიაც ვერ წარმოვიდგენთ".

მართლაც, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ წლებში საბჭოთა კავშირის მეურნეობის აღდგენა, თუ მას ავიღებთ მთლიანად, ნელა ხდებოდა. აქ განსაკუთრებით მხედველობაში უნდა მივიღოთ სოფელი, სადაც ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ პროდუქციის ომამდე არსებული რაოდენობასაც, მაგალითად, ხორბლეული კულტურების დარგში.

მაგრამ ახლა შეგვიძლია ვსთქვათ, რომ შევდივართ საბჭოთა მეურნეობის განვითარების ისეთ ხანაში, რომელზედაც ლენინი ლაპარაკობდა ზემოდ მოყვანილ ციტატის ბოლოში. იწყება ის დრო, როცა წინსვლა ვითარდება ისეთი ტემპით, რომელზედაც ჩვენ ოცნებობაც არ შეგვეძლო 1922 წელში.

შემდეგ მომხსენებელი მოკლედ ახასიათებს ხუთწლიანი გეგმის იმ ცვლილებებს, რომლებიც ხდება უკანასკნელ თვეებში მისი შემდგომი გაფართოების მხრივ.

— შემდეგ საინტერესოა აღინიშნოს, ლაპარაკობს ამხ. მოლოტოვი,—რომ ჩვენი სამეურნეო განვითარების შეფასებაში ბურჟუაზიულ ბანაკის მხრივ ახალი ჰანგები გაისმის. აი როგორ აფასებს მსხვილ ბურჟუაზიულ გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატ"-ის კორესპონდენტი შეფერი ჩვენს ხუთწლიან გეგმას:

„ეს მრავალი მხრით უდიდესი, ყველაზე თანადროული ეკონომიური ექსპერიმენტია: ის არის არა მარტო პირველი, არამედ ყველაზე ორიგინალური. საწყალი ძველი ევროპა! თუ ექსპერიმენტი განხორციელდა თუნდაც მხოლოდ სამი მეოთხედით, მაშინ უეჭველია საბოლოოდ გამარჯვება. ეს იქნება სოციალისტური მეთოდის გამარჯვება, მოპოვებული ახალგაზრდა, იმედით სავსე, ნიჭიერი ხალხის ძალებით".

ხედავთ, შეფერი ძალიან სწუხს, რომ „საწყალი ძველი ევროპა" კუდში ჩამოგვრჩება, თუ ხუთწლიანი გეგმა სამი მეოთხედით მაინც განხორციელდა. და ასეთი ლაპარაკი გვესმის მაშინ, როცა ჩვენ მტკიცე ნაბიჯებით მივდივართ წინ, რომ ხუთწლიანი გეგმები გადაჭარბებით გავატაროთ.

ხუთწლიან გეგმაზე მთლიანად მე არ შევჩერდები. საჭიროდ მიმაჩნია ამასთან დაკავშირებით შევეხო მხოლოდ ერთ საკითხს. პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მთავარ სამეურნეო პროგრამად ლენინი თავის დროზე სთვლიდა ელექტროფიკაციის გეგმას, ეგრედწოდებულ „გოელრო"-ს („რუსეთის ელექტროფიკაციის სახელმწიფო კომიტეტი) გეგმას.

ცხადია, ხუთწლიან გეგმაშიაც ელექტროფიკაცია ძირითად მომენტს წარმოადგენს. ამჟამად საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს არა მარტო თავის დროზე მიღებულ ელექტროფიკაციის გეგმის შესრულებას. ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია, რომ მის უკანასკნელ წლისათვის აგებული უნდა იქნას არა 30, როგორც ეს „გოელრო"-ს გეგმაში იყო დასახული, არამედ 40 რაიონული ელექტროსადგური, რომელთა საერთო სიმძლავრე იქნება არა 1,750 ათასი კილოვატი, არამედ 2 ნახ.-დან 3 მილიონ კილოვატამდე. 1925—26 წელთან შედარებით ხუთი წლის დასასრულს მექანიკურ და ელექტროენერგიის მოხმარება ჩვენს მრეწველობაში იზრდება დაახლოვებით 3,5 ჯერ, ამასთან მრეწველობის ელექტროფიკაციის კოეფიციენტი გაიზრდება 48-დან 82 პროცენტამდე. სამრეწველო მუშის ენერგიის შეიარაღება ამავე პერიოდის განმავლობაში იზრდება 2,5-ჯერ, და ბოლოს, ძალიან საინტერესოა აღინიშნოს, რამდენად იზრდება მუშის ენერგიით შეიარაღება ჩვენს ქვეყანაში, მაგალითად, ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ამ მხრივ ყველაზე დაწინაურებულ ქვეყანასთან შედარებით. თუ 1925—27 წელს ამერიკელ მუშის ენერგიით შეიარაღება გაიზარდა 20,5 პროცენტით, ე. ი. 10 პროცენტზე ცოტათი მეტით წელიწადში, ერთი საბჭოთა მუშას ენერგიით შეიარაღების ყოველწლიური ზრდა ხუთი წლის განმავლობაში ავა დაახლოვებით 36 პროცენტამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ იმ დარგში, რომელიც ყველაზე მთავარია მეურნეობის განვითარებისათვის, მეურნეობის ენერგიით შეიარაღების საქმეში ჩვენ დავეწევით ისეთ ტეხნიკურად დაწინაურებულ კაპიტალისტურ ქვეყნებსაც კი, როგორიცაა ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატები. იმისათვის, რომ განვახორციელოთ ლოზუნგი: „დავეწიოთ და გავუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს", უკანასკნელ დროს ჩვენ გადავდგით კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი. გადაწყვეტილებას განუწყვეტელ წარმოებაზე გადასვლის შესახებ ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ეს ღონისძიება საბჭოთა კავშირს უდიდეს უპირატესობას აძლევს სამეურნეო განვითარების დასაჩქარებლად, რადგან ის ქმნის ჩვენი მრეწველობის განვითარებისათვის ისეთ ხელსაყრელ პირობებს, რომლებიც კაპიტალისტურ ქვეყნებს არა აქვს და არც შეიძლება ექნეთ.

შემდეგ ამხ. მოლოტოვი ეხება თვითღირებულების შემცირების, შრომის ნაყოფიერების გადიდების საკითხებს, როგორიც არის სოციალისტური შეჯიბრება, ღონისძიებები, მიმართული წარმოების მართვის მოწესრიგებისა და ერთპიროვნული მართველობისაკენ.

### სოფლის სოციალისტური გარდაქმნა

გადადის რა სოფლის მეურნეობის საკითხებზე, მომხსენებელს მოჰყავს მთელი რიგი ცნობები, რომელნიც ახასიათებენ განსაზოგადოებრივებულ სექტორის, განსაკუთრებით კოლმეურნეობების სწრაფ ზრდას.

— როცა ვლაპარაკობთ სოფელზე,—აღნიშნავს მომხსენებელი,—საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ კლასობრივი ბრძოლის განმტკიცების ფაქტს. საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობების ზრდა იწვევს კულაკობის გააფთრებულ წინააღმდეგობას. იქ, სადაც ფართოდ ტარდება კოლექტივიზაცია, ბრძოლის გამწვავება უკიდურესობამდე მიდის, კულაკობა ყოველგვარი დაშინებით, ცემით, ცეცხლის გაჩენის და პროვოკაციების გზით ცდილობს ჩაშალოს კოლმეურნეობათა მშენებლობა, დასცეს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტი,—ერთი სიტყვით უკუღმა მოაბრუნოს ჩარხი. მაგრამ ეს ცდა ფუჭია. კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგობამ მხოლოდ უნდა გააძლიეროს ჩვენი ენერგია სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში.

უკანასკნელ ხანებში მთელ რიგ რაიონებში, სადაც მოჯამაგირეთა შრომა გავრცელებულია, შემჩნეულია მოჯამაგირეთა საგაფიცვო მოძრაობის გამოცოცხლება. ზოგ ადგილას ზოგიერთი ჩვენი უვარგისი პროფესიონალური ორგანიზაციები არა თუ არ ესმარებიან გაფიცულ მოჯამაგირეებს, არამედ უარს აცხადებენ ასეთი დახმარების აღმოჩენაზე (ოდესა, ორენბურგი), მაგრამ ახლა უმრავლეს შემთხვევაში მუშაობა უმჯობესდება და პროფესიონალური ორგანიზაციები სოფლად უკვე ახლოს მიდიან მოჯამაგირეებთან. მეორეს მხრით, რამდენიმედ გაუმჯობესდა ღარიბი გლეხობის ორგანიზაციის საქმე, ღარიბთა ჯგუფების დათვალიერებამ გვიჩვენა, რომ ეს ჯგუფები საგრძნობლად გაიზარდნენ. მართალია, ზოგ ადგილას ჩვენ გვაქვს საქმის გაუარესების შემთხვევებიც. მაგრამ პარტია შესძლებს საქმით განახორციელოს მე-16 ყრილობის დირექტივები, რომლებიც მოითხოვენ ღარიბთა ორგანიზაციის საქმის გადაჭრით გაუმჯობესებას. სოფლის პროლეტარული და ნახევრადპროლეტარული ელემენტების ორგანიზაციის გაუმჯობესებას ახლანდელ მომენტში ჩვენთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. უნდა გვახსოვდეს, რომ სანამ სამრეწველო მუშები პრაქტიკულად არ მოკიდებენ ხელს სოფლის კოლექტივიზაციის საქმეს, მანამდე ვერაფერს მტკიცეს, ნამდვილად საიმედოს და სოციალისტურს ვერ მივიღებთ კოლექტიური მეურნეობის მშენებლობაში, რომელშიც ფართოდ არიან ჩაბმული ღარიბი და საშუალო გლეხთა მასები. მუშები ახლაც უწევენ ამ საქმეს დახმარებას პარტიულ ორგანიზაციების, პროფესიონალური კავშირების, სოფლად სხვადასხვა კამპანიების ჩასატარებლად გაგზავნილი მუშების და სხვ. სახით. მაგრამ ყოველივე ეს არ არის საკმარისი. საჭიროა გამოიძებნოს სამრეწველო მუშების გლეხური მეურნეობის კოლექტივიზაციაში მონაწილეობის ახალი ფორმები. ცოტა რამ ამ დარგში უკანასკნელ ხანებში უკვე გვაქვს. ასეთია ის ფაქტი, რომ მოსკოვის მუშათა კოოპერაციასა და შუა ვოლგის, ჩრდილოეთ-კავკასიის და უკრაინის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შორის დაიდო ხელშეკრულება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ. მართალია ეს ცდა ჯერჯერობით მეტად სუსტია, მაგრამ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მოსკოვის გუბერნიის რამდენიმე ათეული ქარხანა და ფაბრიკა უშუალოდ უკავშირდება სხვადასხვა გლეხურ რაიონებს. ასეთივე ხასიათისაა ის შეთანხმება, რომელიც დაიდო ერთის მხრით შუა აზიის და კაზაკსტანის პარტიულ ორგანიზაციებსა და, მეორეს მხრით, მოსკოვის, ლენინგრადის და ივანოვსკის საოლქო ორგანიზაციებს შორის იმის შესახებ, რომ საფეიქრო რაიონების სამრეწველო ორგანიზაციებმა აღმოუჩინონ დახმარება და ხელი შეუწყონ ბამბის მეურნეობის განვითარებას და სოციალისტურ გარდაქმნას შუა აზიაში, მუშაკების მივლინებას, მუშათა რაზმების გაგზავნას, ფაბრიკებისა და ქარხნების მუდმივ დაკავშირებას შუა აზიის დეხკანებთან მებამბეობის კოოპერაციის საშუალებით უდიდესი მნიშვნელობა ექნება ამ რაიონების სასოფლო- მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნის ძირითადი ამოცანების განხორციელებისათვის.

### მუშების მდგომარეობა

#### სასურსათო საკითხი

ახლა საჭიროა შევჩერდეთ სასურსათო მდგომარეობაზე და ხელფასზე.

წელს ჩვენ დავისახეთ პურის დამზადების გაცილებით უფრო ფართო გეგმა. ამ გეგმის განხორციელება სავსებით შესაძლებელია, რადგან მოსავალი შედარებით კარგია. გეგმით გათვალისწინებულია 100 მილიონი ფუთი პურის განსაკუთრებული ხელშეუხებელი ფონდის შექმნა, როგორც სამეურნეო განვითარების სიმტკიცის ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტია. წელს პურის დამზადების გეგმაში შეტანილია დავალებები სოფლის მიხედვით და ამ დავალებებში ცალკე არის გათვალისწინებული ის, თუ რამდენი პური უნდა გაიღოს ამა თუ იმ კულაკურ მეურნეობამ. პურის დამზადების ამ გეგმის შესრულება მოითხოვს ძალღონის უდიდეს დაჭიმვას და უმნიშვნელოვანეს ელემენტს შეადგენს მთელს სამეურნეო გეგმაში. ამ დავალებათა განხორციელების ირგვლივ უნდა დაირაზმონ ღარიბი და საშუალო მასები.

პურის დამზადების მიმდინარეობა გვიჩვენებს, რომ, მთელი რიგი მიღწევების მიუხედავად, სასურსათო კულტურათა დამზადების საქმე მაინც ვერ მიდის საკმაო ტემპით.

მართალია, 1 სექტემბრისათვის არსებული ცნობების მიხედვით, ყველა კულტურა 126 მილიონი ფუთის რაოდენობით არის დამზადებული შარშანდელი 40 მილიონის და შარშანწინდელი 80 მილიონი ფუთის მაგიერ. არსებითად ეს ტემპი რჩება სექტემბრის პირველი ხუთი დღის განმავლობაშიც. მიუხედავად ამისა, სასურსათო კულტურათა დამზადება უკან რჩება გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობას. რამდენად გაძლიერებულ ყურადღებას მოითხოვს ჩვენი გეგმის პრაქტიკული განხორციელება, ამას გვიჩვენებს კონტრაქტაციების პრაქტიკა. ბევრ შემთხვევაში, კონტრაქტაციის ფართო გეგმების მიუხედავად, მათი განხორციელება მეტად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. პურის დამზადების კამპანია გაძლიერებულ ყურადღებას მოითხოვს ყველა პარტიული ორგანიზაციისაგან. ჩვენმა კოლექტიურმა მეურნეობებმა და საერთოდ მთელმა ჩვენმა კოოპერაციამ ძლიერ დიდი ენერგია უნდა გამოიჩინონ.

ამავე დროს არ უნდა შესუსტდეს ყურადღება მიწოდების საქმისადმიც. პურის წიგნაკების შემოღება სრულიად მისაღები ღონისძიება აღმოჩნდა, რასაც მუშები სავსებით იწონებენ. ამან საშუალება მოგვცა უკეთესად მიგვეწოდებინა პური მუშებისათვის და ამავე დროს იგი იძლევა პურის ხარჯის ეკონომიას. ასე, სამრეწველო რაიონებისათვის პურის ნორმალური მიწოდების პირობებში წელს ივლისისა და აგვისტოს განმავლობაში მარტო რუსეთის რესპუბლიკაში შევიღეთ 8 მილიონი ფუთი პურის ეკონომია წარსულ წელთან შედარებით. მარტო მოსკოვში ივლისი-აგვისტო-სექტემბრის ეკონომია იქნება 700.000 ფუთზე მეტი. ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მუშებისათვის სხვა საკვები პროდუქტების: ხორცის, ერბოს, კვერცხის და რძის მიწოდებას. ცხადია, აქ უნდა წავიდეთ პურის წიგნაკების პრაქტიკის გამოყენების გზით. ეს ახლა აუცილებელი შეიქნა, განსაკუთრებით იმ არანორმალობის გამო, რომელსაც რიგები იწვევენ.

ცენტრალური კომიტეტი დიდ მნიშვნელობას აძლევს რიგებთან ბრძოლის სწორად დაყენებას და შეეცდება გადაჭრით გადალახოს ბიუროკრატიული დაბრკოლებანი, რომელნიც ხელს უშლიან მუშებისა და მუშა-ქალებისათვის საჭირო პროდუქტების მიწოდების ნორმალურ ორგანიზაციას. ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა მივიღოთ მთელი რიგი ზომები, რათა თავი დავაღწიოთ რიგებს ძირითად საკვებ პროდუქტებზე და ნამდვილად გავაუმჯობესოთ მუშებისათვის ამ პროდუქტების მიწოდება.

#### ხელფასი

დასასრულ, საკითხი სამუშაო ხელფასის შესახებ. მიმდინარე სამეურნეო წელს ნომინალური სამუშაო ხელფასი გადიდდება 10 პროცენტით, ნავარაუდევი 7 პროცენტის ნაცვლად, ხოლო რეალური სამუშაო ხელფასი გადიდდა 2-3 პროცენტით. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მიმდინარე წელს 30 მილიონი მანეთით გადიდდა მრეწველობის მოგების მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდში შეტანილი ანარიცხებიც, რაც მოასწავებს სამუშაო ხელფასის დამატებით გადიდებას საშუალოდ 1 პროცენტით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ასიგნობები (142 მილიონ მანეთამდე) გადაიდო საბინაო მშენებლობისათვის. სოციალური დაზღვევის ბიუჯეტი გადიდდა 177 მილიონი მანეთით. მომავალ სამეურნეო წელს განზრახულია სამუშაო ხელფასის გადიდება საშუალოდ 9 პროცენტით, იმ პირობით, თუ შრომის ნაყოფიერება გაიზრდება 28 პროცენტით. გათვალისწინებულია აგრეთვე მუშის საბიუჯეტო შენაკრების ინდექსის შემცირება. ყოველივე ამან ხელი უნდა შეუწყოს მუშათა მასების მდგომარეობის შემდგომ შესამჩნევ გაუმჯობესებას და შექმნას პირობები შრომის ნაყოფიერების თვალსაჩინოდ გადიდებისათვის.

### კადრების პრობლემა

ახლა გადავდივარ კადრების პრობლემაზე. ლენინი გვასწავლიდა განსაკუთრებული ყურადღებით მოვპყრობოდით ძველი ტეხნიკური და საერთოდ კულტურული ძალების გამოყენების საქმეს. იგი აგრეთვე გვასწავლიდა, რომ კომუნისტები სათანადო კრიტიკით მისდგომოდნენ მათ მუშაობას და შეემოწმებიათ ეს მუშაობა. ახლა ლენინის ამ მითითებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ. მეურნეობის რეკონსტრუქციის გრანდიოზული ამოცანები, რომელთა განხორციელებაც ამჟამად არ შეიძლება არ მიმდინარეობდეს კლასობრივი ბრძოლის თვალსაჩინო გამწვავების პირობებში, პროლეტარიატის წინააღმდეგ ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური ელემენტების ბრძოლის პირობებში, — მოითხოვენ ჩვენი სახელმწიფო აპარატის უაღრესად სერიოზულ გაუმჯობესებას, მასში არსებულ დახავსებისა და ბიუროკრატიზმის მრავალრიცხოვან ელემენტების აღმოფხვრას და სახელმწიფო ორგანოების მუშაობაში მუშათა კლასიდან გამოსული ახალი კადრების ფართოდ დაწინაურებას, კერძოდ იმ ახალგაზრდა ამხანაგების გამოყენებას, რომლებმაც დაამთავრეს საბჭოთა სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები.

#### აპარატის წმენდა

საბჭოთა აპარატში პროლეტარიატის უცხო ელემენტების გაპარვამ აიძულა პარტია შესდგომოდა სახელმწიფო აპარატის სოციალურ წმენდას. ამ ცოტახნის წინად მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნავს, რომ სახელმწიფო აპარატის წმენდა უნდა გადაიქცეს მთელი პარტიის, პროფკავშირებისა და მუშათა კლასის საქმედ. ამავე დადგენილებაში აღნიშნულია, რომ წმენდის გატარების დროს არ შეიძლება დაქსაქსვა, არამედ საჭიროა ყურადღების მიპყრობა ობიექტების განსაზღვრულ რაოდენობაზე. მხოლოდ ამ პირობით მოხერხდება სათანადოდ ჩატარებულ იქნას ეს ჩვენთვის ამდენად მნიშვნელოვანი მუშაობა.

ამხ. მოლოტოვი წმენდის საჭიროებას ასაბუთებს, სხვათა შორის, სამეცნიერო აკადემიის აპარატის წმენდის შედეგებით. სამეცნიერო აკადემიის აპარატში დათხოვნილთა შორის აღმოჩნდა მეფის მახლობელ „ყოფილ ადამიანთა" ბევრი წარმომადგენელი. ასეთი მდგომარეობაა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დაწესებულებაში, რომლის აპარატის შერჩევა, ამ უკანასკნელ დრომდე, როგორც სჩანს, საბჭოთა ხელისუფლების ინტერესების თვალსაზრისით არ ხდებოდა.

#### დამოკიდებულება სპეციალისტებთან

— ჩვენ — ამბობს მომხსენებელი — ცოცხით ხელში უნდა შევიხედოთ ჩვენი სახელმწიფო აპარატის ჯერ კიდევ მრავალ კუთხეში, რომლებსაც საბჭოთა კონტროლი არ შეხებია.

სახელმწიფო აპარატის საკითხის განხილვის დროს არ შეიძლება დავივიწყოთ საბჭოთა ხელისუფლების მიმართ შეურიგებლად მტრულად განწყობილი ზოგიერთი ბურჟუაზიული სპეციალისტის პირდაპირი მავნებლობა.

შახტის საქმე უდიდესი გაკვეთილი იყო ჩვენთვის, განსაკუთრებით სამეურნეო მუშაკ-კომუნისტებისათვის, მაგრამ ამ გაკვეთილს ჯერ კიდევ ყველა ჩვენი ამხანაგი არ ჩაჰფიქრებია სერიოზულად. მავნებლობას კი ჩვენს სახელმწიფო აპარატში ამ ბოლო დროს სულ ახალი და ახალ საფეხურებში ვამჟღავნებთ. კონტრ-რევოლუციონური მავნებელი ორგანიზაციები ამ უკანასკნელ დროს მეურნეობის სხვა დარგებშიაც აღმოჩნდნენ. სამხედრო მრეწველობაშიაც კი მთელი რიგი წლების განმავლობაში მუშაობდა თეთრგვარდიელ მავნებელთა ბრბო ძველი ინჟენრებისა და გენერლების წრიდან. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენი მუშაკების კლასობრივი ალღო და რევოლუციონური სიფხიზლე მრავალ შემთხვევაში ჯერ კიდევ სრულებით არ არის საკმაო.

კონტრ-რევოლუციონერ მავნებლებთან ულმობელი ბრძოლის საჭიროებას განმარტება არ ესაჭიროება. მეორეს მხრივ, არანაკლებ საჭიროა მედგარი პოლიტიკური მუშაობა ძველი ტეხნიკური კადრების მასაში. ამ ტეხნიკური კადრების ძირითადი მასა საერთოდ ლოიალურად მუშაობს საბჭოთა სახელმწიფოსათვის. ჩვენი ამოცანაა მოვახდინოთ ძველი ტეხნიკური კადრების დიფერენციაცია, რათა ა) ამ წრიდან გამოვყოთ სოციალისტური მშენებლობის აქტიური შეგნებული მომხრენი, თუნდაც ისინი ჯერჯერობით უმცირესობას შეადგენდნენ ამ წრეში, ბ) შეგვეძლოს შევქმნათ საჭირო პირობები საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილ ტეხნიკოსებისა და ინჟენრების მთავარი მასის ნაყოფიერი მუშაობისათვის, თუნდაც მათი ნაწილს ჯერ კიდევ არ გაეწყვიტოს კავშირი ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან, რომელიც ჰკვებავს უარყოფით განწყობილებას სოციალისტური მშენებლობის მიმართ, გ) ულმობელად დავსაჯოთ საბოტაჟის გამწევნი და მავნებლები, რომელნიც სცდილობენ განაგრძონ დამაზიანებელი მუშაობა სამეურნეო ორგანოებში. ამ საქმეში სურდა ერთგვარი როლი ეთამაშნა უპარტიო ინჟენრების და მეცნიერების ინიციატივით სპეციალურად შექმნილ ტეხნიკური ძალების ორგანიზაციას—„ვარნიტსო"-ს (მეცნიერებისა და ტეხნიკის მუშაკთა სრულიად საკავშირო ასოციაცია). მაგრამ ეს ორგანიზაცია იმდენად უსიცოცხლო გამოდგა, რომ ახლა კაცს გაუჭირდება სთქვას—ნამდვილად არსებობს იგი თუ მხოლოდ ირიცხება პატივცემულ ნებაყოფლობით ორგანიზაციათა სიაში. ყოველ შემთხვევაში პროფკავშირებმა ბევრად უფრო, ვიდრე დღემდე, უნდა წასწიონ წინ ტეხნიკური ძალების საბჭოთა ორგანიზაციის საქმე, ამ კადრებისადმი ზემოთ მოხსენებული დიფერენციული მიდგომის დაცვით. ძველი ტეხნიკური კადრებისადმი დამოკიდებულების საკითხს და საერთოდ ინტელიგენციისადმი დამოკიდებულების საკითხს ეხლა ახალი სიმწვავე ეძლევა. ამ საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობა დაკავშირებულია კლასობრივ გადაჯგუფებებთან ჩვენს ქვეყანაში.

#### ბრძოლა უცხო იდეოლოგიურ გავლენასთან

სოციალისტური და კაპიტალისტური ელემენტების ბრძოლის გამწვავება ტეხნიკური კადრებისა და საერთოდ ინტელიგენციისაგან მოითხოვს უფრო ნათელ და გარკვეულ საზოგადოებრივ პოზიციას. ყოველი ინჟენერისა და ტეხნიკოსის, ყოველი ინტელიგენტის წინაშე ამჟამად განსაკუთრებით მწვავედ ისმება გზის არჩევანის საკითხი, საკითხი იმის შესახებ, რომ შეუერთდეს სოციალიზმის მშენებელთა არმიას, თუ თავისი ბედ - იღბალი დაუკავშიროს დაღუპვის გზაზე მდგომი კლასების ნაშთებს. საშუალო პოზიცია, ე. ი. აშმორებულ წვრილბურჟუაზიულ ჭაობში ყოფნა, ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინად შეიძლება ვინმეს რევოლუციის ქარიშხალისაგან მხსნელ ნავთსაყუდლად ეჩვენებოდა, მაგრამ სოფლად დაწყებული წვრილი მეურნეობის მასიური სოციალისტური გარდაქმნა, რაც აუცილებლად იწვევს კლასობრივი ბრძოლის უაღრესად გამწვავებას ჩვენს ქვეყანაში, დღითი—დღე სპობს ამ მხრივ კიდევ დარჩენილ ილიუზიებს. ძლიერდება დიფერენციაცია ინტელიგენციაში, კერძოდ მისი ძველი კადრების წრეში. ამ უკანასკნელ დროს ეს გამოხატულებას პოულობს მთელ რიგ საყურადღებო ფაქტებში. მაგალითად, ლიტერატურულ წრეში გაიმართა [illegible] იმ საკითხის ირგვლივ, რომ დასაშვებია თუ არა საბჭოთა მწერლისათვის — დაბეჭდოს თავისი ნაწარმოები საზღვარგარეთელ თეთრგვარდიელ გამოცემებში. ასეთ დავას ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინად ადგილი არ ჰქონია. მწერალ პილნიაკის მიერ ემიგრანტთა ბერლინის გამოცემაში მოთხრობა „წითელი ხე"-ს მოთავსებამ პროტესტების მთელი ტალღა გამოიწვია. ამ ფაქტმა დიდი როლი ითამაშა მწერალთა წრის დიფერენციაციის საქმეში. ამ საკითხთან დაკავშირებით, იწმინდება დამყაყებული ატმოსფერა მწერალთა ზოგიერთ ორგანიზაციაში. ვგონებ, როგორც იქნა, დღის სინათლეზე გამოჩნდა საბჭოთა მწერლების ფედერაცია, რომელიც ფორმალურად თითქმის ამ ორი წლის წინად დაარსდა. შეიძლება მხოლოდ ვისურვოთ, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგიით გამსჭვალული მწერლების ანტი - საბჭოთა გამოსვლებთან ბრძოლაში ნამდვილად პროლეტარულად აღიზარდონ ჩვენი მწერალთა კადრები. არ შეიძლება არ აღინიშნოს კიდევ ერთი საინტერესო მოვლენა ინტელიგენციის წრეში. მის ზოგიერთ წარმომადგენელთა შორის, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის საკითხებზე მომუშავეთა შორის, ეხლა შეიძლება შევხვდეთ აშკარა გამოსვლებს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის წინააღმდეგ, რასაც ფარავენ განცხადებებით მემარჯვენე გადახრასთან სოლიდარობის შესახებ. ამ ხალხს არ ესმის, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) პოლიტიკა შეუთავსებელია მემარჯვენე უკლონისტური იდეოლოგიის დაცვასთან. მათ არ ესმით, რომ ჩვენი პარტია შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს მემარჯვენე უკლონისტური იდეოლოგიის ყოველგვარ ტენდენციებთან, ვინაიდან ეს იდეოლოგია ბოლოს და ბოლოს არის მხოლოდ კაპიტალიზმის აღორძინების იდეოლოგია. ამ ხალხს, როგორც სჩანს, არ ესმის, რომ, როდესაც მათ თავი მოაქვთ „მემარჯვენე უკლონისტური" იდეოლოგიის მომხრეებად, იმ მემარჯვენე გადახრის მომხრეებად, რომლის ქადაგება შეუთავსებელია კომპარტიაში ყოფნასთან, ისინი სინამდვილეში აშკარავებენ თავიანთ წვრილბურჟუაზიულ, მენშევიკურ - ესერულ ბუნებას. ამ მაგალითიდან სჩანს, რომ მემარჯვენე საფრთხესთან ბრძოლის ყოველგვარი მიფუჩეჩება სინამდვილეში წარმოადგენს სამსახურის გაწევას მენშევიკებისა და ესერებისათვის, რომელნიც სცდილობენ თავი წამოყონ.

მოყვანილმა მაგალითებმა უნდა გვაიძულოს ჩვენ გავაძლიეროთ ბრძოლა მენშევიკურ - ესერულ გავლენასთან ჩვენი სახელმწიფო ორგანოების მუშაობაში. უკანასკნელ ხანებში უფრო ნათლად იჩინა თავი მენშევიკურ - ესერულმა გავლენამ, რომლებიც გამოხატავს კულაკისა, ნეპმანისა და ბურჟუაზიული ინტელიგენციის გავლენას ჩვენი სახელმწიფო აპარატის სუსტ ადგილებზე. ეს სოციალისტური და კაპიტალისტური ელემენტების ბრძოლის გამწვავების შედეგს წარმოადგენს. ეს ზეგავლენა თავს იჩენს ისეთ დარგშიაც კი, როგორიც არის, ჩვენი სტატისტიკა.

ამხ. მოლოტოვს მოჰყავს ამ დარგიდან რამდენიმე მაგალითი, საიდანაც სჩანს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში სტატისტიკური ნაშრომები სრულდებოდა ისე, რომ ვითომდა მიუდგომელი ციფრები სინამდვილეში; ამ ნაშრომების ავტორთა ბურჟუაზიულ-კულაკურ პოლიტიკურ დასკვნებს გამოხატავდნენ. ამ გარემოებასთან დაკავშირებით, ჩვენი სახელმწიფო სტატისტიკის მუშაობის ერთი ნაწილი სრულებით მიუღებელია მეცნიერული თვალსაზრისით: მასში ძლიერ იჩინა თავი ბურჟუაზიულ - კულაკური პოლიტიკის შეგნებულმა და შეუგნებელმა ინტერესებმა. ეს გამოუსადეგარი სტატისტიკა ხანდახან გზა-კვალს უბნევდა ჩვენს ამხანაგებს. ფაქტების ეს შემოწმება და ანალიზი, როგორც ყოველთვის, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ მენშევიკების ყველა ჭორის საუკეთესო მამხილებელ პასუხს წარმოადგენს.

იმ მაგალითებმა, რომლებიც ჩვენ მოვიყვანეთ ზოგიერთი სტატისტიკური ორგანოს მუშაობის დარგიდან, უნდა მოგვაგონოს ჩვენ ის გარემოება, რომ კომუნისტი კრიტიკულად უნდა მიუდგეს ციფრებს და, საერთოდ, ცნობებსა და მასალებს, რომლებსაც ჩვენ გვიდგენენ ბურჟუაზიული სპეციალისტები და ისინი, ვინც მათ კუდში მისდევს. მოყვანილი მაგალითები ამავე დროს მოწმობს იმას, რომ ჩვენს წინაშე მთელი თავისი სიგრძე - სიგანეზე სდგას პროლეტარული წითელ სპეციალისტთა კადრების შექმნის პრობლემა.

აქედან უნდა გავაკეთოთ ზოგიერთი პრაქტიკული დასკვნები არა მარტო ამა თუ იმ სტატისტიკური ორგანოების მიმართ.

მეორე მაგალითი შეეხება სამუშაო ხელფასს. დღემდე ჯერ კიდევ ძლიერია საბჭოთა კავშირის მუშათა ხელფასის ცვლილებების შეფასების საკითხში კადეტურ-მენშევიკური გავლენა. უკანასკნელ ხანებში სხვადასხვა ორგანოებში, რომლებიც ხელფასის ცვლილებათა სტატისტიკას აწარმოებენ, გაბატონებული იყო აშკარად მენშევიკური ტენდენცია დაემტკიცებინათ, რომ ვითომ, მიმდინარე წელს საბჭოთა კავშირის მუშების რეალური ხელფასი შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს უაზრო დასკვნები აშკარად ეწინააღმდეგებოდნენ სინამდვილეს, იყვნენ ისეთი ამხანაგები, რომლებიც მზად იყვნენ გაუკრიტიკებლად გაემეორებიათ ეს უნიადაგო ფრაზები. ამავე დროს, ამ მენშევიკური დასკვნების სრული სიყალბის დასამტკიცებლად საკმარისია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ხელფასის საკითხი ამჟამად არ წარმოადგენს მწვავე საკითხს მუშათა წრეებში, რომ მუშათა შორის სრულებით არ ისმის ხმები რეალური ხელფასის შემცირებაზე, და ეს მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენში სულ უფრო ფართოდ და ღრმად იშლება პროლეტარული თვითკრიტიკა. შესაფერი მასალების ელემენტარული შემოწმების შემდეგ ცენტრალურმა კომიტეტმა განსაკუთრებული დადგენილებით აღნიშნა, რომ ხელფასის აწევის შესახებ მიცემული დავალება თუმცა მთლიანად არ არის შესრულებული, მაგრამ ხელფასი მაინც გაზრდილია არა ნაკლებ 2-3 პროცენტისა.

დასასრულ კადრთა პრობლემის საკითხის შესახებ ამხ. მოლოტოვი აყენებს შემდეგ ძირითად ამოცანებს: ა) სახელმწიფო ორგანოების წმენდა, ბ) ახალი პროლეტარული კადრების თამამად დაწინაურება და გ) გაძლიერებული მუშაობა ახალგაზრდა კადრების აღსაზრდელად და აგრეთვე დღევანდელი პრაქტიკული მუშაკების კვალიფიკაციის ყოველმხრივი ამაღლება.

### ფართოდ გავშალოთ თვითკრიტიკა

რაც შეეხება პარტიის შინაურ ცხოვრებას, აქ ყურადღების ცენტრში უნდა იყოს საკითხი თვითკრიტიკის ლოზუნგის გაშლის შესახებ. ეს მთავარ ლოზუნგად გადაიქცა მუშების დასარაზმავათ ჩვენი სახელმწიფო, სამეურნეო, კოოპერატიული და პროფესიონალური ორგანიზაციებისა და აგრეთვე თვით პარტიული ორგანოების პრაქტიკაში ბიუროკრატიულ დამახინჯებასთან საბრძოლველად.

თვით პარტიის ის წმენდა, რომელიც ამჟამად სწარმოებს, ბოლოს და ბოლოს თვითკრიტიკის ლოზუნგის პრაქტიკულად გატარების ერთ - ერთი მაგალითს წარმოადგენს. შევეხოთ პარტიის წმენდას. აქაც ვერ არის საქმე სავსებით დამაკმაყოფილებლად. უნდა აღინიშნოს, რომ წმენდის დროს გარიცხულთა რიცხვი საბჭოთა უჯრედებში უფრო ნაკლებია, ვიდრე სხვაგან, კერძოდ, მუშათა უჯრედებში. უნდა შევამოწმოთ, ხომ ნაკლებ ყურადღებას არ აქცევს ორგანიზაცია უჯრედების წმენდას საბჭოთა აპარატში. ყოველ შემთხვევაში, უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა წმენდის ისეთ მეთოდებთან, რომლებიც არ ითვალისწინებენ მუშათა ფართო მასების, მათ შორის უპარტიო მასების, სათანადოდ ჩაბმას ჩვენი პარტიული რიგების შემოწმების საქმეში.

ამის შემდეგ მომხსენებელი გადადის თვითკრიტიკის ლოზუნგის გაშლის საკითხზე.

თავდაპირველად, — ამბობს ამხ. მოლოტოვი, — ეს ლოზუნგი, უმთავრესად, სამეურნეო ორგანოების მიმართ იყო წამოყენებული. სამეურნეო ორგანოების შემდეგ თვითკრიტიკის ლოზუნგით განსაკუთრებული ენერგიით დავიწყეთ პროფკავშირთა მუშაობის შემოწმება.

უკანასკნელ პერიოდის თავისებურებას წარმოადგენს თვითკრიტიკის ლოზუნგის პრაქტიკული გაშლა თვით პარტიულ ორგანიზაციათა მიმართ. თვითკრიტიკის ლოზუნგი ისე ფართოდ არასოდეს არ შეხებია ჩვენს ორგანიზაციებს, როგორც ახლა. საკმარისია ბაქოს და ლენინგრადის მაგალითების დასახელება. ბოლშევიკური თვითკრიტიკის ცეცხლმა აქაური პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში ახალი ნაკადი შეიტანა. მაგრამ ამავე დროს საჭიროა ბაქოს და ლენინგრადის განსხვავების გათვალისწინება. ბაქოში ჩვენ გვაქვს თვითკრიტიკის ლოზუნგისადმი ცუდი მიდგომის მაგალითი პარტიული ხელმძღვანელობის მხრით. აზერბეიჯანის ორგანიზაციის ხელმძღვანელები სიტყვით სცნობდნენ თვითკრიტიკის გაშლის საჭიროებას, მაგრამ საქმით, ნაკლებად ატარებდნენ მას ცხოვრებაში. სწორედ ამაში გამოიხატა ხელმძღვანელობის ჩამორჩენა მუშათა მასების აქტივობისაგან, და თვით პარტიული ორგანიზაციის ზრდისაგან. იმის გამო, რომ ბაქოს ხელმძღვანელობამ ვერ გაიგო თვითკრიტიკის ლოზუნგის მნიშვნელობა, იგი მივიდა გაკოტრებამდე. პარტიული მასების აქტიური მხარის დაჭერით ცენტრალურმა კომიტეტმა შესცვალა ეს პარტიული ხელმძღვანელობა. ახლა აზერბეიჯანის პარტიული ორგანიზაცია, მუშების აქტიური დახმარებით, სულ უფრო მტკიცედ ირაზმება პარტიის ძირითადი ამოცანების გატარების საფუძველზე.

ლენინგრადში ჩვენ გვქონდა სხვა მდგომარეობა. ლენინგრადის მთავარი განსხვავება ბაქოსაგან ის არის, რომ ლენინგრადის პარტიულმა ხელმძღვანელობამ მუშაობის ნაკლოა იმ გადაჭრილი მხილების საპასუხოდ, რომელიც პარტიის ცენტრალურმა ორგანომ „პრავდა"-მ დაიწყო, არა მარტო აშკარად აღიარა ორგანიზაციაში აღმოჩენილი ნაკლოვანებები, არამედ, გადაჭრით ჩაუდგა სათავეში თვითკრიტიკის გაბედულ გატარებას ლენინგრადში. ლენინგრადის საოლქო კომიტეტმა აღიარა, რომ „უკანასკნელ ხანებში ორგანიზაციაში შემჩნეული იყო თვითკრიტიკის რამდენიმედ შესუსტება",

ამასთან ერთად ლენინგრადის საოლქო კომიტეტმა ორგანიზაციას მიმართა მოწოდებით „გაბედულად ამხილოს თავისი ნაკლოვანებანი, უფრო გადაჭრით და დაუნდობლად აღმოფხვრას ბიუროკრატიული იარები, უფრო ფართოდ გაშალოს ყველა ჩვენი ორგანოსა და დაწესებულების მუშაობის პროლეტარული კონტროლი, უფრო ფართოდ და დაჩქარებით დააწინაუროს პროლეტარული კადრები დაზგიდან ხელმძღვანელ სამუშაოზე". ამ ლოზუნგის განხორციელება უზრუნველყოფს საბჭოთა, პროფესიონალურ და პარტიულ ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებას და უფრო ფართო მასიურ მხარის დაჭერას მუშების მხრით. შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ლენინგრადელი ბოლშევიკები და მათი ხელმძღვანელი ცენტრი სწორად მიუდგნენ თვითკრიტიკის პრაქტიკული გაშლის საკითხს, რაც უზრუნველყოფს მუშათა მასების უფრო ფართო მონაწილეობას სახელმწიფო აპარატის ადგილობრივი ორგანოების გაუმჯობესებისა და განმტკიცების, წარმოების ზრდის, ფაბრიკებსა და ქარხნებში შრომის დისციპლინის ამაღლების და მასთან ერთად თვით პარტიული ორგანიზაციის განმტკიცების საქმეში. ყველაფერი ეს წარმოადგენს აუცილებელ პირობას პარტიის ხაზის ოპორტუნისტული დამახინჯების წინააღმდეგ ნამდვილად დაუდალავი, ნამდვილად პროლეტარული და ნამდვილად ბოლშევიკური ბრძოლისათვის. რამდენად ფართოდ და ხშირად აქვს პრაქტიკაში ადგილი პარტიის ხაზის ოპორტუნისტულ დამახინჯებას, ამის დანახვა ადვილად შეიძლება რამდენიმე მაგალითის მოყვანით. აქ შევჩერდები ორ ამგვარ მაგალითზე.

ამხ. მოლოტოვს მოჰყავს პარტიის ხაზის აშკარა ოპორტუნისტული დამახინჯების მაგალითი, რომელსაც ადგილი ჰქონდა სასოფლო - სამეურნეო გადასახადის გატარების დროს და, რომელიც გამოიხატა დაბეგვრის ობიექტების არა მთლიან აღრიცხვაში და, სოფლის კულაკური ზედაფენის არა საკმაო დაბეგვრაში. შემდეგ მოლოტოვი ლაპარაკობს კულაკურ - ესერული ბუდის შესახებ, რომელიც მხოლოდ ამ დღეებში იქნა აღმოჩენილი კოლექტიურ მეურნეობაში — „წითელ მელიორატორ"-ში, რომლის თავმჯდომარე — ამხ. პანოსენკო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და კოლექტიურ მეურნეობათა სრულიად საკავშირო საბჭოს შემადგენლობაშიც კი იქნა შეყვანილი სამაგალითო მუშაობისათვის, — საქმით სიაშკარავით სწარმოებდა ანტი-საბჭოთა პროპაგანდა.

განა ეს შემთხვევა არ გამოხატავს იმ ფაქტს, რომ მემარჯვენე უკლონისტური გადამახინჯებანი სინამდვილეში სასარგებლოა ესერულ და კულაკურ ელემენტებისათვის? განა ეს შემთხვევა არ მოწმობს, რომ თვითკრიტიკის ყოველმხრივი გაშლა პარტიის და საბჭ. ხელისუფლების ხაზის გადამახინჯებასთან საბრძოლველად სინამდვილეში არის ერთ-ერთი ელემენტარული წინასწარი პირობა საბჭოთა კავშირის სოციალის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი უმსგავსო დოკუმენტის შესახებ

ქვევით ჩვენ მოგვყავს მნიშვნელოვანი ნაწილი ერთი თვალსაჩინო ტროცკისტის სოლნცევის წერილისა თავის თანამოაზრეებისადმი, რომლებიც ამ ჟამად წარმოადგენენ ტროცკისტების ხელმძღვანელ უჯრედს და რომლებიც რჩებიან ოპოზიციის „პლატფორმის შეუდრეკლად ერთგული დამცველები". ეს დოკუმენტი დაწერილია სამი თვის წინად და სავსებით ამჟღავნებს ტროცკისტული ოპოზიციის მანევრებს.

„ის, რაზედაც ამ ორი თვის წინად წერდით, — სწერს სოლნცევი,—როგორც შესაძლებელ პერსპექტივაზე, გახდა ფაქტი. თავს დაგვატყდა კატასტროფა, გაბატონებული განწყობილებაა—პანიკა, დაბნეულობა და მდგომარეობიდან ინდივიდუალური გამოსვლის ძიება. განსაკუთრებით მძიმე შეიქნა ყველგან შინაური ურთიერთობა, რომელიც მაინცა და მაინც არც წინად იყო კარგი. სამეულის გაუგონარმა გამცემლობამ გასწყვიტა ყოველგვარი მორალური თავშეკავება და პრინციპები, რომელიც ზოგიერთი ნაბიჯების გადადგმას გვიკრძალავდა. სრული იდეური და მორალური გახრწნაა, არავის არაფერი სჯერა და არაფერი სწამს. ჩამოვარდა ურთიერთი უნდობლობა, ჯგუფური მსჯელობა, განკერძოება და უცხოობა ერთი მეორისადმი. ყველას ეშინია, რომ მას გასცემენ, რომ მას სხვა დაასწრებს და ამიტომ თითეული ცდილობს ყველას დაასწროს, რომ არ დაიგვიანოს, რომ თვითონ სხვების ზურგს უკან შესძვრეს პარტიაში. ყველა საგუბრები გაგლეჯილია. თვით ის ხალხიც კი, რომელსაც კარგად ესმის, რომ მემარცხენე ფრთის არსებობა ჯერ კიდევ საჭიროა, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის გაკეთებული, რომ საჭიროა ჯერ კიდევ ვისიმე დარჩენა საქმის დასამთავრებლად, თვით ეს ხალხიც კი ამჯობინებს, რომ დარჩნენ სხვები. მათი მთავარი შიში ის არის, რომ ფიქრობენ — რამდენათ ნაკლები ხალხი დარჩება საქმის დასამთავრებლად, იმდენად ნაკლები შანსი ექნებათ პარტიაში უკან დაბრუნებისა, რომ ჩამორჩენილნი, თუ ისინი მცირე აღმოჩნდებიან, შეიქნებიან მსხვერპლი. იმ მცირე რიცხოვან ამხანაგებს, რომელთაც არ დაუკარგავთ არც თავი და არც შეხედულებები, თვით არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ: მათ არ შეუძლიათ პანიკის შეჩერებაც კი. ტობოლსკში შეიქმნა კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც დღემდე მტკიცედ იდგა, ხოლო ეხლა კი განაცხადა თანხმობა ივ. ნიკ..თან (ლაპარაკია, ალბათ, ივ. სმირნოვზე. რედაქცია), რომელიც საერთოდ კაპიტულიანტების მორიგე ბელადია და რომლის თვალსაზრისი გახდა შუამდებარე ეტაპათ მათთვის, რომლებსაც არ შეუძლიათ სხვადასხვა მიზეზების გამო ერთბაშად პირი იბრუნონ სამეულის პოზიციისაკენ. მთელი ეს გარემოება, რომლის მიზეზებს მე არ შევეხები, უნდა იქნას ჩვენი გამოსავალი წერტილი. კატასტროფა რომ შევაჩეროთ, საჭიროა სწრაფი, გაბედული სახიფათო და სარისკო ნაბიჯების გადადგმა, რადგან ჩვენ შეუწყნარებლათ დავიგვიანებთ. ჯერ კიდევ ორი თვის წინად შეიძლებოდა უფრო ნაკლები რისკით და უფრო ნაკლებ სამძიმო პოზიციებით ამ გამოსავალის გამონახვა. ეხლა საჭიროა უფრო მეტის დათმობა. ოფიციალური წერილი, რომელიც თქვენ გეგზავნებათ, არის ის, რომლითაც ჯერ-ჯერობით უნდა შევაჩეროთ ხალხი. მე არ ვეთანხმები ,როგორც ამას სჩადიან ზოგიერთები, წერილის მთელ რიგ ადგილებს, მაგრამ იძულებული გავხდი იგი მიმეღო, რადგან სხვა შემთხვევაში აუცილებლად მოხდებოდა განხეთქილება — რასკოლი. როგორ მესმის მე ის ნაბიჯი, რომელსაც ამ წერილში ვეირჩევენ? რატომ ვთვლი მე საჭიროდ ამ ნაბიჯის გადადგმას? ეს არ არის საქმე იმ პირების, რომლებიც ჩამოგვშორდნენ. ხვალ რომ ივან ნიკოლოზის ძემ ან სხვა ვინმემ დასწეროს რამდენადმე უკეთესი განცხადება, ვიდრე სამეულმა დასწერა, იგი გარშემო შემოიკრებს ოპოზიციის სამ მეოთხედს მაინც. თითქმის უეჭველია, რომ ივან ნიკოლოზის ძე დასწერს ასეთს განცხადებას, რომელშიაც უმთავრესი ადგილები ეჭირება ფრაქციული ბრძოლის შეწყვეტის საკითხს. თუ ის ამ განცხადებას რაიმე მიზეზით არ დასწერს, ასეთი ხასიათის განცხადებანი (ინდივიდუალური და ჯგუფური) კოლონიებიდან იწყებენ დენას. ასეთი ნაბიჯი—ფრაქციული მუშაობის უარყოფა—აუცილებლად უახლოესი ნაბიჯი იქნება, რომელსაც გადადგამს ოპოზიციის უდიდესი უმრავლესობა. რადგან განცხადება იმ სახით, რა სახითაც მას დასწერს ივან ნიკოლოზის ძე ან სხვადასხვა ჯგუფები, ჩვენთვის მიუღებელი იქნება, ამიტომ ჩვენ პატარა ჯგუფად დავრჩებით, მოგწყდებით და განვმარტოვდებით ყველაფრისა და ყველასაგან, ხოლო მათთვის ეს ნაბიჯი გადაიქცევა ხანმოკლე ეტაპად კაპიტულიაციის წინ. ჩემის აზრით, ჩვენი ამოცანა ის იქნება, რომ ვეცადოთ და ეს ნაბიჯი, რომლის თავიდან აცილება არ შეგვიძლია, გადავაქციოთ ჩვენს მანევრად, მაგალითად, ისეთ მანევრად, როგორიც მოვახდინეთ 1926 წლის 16 ოქტომბერს. ვფიქრობ, რომ ამ გზით შეიძლება დროებით შევაჩეროთ ან ერთგვარ საზღვრებში ჩავაყენოთ ახლანდელი უწესრიგო პანიკური უკანდახევა და თაოსნობა ჩავიგდოთ ხელში თუნდაც ამ უკადრისი ნაბიჯის საშუალებით.

მე ამაზე ძალიან დიდ იმედებს არ ვამყარებ; მე ვხედავ ამ ნაბიჯთან დაკისრებულ ყველა უარყოფითსა და სახიფათო მხარეს, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ორი გზაღა დაგვრჩენია: ან სტიქიას მივანდოთ საქმე და მიუშვათ თავი მოძრაობას, რომ სრულიად გაიხრწნას იგი, ან გამოვიყენოთ ის მცირე შანსები, რომელთა მოცემაც ასეთ ნაბიჯს შეუძლია.

რა დადებითი შედეგების მოცემა შეუძლია ამ ნაბიჯს, თუ მოხერხდება მისი გადადგმა? პირველ ყოვლისა, როგორც უკვე ვსთქვი, თაოსნობას ვიგდებთ ხელში, თუმცა მეტის-მეტად უკადრისს პოზიციაზე; თაოსნობას კი უკან დახევის დროს ხშირად უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე შეტევის დროს. მეორე — ეს შანსებს გვაძლევს, რომ ამ პოზიციებზე ერთ ნაწილს შევინარჩუნებთ. უკვე ის ფაქტი, რომ ზემოდან ერთგვარი ნაბიჯი იქნება გადადგმული, რაოდენადმე შეანელებს პანიკას და სიმშვიდეს შეიტანს საქმეში. უკან დახევის შეჩერება მხოლოდ ასეთ პოზიციაზე შეიძლება; რადგან ჩვენ დავიგვიანეთ, რადგან ძალიან შორს დავიხიეთ, უკან დახევის შეჩერება მხოლოდ ძალიან შორეულ პოზიციებზე შეიძლება. აქ მაინც უნდა შევაჩეროთ იგი.

ძალიან ბევრი მოაწერს ხელს განცხადებას ფრაქციული მუშაობის უარყოფის შესახებ, მიუხედავად იმისა, თუ ვინ დასწერს მას; მაგრამ სულ სხვა საქმეა, თუ მას დასწერს ივან ნიკოლოზის ძე ან მას ინდივიდუალურად ან ჯგუფურად დასწერენ და სულ სხვა საქმეა, თუ ამ ნაბიჯს თქვენ გადადგამთ: კასიორი, ოკუჯავა, მუჟალოვი, ბელობოროდოვი და სხვანი. პირველ შემთხვევაში ეს უეჭველად იქნება წაწლის გადადგმა ოპოზიციის ლიკვიდაციისათვის, მეორე შემთხვევაში იგი შეიძლება გადაიქცეს დასაყრდენ მანევრად მისი შენარჩუნებისათვის. რა და რა საფრთხე მოგველის ამ გზით?

მთავარი საშიშროება ის არის, რომ იგი შეიძლება გაუგებარი დარჩეს ოპოზიციას და, შეიძლება, მან გააიგივოს რა კაპიტულიანტები,—ჩამოგვაშოროს პლატფორმის ერთგულნი. შეიძლება, ერთად-ერთი გარანტია იქნეს ის, რომ ეს ნაბიჯი გადადგმული იქნება ხელმძღვანელების მიერ, რომლებისადმი ნდობა კიდევ შენახულია. ისინი, ვინც ერთბაშად ვერ მიხვდება მანევრის აზრს და მნიშვნელობას და მორთავს ყვირილს, როგორც ეს მოხდა 16 ოქტომბერს, ცოტა არ იყოს შეჰყვრებიან. ეს შეეხება ჩვენს მემარცხენე ფლანგს, რომელიც ჯერ კიდევ დაფოთხავს ცაში, განსაკუთრებით ჩვენს ახალგაზრდობას, რომელიც როგორც ყოველთვის — დაზეპირებულივით, იმეორებს უფროსების ცოდვებს და კეთილ საქმეებს.

საჭიროა ახალგაზრდობის მიმართ მეტად ფრთხილი და მორიდებული მოპყრობა, მით უმეტეს, რომ კაპიტულიანტებს ემჩნევათ მიდრეკილება—გახადონ ეს ახალგაზრდები ვანტეების მთავარ ვერძებათ. მათ, თუ ფრთხილად მოვექცევით, არ დავკარგავთ, ხოლო მათი შეჩერება კი საჭიროა, შემოდგომამდე მაინც. შემოდგომაზე კი, უეჭველია, მთელს ჩვენს ქვეყანაში და, მაშასადამე, პარტიაშიდაც გაჩაღდება დიდი დავა—ბრძოლა. მაშინ მოვლენათა მიმდინარეობა წარმოშობს ორ შესაძლებელ ვარიანტს: ან გვექნება ისეთი შანსები, რომ უფრო ხელსაყრელ პირობებში მთელი მიმართულებით თავს ამოვყოფთ პარტიაში, ან ჩვენ ისევ დავიწყებთ ბრძოლას. სწორედ ამიტომ ჩვენთვის აზრი და მნიშვნელობა აქვს — რაც შეიძლება, ბევრი შევაჩეროთ. რაც შეეხება იმ კადრებს, რომელთა შეჩერება არ არის საჭირო, ჩვენ მათ ვაყენებთ იმაზე უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში, ვიდრე 16 ოქტომბრამდე იყვნენ. ჩვენ გამოგვყავს ისინი მტრის ცეცხლის რკალისაგან, არ ვაძლევთ მათი გარიყვის საშუალებას, ვღებულობთ შესვენებას ჩვენი რიგების გადასახალისებლად, ვეძლევა ოდნავი დაცვის შესაძლებლობა. მე კიდევ ხაზს ვუსვამ, რომ დღევანდელ პირობებში ეს მეტის-მეტად სახიფათო და სარისკო ნაბიჯია, ეს ბანკზე გათამაშებაა, ეს თითქმის ავანტიურაა, რომელმაც შეიძლება დააჩქაროს ჩვენი დალუპვა, თუ ჩვენ წინასწარ არ გავითვალისწინებთ ყველა უარყოფითს შედეგებს და არ შევეცდებით მათ დაძლევას. მაგრამ, თუ ჩვენ ამ ნაბიჯს არ გადავსდგამთ, დალუპვა აუცილებელია. ზემოაღნიშნულის გარდა, საჭიროა გავითვალისწინოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ჩვენ შეგვიძლია აღუთქვათ ფრაქციული მუშაობის შეწყვეტა, დროებით დავდუმდეთ კიდეც, მაგრამ ეს არ შეუძლია თავის მდგომარეობის გამო არც ლ. დ.—ს (ტროცკი) და არც ჩვენს უცხოელ მეგობრებს. შეიძლება, ჩვენს შორის ჩამოვარდეს მეტად სახიფათო შეუსაბამობა, სწორედ ამიტომ საჭიროა მათაც სათანადოთ შესცვალონ თავისი ტაქტიკა, შეუთანხმონ იგი ჩვენს ნაბიჯს.

კრიტიკაზე უარის განუცხადებლად, მათ უნდა შეარბილონ ამ კრიტიკის ფორმები, აღიარონ პარტიის მარცხნივ გადახრა, და ისე, როგორც მეექვსე კონგრესისადმი შეტანილ განცხადებაში, აღუთქვან ხელის შეწყობა მემარცხენე ღონისძიებებისათვის, ხაზი გაუსვან ჩვენს ისტორიულ სისწორეს, ამტკიცონ, რომ ცხოვრებამ ჩვენ გაგვამართლა, რომ ჩვენ სწორედ ამისათვის ვიბრძოდით. არ ვიცი, მოვახერხებთ თუ არა ყოველივე ეს ვაცნობოთ მათ; არ ვიცი აგრეთვე, შევსძლებთ თუ არა ჩვენ დავარწმუნოთ ამის აუცილებლობაში ლ. დ., რომელსაც ალბად ძალიან მცირე ცნობები აქვს ჩვენი მდგომარეობის შესახებ,—ყველაფერი უნდა ვქნათ ჩვენი მოძრაობის და თვით მისი თავის გადასარჩენათ".

**განა საჭიროა, ამ წერილს კიდევ რამე დაუმატოთ? იგი მთელი ცინიკური გულახდილობით ააშკარავებს ყველაფერს. მიუხედავად ამისა, საჭიროა შევჩერდეთ ამ წერილზე, რადგან იგი აშუქებს ოპოზიციის მხრით უკანასკნელ ხანებში გადადგმულ ნაბიჯებს.** იგი საშუალებას აძლევს ბოლშევიკურ ელემენტებს, რომლებიც ტროცკისტების გავლენის ქვეშ მოჰყვნენ, უფრო ნათლად დაინახონ ის გზა, რომელზედაც დააყენა ტროცკისტები პარტიის წინააღმდეგ ბრძოლამ. ფაქტიურად ფრაქციული დისციპლინა უკვე დიდი ხანია მოისპო ტროცკისტებისთვის, როგორც მთლიანად ერთეულისთვის. პარტიის ან ფრაქციის თვალსაზრისით ტროცკისტები დანაწილდენ მთელ რიგ ჯგუფებად და პატარა ჯგუფებად. ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ფაქტები მისი, თუ 12 ტროცკისტს შორის როგორ წარმოიშვა ოთხი თუ მეტი მიმდინარეობა. იყო დრო, როცა ფრაქციული დისციპლინა აკავებდა იმათაც კი, რომელთაც ოპოზიციის სიმართლე არ სწამდათ, მაგრამ რამდენად უფრო ვითარდებოდა ბრძოლა, იმდენად უფრო ნათელი ხდებოდა ოპოზიციონერთა უმრავლესობისათვის, რომ ისინი ჩიხში მოამწყვდიეს, რომ ამ ჩიხიდან გამოსვლა შეიძლება მხოლოდ თავის შეცდომების აღიარებით, ფრაქციული ბრძოლის გაკიცხვით, ტროცკისტებიდან ორგანიზაციული და იდეური ჩამოშორებით, ტროცკის კონტრ-რევოლიუციონური ნაბიჯების გაკიცხვის და პარტიის მიერ დაგმობილ პლატფორმაზე ხელის აღებით.

ოპოზიციის ზედაფენა თავს იმით ინუგეშებდა, რომ მხოლოდ იაროსლავსკისა და მოლოტოვს შეუძლია ისე დასახონ ოპოზიციის დღევანდელი მდგომარეობა, როგორც რღვევა, დაშლა და სხვ., როგორც ოპოზიციის კუბო და აღსასრული. მაგრამ მაინც ოპოზიციონერებს შორისაც მოიპოვებიან ყოფილი ბოლშევიკები, რომელნიც დაიბნენ და ასცდნენ ლენინურ გზას, მაგრამ რომელთაც არ შეუძლიათ მისდიონ ტროცკის ყველა მის გზებზე, არ შეუძლიათ მხარი დაუჭირონ არც „აგვისტოს ბლოკს", არც მის მონაწილეობას ბურჟუაზიულ პრესაში, არც მის გამოსვლას ანტიიმპერიალისტური დღის წინააღმდეგ, არც მის ანტისაბჭოთა ლოზუნგებს, განსაკუთრებით იმ ლოზუნგებს, რომლებიც მან 1928 წლის მიწურულში წამოაყენა.

მეორე პარტიის საკითხმა აქ სავსებით გარკვეული როლი ითამაშა. ოპოზიციონერების ნაწილს გულწრფელად სჯეროდა, რომ ფრაქციის შექმნა ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა გზას მეორე პარტიის შექმნისაკენ. ტროცკისტები დაჟინებით ამტკიცებდნენ, რომ მათ არ სურთ მეორე პარტიის შექმნა, რომ მათ არა აქვთ ასეთი განზრახვა. ამჟამად კი შეიძლება დოკუმენტალურად დავამტკიცოთ, რომ 1928 წლის მიწურულში ტროცკი პირდაპირ დირექტივებს იძლეოდა მეორე პარტიის ორგანიზაციის შესახებ. ასეთი დირექტივა მიიღო, მაგ., ბუდუ მდივანმა 1928 წლის დეკემბერში, რის შესახებ ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში მოიპოვება თვითონ ოპოზიციონერების მიერ შემოტანილი განცხადებები. ოპოზიციონერებს კი ეს საკითხი ბუდუ მდივანმა გააცნო. რომ დავინახოთ, თუ როგორი იყო ტროცკის გეზი 1928 წლის მიწურულში, ამისათვის საკმარისია გავეცნოთ ზოგიერთ მის დირექტივებს, რომლებიც ამ პერიოდს ეკუთვნის. ტროცკი მაშინ ფიქრობდა, რომ „კაპიტულიანტურ განწყობილებებს (ასეთ განწყობილებებად სთვლიდნენ ფრაქციული ბრძოლის ლიკვიდაციის ყოველივე ცდას, საკუთარი შეცდომების აღიარებას და პარტიაში დაბრუნებას. П.) არ თანაუგრძნობენ"-ო. და ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ ესეც თავის მოტყუილება იყო, რომლითაც იკვებებოდა და სხვებსაც ატყუებდა ტროცკი. მაგრამ როგორი იყო თვითონ მისი გეზი?

ტროცკის აღებული ჰქონდა გეზი სამოქალაქო ომის აუცილებლობაზე, იმის აუცილებლობაზე, რომ მისი პარტია არალეგალურ მდგომარეობაში უნდა გადასულიყო. იგი სწერდა:

„ყველა ამხანაგი ბოლომდე ვერ უფიქრდება შექმნილ მდგომარეობას პრაქტიკული თვალსაზრისით. ჩვენ უნდა ავიღოთ გეზი უარეს ვარიანტზე. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმედის დამყარება იმაზე, რომ საქმე თავისთავად გამოსწორდება, თუ ჩვენ „ცოტა დავეხმარებით". შორს დამიზნების პოლიტიკა მოითხოვს შინაური წესით მუშაობისა და პარტიზანობის დაძლევას. საქმე მეტად სერიოზულად უნდა დავაყენოთ".

ტროცკი ოფიციალურ დოკუმენტში გვარწმუნებდა, რომ იგი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების „რეფორმის" დამცველი იყო, იგი აცხადებს, რომ სამოქალაქო ომის დროისათვის (ყოველი შემთხვევისათვის) იგი ყალბ პასპორტს იძენდა. აი, დაახლოებით ასე აფასებდა იგი მდგომარეობას 1928 წლის ბოლოს. საბჭოთა ხელისუფლებას ბოლო ეღება, შეიძინეთ ყალბი პასპორტებიო. ეს არის პანიკიორობის, გულგატეხისა და რევოლიუციისადმი რწმენის სრული უქონლობის უკანასკნელი გამოხატულება. ამიტომ იგი ურჩევდა თავის მომხრეებს:

„შეიძლება დადგეს ისეთი მომენტი, იგი შეიძლება შედარებით ჩქარა დადგეს, როდესაც არალეგალური ბაზისები დასჭირდება პარტიის ყველა პროლეტარულ ელემენტს. ასეთია ჩვენი არალეგალური ორგანიზაციის შესაძლებელი ისტორიული ტენდენცია. ამჟამად ჩვენთვის მთავარი მნიშვნელობა აქვს პროპაგანდის საკითხებს (აგიტაციის ჩათვლითაც). მაგრამ თუ კლასობრივმა მტრებმა დაგვასწრო, ჩვენი არალეგალური ორგანიზაცია გადაიქცევა სამოქალაქო ომის არალეგალურ ორგანიზაციად ძლევამოსილი ტერმიდორის წინააღმდეგ. უნდა ვემზადოთ ამ უარესი ვარიანტისათვის. ამიტომაც ორგანიზაციულ-ტექნიკური მუშაობა უნდა დავაყენოთ ზევრად უფრო სერიოზულად, სისტემატიურად, მეტი კონსპირაციის დაცვით და შრომის უფრო წესიერი განაწილებით. უფრო ხელსაყრელი განვითარების დროს ეს „არალეგალური ორგანიზაცია" აღორძინებულ პარტიაში გაითქვიფება, ხოლო ნაკლებ ხელსაყრელი განვითარების დროს ნამდვილი პარტია დაირაზმება ამ არალეგალური ორგანიზაციის ირგვლივ".

თუ გავიხსენებთ, რომ ტერმიდორიანელებად ტროცკი სთვლიდა ჩვენი პარტიის, საბჭოთა ხელისუფლებისა და წითელი არმიის ხელმძღვანელ კადრებს, რომ თვით წითელ არმიას სთვლიდა და სთვლის ტერმიდორიანულად და სხვა, ამ დირექტივების დროს მეორე პარტიისა და სამოქალაქო ომის საკითხის დასმას სავსებით ცხადი აზრი ეძლევა. ტროცკი მოუწოდებდა თავის კადრებს მომზადებულიყვნენ სამოქალაქო ომისათვის და ამ მიზნით შეექმნათ თავიანთი პარტია. ამავე მიზნით ტროცკი აძლევდა მათ მთელ რიგ მითითებებს, თუ როგორ უნდა ეკეთებიათ ეს საქმე. ზოგიერთ ამ მითითებათაგანი ყურადღების ღირსია. მაგალითად, დაახლოვებით ამავე დროს ტროცკი იძლევა დაწვრილებით დირექტივებს, რომლებშიაც თავის მიმდევრებს ურჩევს წამოაყენონ რაც შეიძლება უფრო დემაგოგიური ლოზუნგები, რის მოგონებაც კი შეიძლება, იმ მიზნით, რომ სოლელები აიყოლიონ და ტროცკისტების ირგვლივ დარაზმონ ყველა, ვისი დარაზმვაც კი შეიძლება საკავშირო კომპარტიის (ბ) წინააღმდეგ. იგი განსაკუთრებით ურჩევს თავის მიმდევრებს „მთავარი ყურადღება მიაქციონ ორგანიზაციულ-პრაქტიკულ საკითხებს, შრომის სასტიკად განაწილებას, კონსპირაციის წესების დაცვას და გაუფრთხილებელთა ჩამოშორებას საკავშირო მუშაობიდან".

„ახალგაზრდა ამხანაგები —ქადაგებს იგი—როგორც სჩანს, არ იცავენ კონსპირაციის ელემენტარულ წესებს (ეს დასკვნა გამომყავს ზოგიერთ კერძო ნიშნების მიხედვით). უნდა გავცეთ ამის შესახებ მოკლე ინსტრუქცია, რისთვისაც უნდა გამოვიყენოთ არქივებიდან ძველი მასალები, უნდა გამოვყოთ ინსტრუქტორები, რათა სათანადოდ ავამოძრავოთ ჩვენი მომხრენი".

დეე ეხლა ტროცკიმ „აამოძრაოს" პაზები და ტრენები, როგორც ტროცკისტები სცდილობდნენ გამოეყენებინათ კონსპირატიული მუშაობისათვის ჩვენი პარტიისა და კომინტერნის წინააღმდეგ ზოგჯერ არც თუ ცუდი ახალგაზრდობა, რომელსაც თავგზა აუბნია ოპოზიციის ლიდერების დემაგოგიურმა დაპირებებმა და მათმა უსინდისო კრიტიკამ იმ დეფექტებისა და სიძნელეებისა, რომლებსაც განიცდის პროლეტარული დიქტატურის ქვეყანა. დეე სცადონ მათ ეხლა ასეთი ფაქტის წინაშე უარჰყონ, რომ საქმე ეხებოდა მეორე პარტიის შექმნას და რომ უბრალო ოპოზიციონერთა მასა მათ ბელადებს თვალახვეული მიჰყავდათ სამოქალაქო ომის ბარიერისაკენ მუშათა კლასის წინააღმდეგ, საკავშირო კომპარტიის (ბ) და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. განა გასაკვირია, რომ ეხლა, როდესაც ეს უბრალო ოპოზიციონერები ბევრ რამეს გებულობენ, ისინი სხვა თვალით უცქერიან თავიანთ გუშინდელ დღეს.

ხოლო მეორეს მხრივ ისინი ხედავენ მუშათა მასების რევოლიუციონური ენერგიის მსოფლიოში უნახავ გაშლას და მასების არაჩვეულებრივ ენთუზიაზმს სოციალისტური მშენებლობის საქმეში. ისინი ხედავენ სოციალისტური მშენებლობის ისეთ გაქანებას, რაზედაც ოცნებაც კი არ შეეძლოთ. განა გასაკვირია, რომ უბრალო ოპოზიციონერები მასიურად იწყებენ თავიანთი ბელადების მიტოვებას? თუ ბელადები მათთან არ ბრუნდებიან პარტიაში, ისინი გვერდს უვლიან თავიანთ ბელადებს და უბრუნდებიან პარტიას. ცუდია, რომ ისინი ზოგჯერ ამას არა თანამიმდევრობით, მხდალად სჩადიან, კიდევ შესცქერიან ოპოზიციის რომელსამე მარია მიხაილოვნას ან მურას და ეშინიათ, რომ ეს მარია მიხაილოვნა ან მურა დაგმობს კაპიტულიანტურ ნაბიჯს. ასეთ არა თანამიმდევარ ხალხს ჩვენ ვერაფერში გამოვიყენებთ. მაგრამ დღითი-დღე თვით ტროცკისტების შორის გამიჯვნა სულ უფრო და უფრო სერიოზულად და ღრმად წავა. ჩვენ მეტად ცუდი აზრის ვიქნებით ტროცკისტების გონებასა და პოლიტიკურ დონეზე, რომ სოლნცევის ზემოთ მოყვანილი წერილის გამოქვეყნების შემდეგ რომელიმე მათგანმა დაუჯეროს ტროცკის ან რომელსამე სხვას, რომ ნამდვილ ტროცკისტებს შორის მართლა მოიპოვება ოდნავ მნიშვნელოვანი კადრები, რომლებსაც აქვთ მტკიცე, პრინციპიალურად გამართული თვალსაზრისი, მით უმეტეს, რომ ჩვენ ვიცნობთ წერილს, რომლების ავტორებიც აცხადებენ, რომ ისინი მზად არიან ხელი მოაწერონ ყოველგვარ დოკუმენტს პარტიის სახელზე, თუ ეს განცხადება ამა თუ იმ ლიდერისგან იქნება შედგენილი. ჩვენ შევსძლებთ ასეთი უპრინციპობის შეფასებას.

ამიტომ პარტიის ყოველი წევრი გაიგებს იმ მანევრის მიზანს, რომლის ჩადენასაც ცდილობენ რაკოვსკი, სოსნოვსკი და სხვები, რომლებმაც შემოიტანეს განცხადებები იმ „უმსგავსო პოზიციის" მიხედვით, რის შესახებაც სწერს სოლნცევი რაკოვსკის. რისთვის შემოაქვთ ასეთი განცხადება? თურმე იმისათვის, რომ გზა შეუშალონ ოპოზიციის იმ ბელადს, რომელსაც შეუძლია ოპოზიციის სამ მეოთხედს მოაწერინოს ხელი განცხადებაზე ფრაქციული მუშაობის შეწყვეტის შესახებ. ცუდად იცნობენ ისინი პარტიას, თუ ფიქრობენ, რომ ამით შეიძლება მისი მოტყუება. პარტიას საკმაო გამოცდილება აქვს, მას საკმაოდ უნახავს ოპოზიციის მხრივ მოღალატური ნაბიჯები და დაპირებათა დარღვევა და მას ვერავინ მოატყუებს ისეთი მანევრებით, რაზედაც სწერს სოლნცევი და რის ჩადენასაც ამჟამად ლამობენ ოპოზიციის ზოგიერთი ბელადები. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციას ჰყავს ისეთი შესანიშნავი სტრატეგები, როგორიცაა სოლნცევი, რომლებსაც შეუძლიათ შეადგინონ შესანიშნავი, ზემოთ მოყვანილის მსგავსი, სტრატეგიული გეგმები, მთელ ამ სტრატეგიაზე სავსებით ნათელი წარმოდგენა ექნება ყოველ მუშას. ალბათ გამოუცდელმა მკითხველმაც კი მიაქცია ყურადღება იმას, რომ სოლნცევი ამ დოკუმენტში სცდილობს „წაბაძოს" ლენინს „სამარცხვინო ზავის" საკითხში. მაგრამ ის, რაც ბოლშევიკებს დასაშვებად მიაჩნდათ მტრის წინააღმდეგ, სოლნცევი ურჩევს თავის მომხრეებს გამოიყენონ ბოლშევიკების მიმართ. ასეთია პლაგიატორის „პატარა განსხვავება! (რედაქცია). ამ ვაჟბატონებს იმედი აქვთ უარესის, იმედი აქვთ სამოქალაქო ომის შესაძლებლობის, შეხლა-შემოხლის შესაძლებლობის. ასეთი ხალხი იმიტომ კი არ მოდის პარტიაში, რომ დაეხმაროს მას; ისინი იმის იმედით მოდიან, რომ „შემოდგომაზე უეჭველად დაიწყება დიდი შეხლა-შემოხლა ჩვენს ქვეყანაში და, მაშასადამე, პარტიაშიაც".

ისინი დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა, რომელსაც პარტია აწარმოებდა ამ წლების განმავლობაში, განგრძობილ იქნება, მიუხედავად იმისა, თუ რანაირ განცხადებას დასწერენ ესა თუ ის ტროცკისტები. თუ მათ კინკლაობის იმედი აქვთ, ჩვენ საშუალებას მივცემთ— ეკინკლაონ ერთმანეთს რამდენიც უნდათ, ისინი ვერ მოესწრებიან იმ დღეს, რომ „პარტიაში შეძვრენ მთელი თავისი მიმდინარეობით". სოლნცევის მზგავსი ტროცკისტები კარგს სჩადიან, რომ გვაცნობენ თავის გეგმებს. ჩვენ გვეცოდინება, თუ რას ფიქრობენ ისინი და რისი იმედი აქვთ. თუ მათი განცხადებანი, მათისავე სიტყვით, წარმოადგენენ „ვა-ბანკს, თითქმის (!) ავანტიურას, რომელსაც შეუძლია დააჩქაროს მათი დაღუპვა", ეს ვა-ბანკი, ეს ავანტიურა ისევე გაცამტვერებული იქნება, როგორც ტროცკისტების ყველა სხვა ავანტიურა.

გულუბრყვილობა იქნება იმის ფიქრიც, რომ ჩვენ მოგვატყუებენ ტროცკისტების მანევრები საზღვარგარეთ, სოლნცევმა რომ მოახერხოს კიდეც ტროცკის „დაჯერება", შეარბილებინოს ბრძოლის ფორმები, „აღიარებინოს" მემარცხენე გარდატეხანი და სხვადასხვა, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მადლობა უთხრათ სოლნცევს მკაფიოდ და ლიტერატურულად ჩამოყალიბებისათვის იმ გეგმებისა, რომლებიც ტროცკისტების მეთაურებს უტრიალებთ თავში, და იმ პერსპექტივებისა, რომლებიც მათ ასულდგმულებთ. ეს არის პერსპექტივები ტიხმიროვებისა, პერსპექტივები რენეგატებისა,პერსპექტივები პოლიტიკური ცხედრებისა, რომლებიც ძალიან მალე ამთავრებენ თავის გზას. ეს პერსპექტივები სახარბიელო არაა და მათ არ შეუძლია გაიტაცონ ის ელემენტები, რომლებიც ჯერ კიდევ საბოლოოდ დაღუპულნი არ არიან მუშათა კლასისათვის და რომლებიც ჯერ კიდევ მოიძებნებიან ტროცკისტებს შორის.

პარტია არ ეხარბება იმ ყოფილი ტროცკისტების რაოდენობას, რომლებიც მის რიგებს დაუბრუნდებიან. პარტია სხვა ელემენტების ხარჯზე იზრდება, პარტია იზრდება, უმთავრესად, წარმოების მუშების ხარჯზე და არა იმ პირთა ხარჯზე, რომლებიც მერყევ პოლიტიკურ პოზიციებზე დგანან და რომლებიც შეადგენდნენ ტროცკისტების მთავარ კადრებს. პარტია ხელს შეუწყობს იმ ამხანაგების დაბრუნებას, რომლებიც წლობით იყვნენ დაკავშირებულნი პარტიასთან, რომლებმაც გამოასწორეს თავისი შეცდომები, შეიგნეს, აშკარად და გულწრფელად დაჰგმეს ეს შეცდომები. მაგრამ პარტია არავის მისცემს ნებას, მანევრები მოახდინონ იმ მიზნით, რომ პარტიაში შეიტანონ ტროცკისტების მთელი მიმდინარეობა. პარტია ფხიზლად თვალყურს ადევნებს ყველას, ვინც ტროცკისთან ერთად პარტიას ჩამოშორდა და ახლა სურს დაუბრუნდეს მის რიგებს.

პარტიის ცხოვრება დღეს ისეა გამძაფრებული, როგორც არასოდეს. იგი ულმობელად სწმენდს თავის რიგებს ყოველგვარი უვარგისი, არაპროლეტარული, არა კომუნისტური ელემენტებისაგან. იგი ბრძოლას აწარმოებს ორს ფრონტზე, დაუზოგველად უსწორდება მემარჯვენე ოპორტუნისტებს. ტროცკისტები თავს ნუ ინუგეშებენ იმ ილუზიებით, რომ რაღაცა „მემარცხენე ფრთას" წარმოადგენენ. ტროცკისტების წრეში უდიდეს პროცენტს შეადგენენ ნამდვილი მემარჯვენეები, რომლებიც მცირე ხანს წინათ იმედს ამყარებდნენ მდიდარ, შეძლებულ გლეხზე, კულაკზე, ფერმებზე (როგორც თვით ტროცკი და მასთან ერთად სოსნოვსკი და სხვები 1925 წლის დამლევს). ამ წრეში იმყოფება მთელი ჯგუფი მემარჯვენე ნაციონალ-უკლონისტებისა, რომელთა ზეხედულებანი პარტიამ დაჰგმო ლენინის დროს. პარტია ულმობელად ებრძვის სხვადასხვა მემარჯვენე მიმდინარეობას, ტროცკისტები მას ვერ მოატყუებენ „მემარცხენე" ფრაზებით. პარტია დაუზოგველად უსწორდება ყოველგვარ „მემარცხენე ფრაზას" საკუთარ რიგებშიც, ვინაიდან ეს მემარცხენე ფრაზა გზას უკვლევს ტროცკისტულ სულიერ განწყობილებას.

პარტია აღვივებს მუშებში შეურიგებელ დამოკიდებულებას პარტიაში არსებული ყოველგვარი იდეური გადახრებისადმი სწორი ხაზიდან, ლენინიზმიდან. პარტიაში ისე არასოდეს ყოფილა განვით. თვითკრიტიკა, როგორც ახლა. პარტია დაუნდობლად ებრძვის გახრწნის ყოველგვარ ელემენტებს, მემარჯვენე რეფორმისტული ხასიათის ოპორტუნიზმისა და „მემარცხენეობის" ყოველგვარ გამოხატულებას. პარტია არავის მისცემს ნებას—დაუბრუნდეს მის რიგებს იმ მიზნით, რომ,—როგორც ამას ოპოზიციის ჯგუფი სჩადის ც. კ.-ისა და ცენტრ. საკონტრ. კომისიისადმი მიმართულ განცხადებაში,—ტროცკისტულად, მენშევიკურად დაუპირისპიროს პარტიის აპარატი საბჭოთა ხელისუფლებას და პარტიულ მასებს, სპეკულიაცია გასწიოს ხელფასის საკითხზე, განაახლოს დისკუსია ერთს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შესახებ, დაიცვას ტროცკის მზგავსი რენეგატები და სპეკულიაცია გასწიოს იმაზე, რომ მემარჯვენეებთან ბრძოლაში გვეხმარება. მით უმეტეს პარტია არავის მისცემს ნებას, რომ განცხადების სახით პროტესტი გამოსთქვას ფრაქციული ბრძოლის შეწყვეტის წინააღმდეგ. სოლნცევმა თვის მიერ განმარტებული გეგმა განახორციელა იმ ოპოზიციონერების ჯგუფთან ერთად, რომლებმაც თავისი განცხადებანი გაუგზავნეს ც. კ.-ს რაკოვსკის, სოლნცევის და სხვათა ხელმოწერით.

ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს გადავათვალიეროთ მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებანი, რომელთა სისწორე მთლიანად დაადასტურა შემდგომი ბრძოლის მიმდინარეობამ. პარტია წინანდებურად მოითხოვს ყველასაგან, ვინც ტროცკისტულ ან საპრონოველთა ფარულ ბანაკში გადასულა და ახლა ისევ სურს დაუბრუნდეს პარტიას, რომ საბოლოოდ გასწყვიტოს კავშირი ოპოზიციასთან, იდეურად და ორგანიზაციულად, დაჰყაროს იარაღი;, აშკარად გაემიჯნოს ანტიპარტიულ, პარტიის მიერ დაგმობილ პლატფორმებს, აუცილებლად უარჰყოს ისინი და განაცხადოს, რომ სავსებით მზად არის ებრძოლოს ტროცკიზმს, საპრონოვიადას და ყოველგვარ ანტიპარტიულ მიმდინარეობას. ყოველი უბრალო ოპოზიციონერი მიხვდება, რომ თუ ოპოზიციის ბელადებს არ შეუძლიათ სავსებით შესწყვიტონ თავისი ფრაქციული ბრძოლა, თუ ისინი მანევრებს ახდენენ პარტიის მოსატყუებლად, კინკლაობის ხელახლა დასაწყებად და თავისი კადრების შესანარჩუნებლად,—მას ამ ბელადებთან საერთო არაფერი აქვს. თუ ფრაქციული ჯგუფები არ სდგამენ პარტიისათვის საჭირო ნაბიჯებს, სამაგიეროდ იმათ, ვინც შეიგნეს თავისი შეცდომები და თავისი დანაშაული პარტიის წინაშე, ინდივიდუალურად უნდა გადასდგან საჭირო ნაბიჯები, სრულად და უყოყმანოდ უნდა იცნონ პარტიისა და კომინტერნის ხაზი, იდეურად და ორგანიზაციულად უნდა დაჰყარონ იარაღი. პარტიამ მეტის-მეტად ბევრი ძალ-ღონე დახარჯა ტროცკისტებთან ბრძოლაში, რომ ისევ მოინდომოს ახალი დისკუსია ტროცკისტული ოპოზიციის ნაშთებთან.

პარტიის პირველ რიგში მშენებლობა არის მოქცეული. ჯერ კიდევ მცირე ხნის წინათ ერთ-ერთი თვალსაჩინო ოპოზიციონერი (ი. ნ. სმირნოვი), სწერდა ხუთწლიანი გეგმის შესახებ: „არც ხარჯების რაოდენობა, არც ამ ხარჯების მიმართულება ჩვენგან შესწორებას არ მოითხოვს"-ო. თუ ამის შემდეგ გზააბნეული პირები მაინც ცდილობენ სერიოზული შესწორება შეიტანონ ამ გეგმაში, ჩვენ შეგვიძლია გვერდი აუხვიოთ მათ. ჩვენი გზა ნათელია. იგი გამოიხატება სწორი ციფრებით, სწორი პოლიტიკური და პრაქტიკული ამოცანებით. ჩვენ უნდა მოვახდინოთ მუშათა კლასის მთელი ძალებისა, მშრომელი მასებისა და გლეხობის საუკეთესო ძალების მობილიზაცია ამ გეგმის შესასრულებლად. ჩვენ გვჭირდება მტკიცე და მკაფიო ლენინური გზა. უახლოეს წლებში ამ გზას გამოხატავს სოციალისტური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა. ჩვენ უნდა მივდიოთ პარტიის გენერალურ ხაზს, კლასობრივი ბრძოლის გარკვეულ და მკაფიო ხაზს, ვინაიდან ხუთწლიანი გეგმის შესრულება შეუძლებელია კლასობრივი ბრძოლის ასეთი მკაფიო ხაზის გარეშე. მაგრამ სწორედ ამიტომ უნდა გაუსწორდეთ სერიოზულად ყოველგვარ იდეოლოგიურ გადახრას. ჩვენ გულდასმით უნდა დავაკვირდეთ იმ პირებს, რომლებიც გუშინ ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდნენ, დღეს კი სურთ დაგვეხმარონ — უნდა ვხედავდეთ და ვიცოდეთ, თუ რისთვის მოდიან ჩვენს დასახმარებლად. ვინც ჩვენთან მოდის „ტროცკისტული მანევრებისათვის", ჩვენ მოვახერხებთ სათანადოდ გაუსწორდეთ მათ და მიუჩინოთ თავისი შესაფერი ადგილი. რანაირი სიძნელეებიც არ უნდა გვეღობებოდეს (სიძნელე ბევრი გვექნება), ჩვენ მათ დავძლევთ და მით უფრო უკეთესად დავძლევთ, რაც უფრო მეტი გარკვეულობა იქნება ჩვენს იდეოლოგიურ ბრძოლაში.

**ე. იაროსლავსკი.**

„პრავდა", გადმოცემულია ტელეგრაფით.

---

ტური განვითარების წარმატებისათვის? მეორეს მხრივ, ცხადია, რომ შიში ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლისა ჩვენი ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში არსებულ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ არის გამოხატულება წვრილ-ბურჟუაზიული უიმედობის მუშათა კლასის ძალებისადმი, უიმედობისა იმისადმი, რომ ბოლშევიკური პარტია შესძლებს გადალახოს ყველა დაბრკოლება სოციალიზმის მშენებლობის გზაზე.

## მემარჯვენე გადახრასა და შემარიგებლობასთან ბრძოლა პარტიის ცენტრალური ამოცანაა

ბრძოლა მემარჯვენე გადახრასა და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ იყო და რჩება პარტიის ცენტრალურ ამოცანად. უკანასკნელ დროს აუცილებელი გახდა აგრეთვე ბრძოლის გაძლიერება ნახევრად ტროცკისტულ განწყობილებებთან, რომელიც გვევლინება წვრილ- ბურჟუაზიული რადიკალიზმის სახით.

ამასწინად გამოქვეყნდა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მიერ მოწონებული კომკავშირის ცეკას ბიუროს გადაწყვეტილება შაცკინის, სტენის და კოსტროვის წერილების შესახებ, რომლებიც მოთავსებული იყო „კომსომოლსკაია პრავდა"-ში. პარტიამ და კომკავშირმა უკუაგდეს შაცკინის უმართებულო ბრალდებები პარტიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, რომელიც თითქოს მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლას აწარმოებს „პოლიტიკურ ჰაოსთან" შეკავშირებით. პარტიის წინააღმდეგ ასეთი ცილისწამეითი გამოსვლის ვერავითარი მიჩქმალვა, რასაც შემდეგში შეეცადა შაცკინი, ვერ დაფარავს იმ ფაქტს, რომ მთელი მისი წერილი „ძირს პარტიული ობივატელშჩინა" თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია უნდობლობით გენერალურ ლენინურ ხაზისადმი და არსებითად წვრილ- ბურჟუაზიული მერყეობის ერთ-ერთი გამოხატულებაა. იგივე ითქმის სტენის წერილზე—„მაღლა ავსწიოთ მარქსიზმ-ლენინიზმის დროშა", რომელშიაც ის აცხადებს, რომ „თვითეული კომკავშირელი მოვალეა თავისი გამოცდილების მიხედვით სერიოზულად დაამუშაოს ყველა საკითხები და ამ გზით დარწმუნდეს ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის სისწორეში"-ო. ეს მოწოდება, რომ ყოველმა კომკავშირელმა თავისი გამოცდილებით შეამოწმოს პარტიის „გენერალური ხაზის სისწორე", წვრილ-ბურჟუაზიული ჯურის ინტელიგენტური მედიდურობის საუკეთესო ნიმუშია. სტენს მხედველობიდან გამორჩა ცოტა რამ, მას უეცრად დაავიწყდა, რომ პარტიის გენერალურ ხაზთან შეთანხმება მთავარი და წინასწარი პირობაა ბოლშევიკურ შეკავშირებულ რიგებში დასადგომად და რომ ზემოდ მოყვანილი მოწოდება გასაგებია მხოლოდ უპარტიო ინტელიგენტისაგან და არა პარტიულისაგან, არა ბოლშევიკისაგან.

შაცკინმა და სტენმა იერიში მიიტანეს გენერალურ ლენინურ პოლიტიკაზე პარტიის ხაზთან ფორმალური თანხმობის დროშის ქვეშ. ამასთანავე მათ თავი წარმოდგენილი აქვთ უზომო „მემარცხენეებად". სინამდვილეში კი ობივატელშჩინასთან და ჩხირკედელაობასთან ბრძოლის საფარს ქვეშ ისინი მხოლოდ სხვა ფორმაში იმეორებენ თავის დროზე სახელგანთქმულ ფორმულას: „ნუ გეშინია გადახრების გენერალურ ბოლშევიკურ ხაზისაგან". აი ამიტომაც სინამდვილეში შაცკინის და სტენის „ხაზი" „უეცრად" შეუერთდა ბუხარინის „ხაზს". უკანასკნელმა ამ მოკლე ხნის წინ ულმერთოთა ყრილობაზე განსაკუთრებით აღნიშნა, რომ თავის დროზე მარქსის საყვარელი ლოზუნგი იყო „ყველაფერს ეჭვის თვალით შეხედე"-ო. თუ შაცკინი და სტენი პარტიაზე იერიშის მიტანით ამოეფარენ „ობივატელშჩინასთან" და „ჩხირკედელაობასთან" ბრძოლას. ბუხარინი, რომელიც განაგრძობს იერიშს პარტიის წინააღმდეგ, ამოეფარა მარქსს.

მისი მითითება მარქსზე, რომელიც აღნიშნულ ლოზუნგს კაპიტალიზმის დანგრევისაკენ, ბურჟუაზიის დამხობისაკენ მიმართავს ამ შემთხვევაში აშკარად უსაფუძვლოა. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამითვე ხრულიად ფეხქვეშ სთელავს თვით მარქსის დიალექტიკის მეთოდს.

როგორც მემარჯვენე, ისე „შემარცხენე" უკლონისტებს ბუნებრივად სჩვევიათ პარტიის გენერალური ხაზისადმი უნდობლობის დანერგვა. მით უფრო მეტის ენერგიით გასცემს პარტია ბოლშევიკურ პასუხს ამ რყევას.

ოპორტუნისტულ შეცდომებში ბუხარინის სიჯიუტის გამო კომინტერნის აღმასკომმა მისი პოზიციის შესახებ გამოიტანა ცალკე დადგენილება, რომელშიაც ამავე დროს მოცემულია იმის დასაბუთება, თუ რად იქნა გამოყვანილი ბუხარინი კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის შემადგენლობიდან.

საკავშირო კ. პ, (ბ) ც. კ.-ის აპრილის პლენუმის სათანადო გადაწყვეტილების განხილვის დროს კომინტერნის აღმასკომს ანგარიში უნდა გაეწია ბუხარინის ახალი გამოსვლებისათვის (წერილი „მოწესრიგებული სამეურნეო უთადარიგობის თეორია" და სიტყვა, წარმოთქმული ულმერთოთა ყრილობაზე), რომლებშიაც ის განაგრძობდა პარტიასთან ბრძოლას. მართალია, თავისი გამოსვლების დროს ბუხარინი სცდილობდა რაც შეიძლება მეტად გამოეყენებია ტროცკისტული ცნობილი ხერხი, რომელიც მდგომარეობს ოპორტუნისტული ტენდენციების მიჩქმალვაში ხელშეუხებელი ფრაზებით და ნაწყვეტ-ნაწყვეტად და გადაკრული მსჯელობით, მაგრამ ამ გარემოებით სრულებით არ უმსუბუქდება ბუხარინს მისი შეცდომები, მისი პირდაპირ დაუშვებელი გამოსვლები.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმის მიერ ერთხმად გამოტანილი გაკიცხვა მოწმობს, თუ რამდენად აშკარაა უხეში ოპორტუნისტული შეცდომები ბუხარინის, რომელმაც პარტიისა და კომინტერნის გენერალური ხაზის წინააღმდეგ ბრძოლაში მეტად შორს შესტოპა. ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა როგორც ჩვენი პარტიისა, ისე კომინტერნის გადაწყვეტილებებში.

ვუკეთებ რა ჯამს ნათქვამს, ერთხელ კიდევ ხაზგასმით უნდა აღვნიშნო მთელი სირთულე და სიძნელე იმ საერთაშორისო და შინაური პირობებისა, რომლებშიაც ამჟამად სწარმოებს სოციალისტური მშენებლობა. მაგრამ მთავარ გარემოებას, რომელიც ზემონათქვამიდან გამომდინარეობს, მაინც წარმოადგენს სოციალიზმის მშენებლობის საქმის ძლევამოსილი წინსვლის ფაქტი ჩვენი ქვეყნის შიგნით წინააღმდეგობათა ზრდის პირობებში და მსოფლიო მთავარი წინააღმდეგობის— კაპიტალისტურ მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირს შორის წინააღმდეგობის გამწვავების პირობებში.

თანდათან იზრდება ჩვენი მიღწევები სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. მაგრამ პარტია დაბეჯითებით მოუწოდებდა და მოუწოდებს თვითკრიტიკისაკენ. თვითკრიტიკის ლოზუნგში განხორციელებულია მოწოდება მთელი მუშაობის კრიტიკული შემოწმებისაკენ, გაძლიერებული სწავლისაკენ. ჩვენი დასკვნა ასეთია: საჭირო არ არის არავითარი თვითკმაყოფილება, არ უნდა ვიყოთ დამშვიდებულნი, ვისწავლოთ და ვისწავლოთ მარქსიზმ- ლენინიზმი. ამ დროშით ჩვენ გავსწევთ წინ (ტაში). (ადს)

---

# ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ტირაჟი თბილისში

## ოფიციალური ცხრილი

### საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის მეორე სახელმწიფო შინაური მომგებიანი სესხის პროცენტიან-მომგებიანი გამოშვების მოგებათა მეოთხე ტირაჟისა.

ტირაჟი მოხდა ქალაქ თბილისში 1929 წლის 20—21 სექტემბერს.

მეოთხე ტირაჟში მოგებათა გათამაშება მოხდა ცალ-ცალკე სესხის თვითეული გამოშვებისათვის (პროცენტიანი და უპროცენტო).

ამ ტირაჟში გათამაშებულ იქნა პროცენტიან- მომგებიანი გამოშვების: 4 მოგება თითო 5.000 მანეთიანი; 80 მოგება თითო 1.000 მანეთიანი; 600 მოგება თითო 250 მანეთიანი და 22.516 მოგება თითო 100 მანეთიანი; სულ 23.000 მოგება 2.501.600 მანეთის რაოდენობით.

გათამაშებულ იქნა ყველა 80.000 სერიის ობლიგაციები პროცენტიანი გამოშვების თვითეულ ოთხ თანრიგიდან, გარდა იმ სერიების ობლიგაციებისა, რომლებსაც მოგება ხვდათ წინა ტირაჟებში, რადგან სესხის პირობების მიხედვით მოგება აბათილებს ობლიგაციას.

ცხრილში ნაჩვენები სერიებისა და ობლიგაციების №№-ში მოგებულად ითვლებიან სესხის პროცენტიან - მომგებიანი გამოშვების ყველა ოთხ თანრიგში (სესხის უპროცენტო-მომგებიანი გამოშვების მოგებათა ცხრილი გამოქვეყნდება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში).

100 და 250 მანეთიანი მოგებანი გათამაშებულ იქნა მთელი სერიებით.

თვითეულ სერიაში 25 ობლიგაციაა, ამიტომ ეს მოგებანი, როგორც ცხრილშია აღნიშნული, მოგებული სერიის ყველა 25 ობლიგაციას ხვდება.

მსხვილი მოგებანი— 1.000 და 5.000 მანეთიანი— გათამაშებულ იქნა არა სერიების მიხედვით, არამედ თვითეული მოგება ცალკე, ამიტომ მსხვილი მოგება ხვდება ობლიგაციის ერთ განსაზღვრულ ნომერს მოგებულ სერიაში, ხოლო ამ სერიის ყველა დანარჩენი 24 ობლიგაცია იგებს თითო 100 მანეთს, რაც ცხრილში აღნიშნულია.

ამგვარად, სერიების 232 ნომერი, რომელიც ცხრილშია ნაჩვენებია, აღნიშნავს 23.200 მოგებას.

ცხრილი შედგენილია მოგებული სერიების აღმავალი ნომრების წესით და იგი წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს, რომლითაც ხდება მოგებათა გაცემა.

| სერიების №№ | ობლიგაც. №№ | მოგება მანეთებში |
|---|---|---|
| 00093 | 1—25 | 100 |
| 00127 | 1—25 | 100 |
| 01284 | 4 | 1000 |
| 01284 | 1—3, 5—25 | 100 |
| 01359 | 1—25 | 100 |
| 01604 | 1—25 | 100 |
| 01639 | 1—25 | 100 |
| 01687 | 1—25 | 100 |
| 01769 | 1—25 | 100 |
| 03427 | 1—25 | 250 |
| 03447 | 1—25 | 100 |
| 03491 | 1—25 | 250 |
| 03561 | 1—25 | 100 |
| 04101 | 1—25 | 100 |
| 04107 | 1—25 | 100 |
| 04485 | 1—25 | 100 |
| 04944 | 1—25 | 100 |
| 05045 | 1—25 | 100 |
| 05177 | 1—25 | 100 |
| 06299 | 18 | 1000 |
| 06299 | 1—17, 19—25 | 100 |
| 07061 | 1—25 | 100 |
| 07230 | 1—25 | 100 |
| 07287 | 1—25 | 100 |
| 07389 | 21 | 1000 |
| 07389 | 1—20, 22—25 | 100 |
| 07441 | 1—25 | 100 |
| 07688 | 1—25 | 100 |
| 07970 | 1—25 | 100 |
| 08356 | 1—25 | 100 |
| 08714 | 1—25 | 100 |
| 09114 | 1—25 | 100 |
| 09172 | 1—25 | 100 |
| 09230 | 1—25 | 100 |
| 09253 | 1—25 | 100 |
| 09547 | 1—25 | 100 |
| 10005 | 1—25 | 100 |
| 10064 | 1—25 | 100 |
| 11127 | 12—5 | 100 |
| 11945 | 1—25 | 100 |
| 12048 | 1—25 | 250 |
| 12157 | 1—25 | 100 |
| 12606 | 1—25 | 100 |
| 13040 | 1—25 | 100 |
| 13611 | 1—25 | 100 |
| 14169 | 1—25 | 100 |
| 14602 | 1—25 | 250 |
| 15160 | 1—25 | 100 |
| 15214 | 1—25 | 100 |
| 15564 | 1—25 | 250 |
| 15679 | 02 | 1000 |
| 15679 | 1, 3—25 | 100 |
| 17447 | 1—25 | 100 |
| 17926 | 1—25 | 100 |
| 17927 | 1—25 | 100 |
| 18085 | 1—25 | 100 |
| 18195 | 1—25 | 100 |
| 18689 | 1—25 | 100 |
| 18883 | 1—25 | 100 |
| 19780 | 1—25 | 100 |
| 20482 | 1—25 | 100 |
| 20557 | 1—25 | 100 |
| 20664 | 1—25 | 100 |
| 20855 | 1—25 | 100 |
| 21178 | 21 | 1000 |
| 21178 | 1—20, 22—25 | 100 |
| 21255 | 1—25 | 100 |
| 21511 | 1—25 | 100 |
| 22159 | 1—25 | 100 |
| 22269 | 1—25 | 100 |
| 22519 | 1—25 | 100 |
| 22631 | 1—25 | 100 |
| 22802 | 1—25 | 100 |
| 23109 | 1—25 | 100 |
| 24177 | 1—25 | 100 |
| 24293 | 1—25 | 100 |
| 24354 | 1—25 | 100 |
| 24381 | 1—25 | 100 |
| 25010 | 1—25 | 100 |
| 25280 | 1—25 | 100 |
| 25305 | 1—25 | 100 |
| 25396 | 1—25 | 100 |
| 25673 | 1—25 | 100 |
| 26619 | 12—5 | 100 |
| 26684 | 1—25 | 100 |
| 26979 | 1—25 | 100 |
| 27956 | 1—25 | 100 |
| 28454 | 05 | 1000 |
| 28454 | 1—4, 6—25 | 100 |
| 29054 | 1—25 | 100 |
| 29310 | 1—25 | 100 |
| 29736 | 1—25 | 100 |
| 29813 | 1—25 | 100 |
| 30101 | 1—25 | 100 |
| 30140 | 1—25 | 100 |
| 30523 | 1—25 | 100 |
| 30567 | 1—25 | 100 |
| 31633 | 1—25 | 100 |
| 31640 | 1—25 | 100 |
| 31913 | 1—25 | 100 |
| 32029 | 1—25 | 100 |
| 32688 | 1—25 | 100 |
| 32733 | 1—25 | 100 |
| 33030 | 1—25 | 100 |
| 33175 | 1—25 | 100 |
| 33304 | 1—25 | 100 |
| 33539 | 1—25 | 100 |
| 33999 | 1—25 | 100 |
| 34567 | 09 | 1000 |
| 34567 | 1—8, 10—25 | 100 |
| 34610 | 1—25 | 100 |
| 34625 | 1—25 | 100 |
| 35048 | 1—25 | 100 |
| 35403 | 1—25 | 100 |
| 35515 | 1—25 | 100 |
| 35592 | 1—25 | 100 |
| 35918 | 1—25 | 100 |
| 36343 | 1—26 | 100 |
| 36344 | 22 | 1000 |
| 36344 | 1—21, 23—25 | 100 |
| 36732 | 1—25 | 100 |
| 37795 | 1—25 | 100 |
| 38291 | 1—25 | 100 |
| 38357 | 1—25 | 100 |
| 38476 | 1—25 | 100 |
| 39739 | 1—25 | 100 |
| 39951 | 17 | 5000 |
| 39951 | 1—16, 18—25 | 100 |
| 40968 | 1—25 | 100 |
| 40977 | 1—25 | 100 |
| 41555 | 1—25 | 100 |
| 41928 | 1—25 | 100 |
| 42277 | 1—25 | 100 |
| 42531 | 1—25 | 100 |
| 42799 | 1—25 | 100 |
| 42974 | 1—25 | 100 |
| 43435 | 1—25 | 100 |
| 44021 | 1—25 | 100 |
| 44217 | 1—25 | 100 |
| 44340 | 13 | 1000 |
| 44340 | 1—12, 14—25 | 100 |
| 44.366 | 1—25 | 100 |
| 45256 | 1—25 | 100 |
| 45305 | 16 | 1000 |
| 45305 | 1—15, 17—25 | 100 |
| 45712 | 1—25 | 100 |
| 46159 | 1—25 | 100 |
| 46.368 | 1—25 | 100 |
| 46632 | 17 | 1000 |
| 46632 | 1—16, 18—25 | 100 |
| 46656 | 1—25 | 100 |
| 46949 | 1—25 | 100 |
| 47817 | 1—25 | 100 |
| 50255 | 1—25 | 100 |
| 50259 | 1—25 | 100 |
| 51201 | 1—25 | 100 |
| 51255 | 1—25 | 100 |
| 51255 | 1—25 | 100 |
| 51257 | 1—25 | 100 |
| 51673 | 1—25 | 100 |
| 52034 | 1—25 | 100 |
| 52453 | 1—25 | 100 |
| 52766 | 1—25 | 100 |
| 53086 | 1—25 | 100 |
| 53094 | 1—25 | 100 |
| 53145 | 1—25 | 100 |
| 53536 | 1—25 | 100 |
| 53598 | 1—25 | 100 |
| 53739 | 1—25 | 100 |
| 55152 | 1—25 | 100 |
| 55903 | 1—25 | 100 |
| 56604 | 1—25 | 100 |
| 57528 | 03 | 1000 |
| 57528 | 1—2, 4—25 | 100 |
| 57835 | 1—25 | 100 |
| 58957 | 1—25 | 100 |
| 58985 | 1—25 | 100 |
| 59040 | 1—25 | 100 |
| 59279 | 1—25 | 100 |
| 60016 | 1—25 | 100 |
| 60031 | 1—25 | 100 |
| 60053 | 1—25 | 100 |
| 60468 | 03 | 1000 |
| 60468 | 1—2, 4—25 | 100 |
| 60800 | 1—25 | 100 |
| 60886 | 1—25 | 100 |
| 61203 | 1—25 | 100 |
| 62826 | 1—25 | 100 |
| 63184 | 1—25 | 100 |
| 64139 | 1—25 | 100 |
| 64152 | 1—25 | 100 |
| 64863 | 1—25 | 100 |
| 65496 | 1—25 | 100 |
| 65513 | 1—25 | 100 |
| 66180 | 1—25 | 100 |
| 66457 | 1—25 | 100 |
| 66589 | 1—25 | 100 |
| 66873 | 1—25 | 100 |
| 67290 | 1—25 | 100 |
| 67650 | 1—25 | 100 |
| 67812 | 1—25 | 100 |
| 68042 | 1—25 | 100 |
| 68493 | 1—25 | 100 |
| 68522 | 18 | 1000 |
| 68522 | 1—17, 19—25 | 100 |
| 68628 | 1—25 | 100 |
| 68752 | 1—25 | 100 |
| 68913 | 1—25 | 100 |
| 69597 | 1—25 | 100 |
| 69682 | 1—25 | 100 |
| 69728 | 1—25 | 100 |
| 71036 | 1—25 | 100 |
| 71307 | 4 | 1000 |
| 71307 | 1—3, 5—25 | 100 |
| 71492 | 1—25 | 100 |
| 72480 | 1—25 | 100 |
| 72630 | 1—25 | 100 |
| 72651 | 1—25 | 100 |
| 72827 | 24 | 1000 |
| 72827 | 1—23, 25 | 100 |
| 73372 | 05 | 1000 |
| 73372 | 1—4, 6—25 | 100 |
| 73457 | 1—25 | 100 |
| 73541 | 1—25 | 100 |
| 73633 | 1—25 | 100 |
| 74053 | 1—25 | 100 |
| 74060 | 1—25 | 100 |
| 74282 | 1—25 | 100 |
| 74412 | 1—25 | 100 |
| 74436 | 1—25 | 100 |
| 74442 | 1—25 | 100 |
| 74706 | 1—25 | 100 |
| 74864 | 1—25 | 100 |
| 74908 | 1—25 | 100 |
| 74921 | 16 | 1000 |
| 74921 | 1—15, 17—25 | 100 |
| 75607 | 04 | 1000 |
| 75607 | 1—3, 5—25 | 100 |
| 75634 | 1—25 | 100 |
| 75683 | 14 | 1000 |
| 75683 | 1—13, 15—25 | 100 |
| 76885 | 1—25 | 100 |
| 77432 | 1—25 | 100 |
| 77520 | 1—25 | 100 |
| 77633 | 1—25 | 250 |
| 77666 | 1—25 | 100 |
| 78335 | 1—25 | 100 |
| 78386 | 1—25 | 100 |
| 78485 | 1—25 | 100 |
| 79501 | 1—25 | 100 |
| 79619 | 1—25 | 100 |
| 79637 | 1—25 | 100 |
| 79912 | 1—25 | 100 |

მოგებული პროცენტიანი ობლიგაციის წარმომდგენელს ეძლევა: მოგებული თანხა, ობლიგაციის ღირებულება, რომელიც ობლიგაციაზევეა აღნიშნული, აგრეთვე ის პროცენტები მიმდინარე კუპონის მიხედვით, რომლებიც დაგროვდება ტირაჟის დამთავრების დღემდე; პროცენტის რაოდენობა შეადგენს მთელ 25 მანეთიან ობლიგაციაზე 8 და სამ მეოთხედ კაპეიკს, ხოლო ობლიგაციის ერთ მეხუთედზე ანუ ხუთ მანეთიანზე—1 და სამ მეოთხედ კაპეიკს.

აღნიშნული თანხის გაცემა იწყება მას შემდეგ, რაც ადგილზე მიღებული იქნება გაზეთ „იზვესტია"-ს, „კრესტიანსკაია გაზეტა"-ს, „ზარია ვოსტოკა"-ს და „კომუნისტ"-ის (თბილისი) სამი მორიგი ნომერი იმ ნომრების შემდეგ; რომლებშიც გამოქვეყნებული იქნება მოგებათა ეს ოფიციალური ცხრილი. მოგების გაცემას, მოგებული ობლიგაციების წარმოდგენის შემდეგ, აწარმოებენ შემდეგი დაწესებულებები:

1) 100 და 250 მანეთიან მოგებას და მათ ნაწილებს გასცემს სახელმწიფო ბანკის ყველა დაწესებულება, სხვა ბანკები, ყველა შემნახველი სალარო, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობები და ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებები.

2) 1000 მანთიან მოგებას და მის ნაწილებს გასცემენ სახელმწიფო ბანკის დაწესებულებები და სახელმწიფო საშრომო შემნახველი სალაროები და მისი საქალაქო განყოფილებები გარდა მიწერილი შემნახველი სალაროებისა, სააგენტოებისა და იმ შემნახველი სალაროებისა, რომლებიც საწარმოებსა, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებთან არსებობენ, აგრეთვე რკინის გზის შემნახველი სალაროების განყოფილებებისა.

3) ის დაწესებულებები, რომელთაც უფლება აქვთ გასცენ 100 და 250 მანეთიანი მოგება, მიიღებენ ობლიგაციების პატრონთაგან მინდობილებას 1.000 მანეთიანი მოგებების და მათი ნაწილების მიღების შესახებ. მიღებული ობლიგაცია ობლიგაციის პატრონის ხარჯზე იგზავნება სახელმწიფო ბანკის უახლოეს დაწესებულებაში.

4) 5.000 მანეთიანი მოგება და მისი ნაწილები გაიცემა მხოლოდ მოსკოვის სახელმწიფო ბანკის გამგეობის მიერ მას შემდეგ, რაც მოხდება მოგებული ობლიგაციების სინამდვილისა და განაღდების უნარიანობის შემოწმება.

სახელმწიფო ბანკის ყველა ადგილობრივი დაწესებულება, რომლებიც მოგების გაცემას აწარმოებენ (პარაგრ. 1), ობლიგაციების პატრონისაგან მიიღებენ დავალებებს 5.000 მანეთიანი მოგების და მისი ნაწილების მიღების შესახებ. მოგებული ობლიგაციების გადაგზავნა ამ შემთხვევაშიაც ხდება ობლიგაციის წარმდგენელის ხარჯზე.

ობლიგაციის მოსკოვში ან სახელმწიფო ბანკის მახლობელ დაწესებულებაში გადაგზავნის შემთხვევაში ობლიგაციის წარმომდგენელს ეძლევა ქვითარი მისგან ობლიგაციის მიღების შესახებ. როდესაც მოგება გადმოეგზავნება, ობლიგაციის მიმღები დაწესებულება იწვევს მომგებს მოგების ჩასაბარებლად.

ობლიგაცია, რომელსაც მოგება ხვდა, ბათილდება და იმ დაწესებულებაში რჩება, სადაც მოგება გაცემულ იქნა.

—:—

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარე — თბილისის აღმასკომის თავმჯდომარე — ვ. ბოლქვაძე; თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარის რწმუნებული, ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარი დ. ჰუსეინოვი. თავმჯდომარის მოადგილე — ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარის მოადგილე **ხუმარიანი**; თავმჯდომარის მოადგილე — საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარი **ვაშაძე**; თავმჯდომარის მოადგილე — ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოსაგან — **კუზნეცოვი**; თავმჯდომარის მოადგილე — სტალინის სახ. სახელოსნოსაგან—**სართანია**; თავმჯდომარის მოადგილე — აზერბეიჯანის მუშებისაგან — **ისმაილ უსეინი**; თავმჯდომარის მოადგილე — სომხეთის მუშებისაგან **არშაკ არუთინიანი**.

სატირაჟო კომისიის წევრები:

სომხეთის პროფორგანიზაციებისაგან — **მადაევი** და **არტ. არუთინიანი**. აზერბეიჯანის მუშებისაგან — **გორელოვი** და **დადაშ ყული**; საქართველოს მუშებისაგან — **გიორგობიანი** და **სტეფანოვი**; სტალინის სახ. სახელოსნოსაგან — **პანიკოვი** და **ლორთქიფანიძე**; ზაჰესის მუშებისაგან — **ხეთაგური**; 26 კომუნარის სახ. ქარხნის მუშებისაგან — **ორეხოვი**; როზა ლიუქსემბურგის სახ. ქარხნის მუშებისაგან — **ხოჩიევა**; ტრამვაის მუშებისაგან — **კვერნაძე**; კავკასიის წითელდროშოვანი არმიისაგან — **კარპენკო**, **აკოფოვი**, **გიორგობიანი**, **მოტქოსი** და **მატვეენკო**; საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატისაგან — **მესხი**; ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატისაგან — **საფარიანი**; საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატისაგან — **ძოიავა**; აზერბეიჯანის ფინანსთა სახ. კომისარიატისაგან — **მირზაბეკოვი**; სომხეთის ფინანსთა სახ. კომისარიატისაგან — **ტოვინი**; საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატისაგან — **იაგოლინსკი**; თბილისის სამაზრო საფინანსო განყოფილებისაგან — **ლომაძე**; სახ. ბანკისაგან — **გრიგოლია**; ფოთის მუშებისაგან — **უნგიაძე**; კოოპერატიული ბანკისაგან — **ათაბეკოვი**; სამრეწველო ბანკისაგან — **ხელაძე**; ა.-კავკ. სასოფლო-სამეურნეო ბანკისაგან — **მელიქ დადაევი**; საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკისაგან — **ნასიძე**; ა.-კავკასიის სახ. შრომ. შემნახველ სალაროსაგან **სააკიანი**; საქართველოს სახ. შრომ. შემნახვ. სალაროსაგან — **ტერ-არუთინოვი**; ა.-კავკასიის რკინის გზათა ცენტრ. სახ. შრომ. შემნახვ. სალაროსაგან (№ 1266) — **ბაბახანიდი**; ფინანსთა სახ. კომისარიატის აფხაზეთის რწმუნებულისაგან — **მარღანია**; ფინსახკომის აჭარისტანის რწმუნებულისაგან — **ზაქარაძე**; საქართველოს გლეხობისაგან — **ზარდიაშვილი**; აზერბეიჯანის გლეხობისაგან — **იმან ყული გარაევი**, სომხეთის გლეხობისაგან — **გრიგორიანი**; აფხაზეთის გლეხობისაგან — **სავილოვი**, ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტისაგან — **ჰასან აბასოვი**, ქალთა განყოფილებისაგან — **ვაისურაძე**; სახელმწიფო უნივერსიტეტიდან — **ახვლედიანი**; გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-დან — **ბაბუნია**; გაზეთ „კომუნისტი"-დან — **ბუაჩიძე**; გაზ. „ახალი სოფელი"-დან — **აბრამიძე**, გაზ. „პროლეტარი"-დან — **ნიკოგოსოვი**; „ზაკსოიუზ"-იდან — **აკოფოვი**. **მიულბახი**, **ჩერნიაევი**,; შინამრეწველ-ხელოსანთა კავშირიდან — **აივაზოვი**; ალავერდის ქარხნის მუშებისაგან — **ვაროსიანი**.

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი **ორეშინი**.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელი **შანიშვილი**.

საბჭოთა კავშირის ფინსახკომის სატირაჟო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი **რაზდუმინი**.

## უპროცენტო სესხის მოგებათა გათამაშება

გუშინ სალამოს სხდომაზე დაიწყო სესხის უპროცენტო გამოშვების მოგებათა გათამაშება. 1000 მანეთიანი მოგება ხვდა ყველა (შვიდი) თანრიგის შემდეგ ობლიგაციებს: სერია 77.215, № 21, სერია 73.220 № 1, სერია 13507 №17, სერია 73,721 № 14, სერია 78674 №4, სერია 75183 № 6, სერია 05499 № 2, სერია 34029 №8, სერია 20079 №3, სერია 58490 №20 და სერია 29.937 №1.

250 მანეთიანი მოგება ხვდა შემდეგი სერიების შვიდივე თანრიგის ყველა (1-25) ობლიგაციებს: 54436, 38269 და 42969. ასმანეთიანი მოგება ხვდა ქვემო ჩამოთვლილ სერიების შვიდივე თანრიგის ყველა (1—25) ობლიგაციებს: 46093,
41778, 46431, 03415, 73950, 79953,
48748, 70606, 46989, 16386, 29822,
56804, 31103, 38149, 75686, 54208,
27371, 27849, 75407, 55450, 45529,
23486, 68277, 23962, 28878, 40618,
39205, 51714, 59379, 50245, 11429,
72818, 65521, 09909, 47651, 71339,
49235, 23560, 61381, 30119, 65663,
43264, 34593, 41340, 03953, 65455,
65989, 10208, 04806, 19341, 13792,
14788, 72205, 46213, 23119, 56720,
01544, 09318, 78085, 35042, 27291,
59540, 22282, 28093, 17687, 56564,
71309, 62497, 38993, 32591, 70078,
71237, 33638, 00454, 44823, 26715,
69826, 74033, 66956, 77663, 08413,
00866, 33345, 69420 42902, 43146,
50846, 03347, 48855, 28033, 02189,
06079, 40648, 26082, 07064, 42508,
07294, 77396 и 78844.

---

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ტირაჟმა თბილისში ზეიმის ხასიათი მიიღო. ორჯონიკიძის სახელობის კლუბი სალამოობით სავსეა ხალხით. საზაფხულო პავილიონში, სადაც სწარმოებს მოგებათა გათამაშება, ტევა აღარ არის. დარბაზში იქნება არა ნაკლებ 3.000 კაცისა.

აგერ სატირაჟო კომისიასთან მიდის ტრამვაელი მუშა **ბაზიაშვილი**. „ჩემ ობლიგაციას მგონი მოგება ხვდა"—უცხადებს იგი კომისიას და აწვდის თავის ობლიგაციას. კომისიამ დაადასტურა მოგება და ამხ. ბაზიაშვილს იქვე აძლევენ 100 მანეთს, ობლიგაციის მთელ ღირებულებას და თავის ხვედრ პროცენტს. ამ ამბავს აუდიტორია მქუხარე ტაშით ეგებება.

ტირაჟი მართლაც საუკეთესო საშუალებაა სესხების პოპულიარიზაციისათვის. ამას ნათლად ამტკიცებს ის გარემოება, რომ მარტო გუშინ სალამოს თბილისში გასაღდა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის 50.000 მანეთის ობლიგაცია.

---

## ამხ. ალექსანდრე ქობულაშვილი



ამ დღეებში გარდაიცვალა ძველი რევოლიუციონერი, ძველი მუშა ამხ. ალექსანდრე ქობულაშვილი.

ალექსანდრე ფარსადანის ძე ქობულაშვილი დაიბადა ქ. თბილისში 1875 წ., ღარიბ მუშის ოჯახში. იგი 13 წლისა იყო, როცა დედამ მიაბარა ხელობაზე რინგვისტის ქარხანაში. 1892 წლიდან ამხ. ალექსანდრე იწყებს მუშაობას რკ. გზის მთავარ სახელოსნოში და 1897 წლიდან ებმება რევოლიუციონურ მოძრაობაში.

მან რკ. გზის მთავარ სახელოსნოში 1904 და 1905 წლებში მოაწყო ასაფეთქებელ საშუალებათა (ბომბების) დამზადება. იგი აწყობდა აგრეთვე მრავალ არალეგალურ წრეებს. შემდეგ აწყობს და ამზადებს ტერორისტულ ჯგუფებს.

სხვათა შორის, გენერალ გრიაზნოვის მკვლელი არსენა ჯორჯიაშვილი ამხ. ა. ქობულაშვილის მიერ იყო მომზადებული.

ალექსანდრე ქობულაშვილის ბინაზე ინახებოდა არალეგალური სამკითხველო, პროკლამაციები, ბროშურები და ბევრი საომარი იარაღი. მის ბინაზევე იმართებოდა ფარული კრებები და ეწყობოდა პოლიტიკური ლექციები. ამხ. ალექსანდრეს ჰქონდა ჩაბარებული პარტიული თანხებიც.

რევოლიუციონური მუშაობისათვის ამხ. ალექსანდრე რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული. 1906 წელს კი იგი გადაასახლეს სამხრეთ-ოსეთის მთებში, საიდგანაც ის გაიპარა ქ. ბაქოში და იქ განაგრძობდა მუშაობას.

ამხ. ალექსანდრე, როგორც აქტიური მუშა, მუშების მიერ არჩეულ იქნა ქალაქის თვითმართველობაში. მანვე დაარსა ოსური კულტურული საზოგადოება და სკოლა, მისივე ხელმძღვანელობით დაარსდა ძველი ნაძალადევის თეატრი.

1918 წლიდან ამხ. ალექსანდრე ქობულაშვილი სტოვებს მენშევიკურ პარტიას და შედის კომუნისტურ პარტიაში. 1921 წ. პარტიის დავალებით ის იგზავნება სამხრეთ-ოსეთში შინაგან საქმეთა კომისრად და ც. ა. კ.-ის თავმჯდომარის მოადგილედ. 1923 წელს ბრუნდება თბილისში და იწყებს მუშაობას რკინის გზის მთავარ სახელოსნოში, თავის ხელობაზე. მალე ამხ. ქობულაშვილი დაწინაურებულ იქნა ლითონის ჩამომსხმელ საამქროს გამგის მოადგილედ. **დ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქრონიკა

### წითელი არმიის მოხალისეთა აღრიცხვა და სწავლება

ა.-კ. წითელი არმიის მთავარმა სამმართველომ წინადადება მისცა ჯარის ნაწილებს დაუკავშირდნენ თავდაცვა - ავიაქიმის ადგილობრივ საბჭოებს და აღმოუჩინონ მათ ყოველგვარი დახმარება მოხალისეთა სწავლებისა და აღრიცხვის საქმეში. მოხალისეთათვის სამხედრო სწავლება უნდა გატარდეს თავდაცვა - ავიაქიმის წრეებში სასწავლო-სამწყობრო ერთეულებში. (ადს).

### კომისიის ჩამოსვლა

გუშინ დილით თბილისში ჩამოვიდა გზათა სახალხო კომისარიატის კომისია.

კომისია დაწვრილებით გაეცნობა ა. კ. რკინის გზების მუშაობას.

### „ტეხნიკა მასებს"

საზოგადოების „ტეხნიკა მასებს" —რესპუბლიკანური კომიტეტი საქ. სახკომსაბჭომ დაამტკიცა შემდეგი შემადგენლობით: პევცოვი (თავმჯდომარე), დ. კანდელაკი, გოდაბრელიძე, სტეფანოვი, მიწსახკომის და კომკავშირის ცეკას და თბილისის კომიტეტის წარმომადგენლები.

### ამხ. სპრინკველის გამოგონება

გზატკეცილების სატკეპნ მანქანას, რომელიც ამჟამად ხმარებაშია ყველა ქვეყნებში, აქვს უდიდესი ნაკლი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მანქანის ბორბლები გზას ვერ სტკეპნიან თანაბრად, რის გამო გზა მალე ფუჭდება.

ამხ. სპრინკველმა გამოიგონა ერთგვარი რგოლები, რომლებიც ჩამოეცმევა სატკეპნ ბორბლებს, ამ რგოლების საშუალებით მიღწეულია მანქანის დაწოლის გადიდება საჭირო ზომამდე, რის გამო გზა იტკეპნება თანაბრად და მაგრად.

12, 13 და 14 სექტემბერს საქართველოს სამხედრო გზაზე სწარმოებდა ამხ. სპრინკველის მიერ გამოგონილი რგოლების გამოცდა. გამოცდამ გამოაშკარავა სპრინკველის გამოგონების დადებითი მხარეები. გზა დაიტკეპნა საუცხოვოდ.

გამომცდელმა კომისიამ ამხ. სპრინკველის გამოგონება სცნო ფრიად მნიშვნელოვნად გზატკეცილების მშენებლობის დარგში.

### რადიო - ინსტრუქტორთა მომზადება

რადიო - ცენტრი და რადიო-მოყვარულთა საზოგადოება 25 სექტემბერს თბილისში ხსნის რადიო-ინსტრუქტორთა მოსამზადებელ 3-თვიან კურსებს.

კურსებზე მიღებულ იქნება 25 მსმენელი.

### უმუშევართა საყურადღებოდ

გონებრივ მუშაკთა მედსანშრომის, რკინის გზის და საკარანტინო სექციების უმუშევართა წმენდის უკანასკნელი დღეთ დანიშნულია 25 სექტემბერი, ვინც აღნიშნულ დღემდის არ გამოცხადდება, მექანიკურად იქნება მოხსნილი აღრიცხვიდან.

### თბ. აღმასკომში

◆ **დახმარება ყაზბეგის გლეხებს.** თბილისის აღმასკომმა მოუსავლიანობისაგან დაზარალებულ ყაზბეგის გლეხობას ერთდროული დახმარების სახით მისცა 500 მან.

◆ **საბანაო მდ. მტკვარზე.** მომავალი წლისათვის გაფართოებული და გაუმჯობესებული იქნება ამჟამათ არსებული საბანაო მდ. მტკვარზე. ამ მიზნით აღმასკომმა გადასდო 25.000 მან.

### სხვადასხვა

— **რემედასის მდივნების თათბირი.** საქ. რემედასის ცენტრ. კომიტეტი ა.-წ. 15 ოქტომბრისათვის თბილისში იწვევს რემედასის საოლქო - სამაზრო კომიტეტების მდივნების თათბირს.

— **სეზონური სამუშაოები.** ა.-კ. შრომის კომისარიატი მიმდინარე შემოდგომაზე აწყობს მატყლის გარეცხა - გაწმენდის სეზონურ სამუშაოებს.

◆ **საწარმოო კონფერენცია.** ორშაბათს, 23 სექტემბერს, სალამოს აღმშენებელ მუშათა კლუბში შესდგება აგურის ქარხნების მუშათა საწარმოო კონფერენცია.

— **რკინის გზის მუშათა ფაკულტეტში** მეცადინეობა იწყება 23 სექტემბერს.

— **აბელ ენუქიძის სახელობის** საბინაოსაიჯარო კოოპ. ამხანაგობის წევრთა საზოგადო კრება შესდგება დღეს, 22 სექტემბერს, დილის 10 საათზე (ლენინის ქ. № 28, ეზოში).

—:—

### ხელოვნების ქრონიკა

— **სახ. კონსერვატორიაში.** სახ. კონსერვატორიაში მისაღები გამოცდები დაიწყება 23 სექტემბერს და გაგრძელდება 28 სექტემბრამდე.

წელს სახ. კონსერვატორიის ყველა ფაკულტეტებზე მიღებული იქნება 30 სტუდენტი.

● **სამხატვრო მუშფაკი.** 1-ლ ოქტომბრიდან სამხატვრო სტუდიის შენობაში იხსნება სამხატვრო მუშფაკი. სტუდიის მოწაფეები მუშფაკში გადარიცხული იქნებიან შესაფერი წმენდის გავლის შემდეგ. მოწაფეები სათანადო დოკუმენტებით უნდა გამოცხადდნენ სტუდიაში 25 სექტემბერს.

● **ოქტომბრის 11 წლის თავზე** მოსკოვში შესდგა საბჭოთა კავშირის ეროვნებათა სამხატვრო გამოფენა. გამოფენის ექსპონატები შემდეგ გადაეცა ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიას, რომელმაც უმაღლესი ჯილდო საქართველოდან მიუსაჯა: მხატვრებს— მოსე თოიძეს, ირაკლი თოიძეს და ლადო გუდიაშვილს და მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო სტუდიას.

# ქუთაისის ოლქში

### ქუთაისის აღმშენებელთა კავშირის ახალგაზრდა წევრთა კონფერენცია

15 სექტემბერს აღმშენებელთა კავშირის კლუბში გაიხსნა ქუთაისის აღმშენებელთა კავშირში შემავალ მუშა - ახალგაზრდობის პირველი საოლქო კონფერენცია. კონფერენციამ მოისმინა მოხსენებანი სოც. შეჯიბრის, შრომის ნაყოფიერების გადიდების და ახალი კვალიფიციური ძალების მომზადების შესახებ. ხელმძღვანელ ორგანოების არჩევის შემდეგ კონფერენციას მიესალმნენ დელეგატები შორაპნიდან, რიონჰესიდან და ქუთაისის წარმოებებიდან; მოხსენებების გარშემო გაიმართა ცხოველი კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო მრავალმა მუშა - ახალგაზრდამ. მოკამათენი უმთავრესად შეეხენ სოციალისტურ შეჯიბრის სუსტად მიმდინარეობას ზოგიერთ ადგილებში; სამაზრო განყოფილების სუსტ ხელმძღვანელობას ადგილებისადმი და კულტურულ მუშაობის სისუსტეს მუშა - ახალგაზრდობაში. ორატორები მოითხოვდნენ სამუშაო საათების გამცდენლების, ლოთების, ხულიგნების და შრომის დეზერტირების წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მიღებას. ორატორებმა მოითხოვეს სხვათა შორის, ალაგმული იქნან კერძო ჩარჩ-მიკიტნები რიონჰესის სამუშევრებიდან და სავსებით აკრძალული იქნას რიონჰესში არსებულ სასადილოებში მაგარი სასმელებით ვაჭრობა. კონფერენციამ გასტანა სამი დღე, და უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენცია იყო მეტად საქმიანი.

ი. გ.

—:—

### საჩხერის საბჭოთა პირველი სარაიონო ყრილობა

13 სექტემბერს, დ. საჩხერეში გაიხსნა საბჭოთა პირველი სარაიონო ყრილობა. ყრილობას დაესწრნენ 8 სასოფლო საბჭოდან. ყრილობა გახსნა საოლქო აღმასკომის სახელით ამხ. მიშა ნიორაძემ.

საპატიო და საქმიანი პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ, ყრილობის დავალებით პრეზიდიუმმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა: საქართველოს ცაკს, ქუთაისის საოლქო აღმასკომს და ს. კ. პ. (ბ) ოლქკომს.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ყრილობამ მოისმინა ამხ. მ. ნიორაძის მოხსენება: დარაიონების მნიშვნელობაზე და მოხსენებები: სას.-სამეურნეო გადასახადის, ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის და სახელმწიფო დაზღვევის საკითხებზე, რამაც ყრილობის დელეგატებს შორის ცოცხალი დაინტერესება, საღი შეკითხვები და საქმიანი კამათი გამოიწვია.

მოხსენებათა დასასრულ ყრილობამ აირჩია სარაიონო აღმასკომი და მისი პლენუმი 21 წევრისა და 7 კანდიდატის შემადგენლობით. არჩევნების შემდეგ ყრილობა დაიხურა.

ამავე სალამოს, შესდგა სარაიონო აღმასკომის პირველი პლენუმი. დღის წესრიგში იდგა საორგანიზაციო საკითხები. პლენუმმა გამოყო სარაიონო აღმასკომის პრეზიდიუმი 7 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით.

საჩხერის სარაიონო აღმასკომის თავ-რედ პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხ. **იასონ ცარციძე**; მის მოადგილეთ ამხ. **გ. კილაძე**; ადმინისტრატიული ნაწილის უფროსათ ამხ. **პლ. ლაბაძე**, რის შემდეგ პლენუმი დაიხურა.

ვ. ფ—ძე.

—:—

### სოც. შეჯიბრება

— ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის მუშამოსამსახურეთა საერთო კრებაზე მოსმენილ იქნა მოხსენება სოც. შეჯიბრების მსვლელობისა და შედეგების შესახებ. კრებამ საჭიროთ სცნო ყველა ის მუშაკნი, რომელთაც განსაკუთრებული უნარი გამოიჩინეს შეჯიბრებაში, დაჯილდოებულ იქნან. ამგვარად დააჯილდოვეს შემდეგი ამ-ბი: ფოსტალიონები—**დ. ფიჩხაძე, ი. გაჩეჩილაძე** და **ვ. სოფრომაძე**; ტელეფონისტები და დამტარებლები: **ე. პატარიძე, ხ. კაჭკაჭიშვილი, ა. მიქელაძე, გ. იმანიძე** და **ს. ბიბილეიშვილი**; წითელ დაფაზე იქნენ შეტანილი: **თ. ჩიქვანი, პ. კურცხალია** და **დ. სილოგავა**.

სამშაბათს 24 სექტემბერს, სალამოს 6 საათზე, **„კომუნისტი"-ს რედაქციის ბინაზე შესდგება თათბირი**, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი მუშკორები:

ვასო ბარბაქაძე, ვანო ხებრიელაშვილი, ისიდორე გოგიბერიძე, ვანო მთვრალაშვილი, გიორგი ნატროშვილი, ილიკო ქარცივაძე, ე. ქოიავა, სილიბისტრო ახალაძე, იოსებ ზაალიშვილი, ვანო ჯავახიშვილი და შაქრო მამუკაშვილი.

# ნიკოლოზ იაკობის ძე ავალიშვილი



დღეს ასაფლავებენ ძველ საზოგადო მოღვაწეს ნიკოლოზ იაკობის ძე ავალიშვილს, რომელიც 17 სექტემბერს გარდაიცვალა.

ნ. ავალიშვილი საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდა გასული საუკუნის 60—70-ან წლებში.

1869—72 წლებში მისი რედაქტორობით გამოდიოდა ჟურნალი „მნათობი", რომლის ირგვლივ შეჯგუფდა იმ დროის მოწინავე პროგრესიულ - დემოკრატიული მისწრაფებით გამსჭვალული ახალგაზრდობა.

იმ დროს, როდესაც გიორგი ერისთავმა, ხოლო შემდეგ ივ. კერესელიძემ თავი მიანებეს ქართულ თეატრს, ნ. ავალიშვილმა შეკრიბა სცენის მოყვარეთა ჯგუფი და ის უძღვებოდა ქართული თეატრის საქმეს. იგი შეიქმნა მუდმივი სცენის ერთი მესაძირკვლეთაგანი და კარგა ხანს ემსახურებოდა ქართულ მუდმივ სცენას, როგორც რეჟისორი, ორგანიზატორი და მთარგმნელი.

ნ. ავალიშვილი ცნობილია, როგორც ჟურნალისტი, სამეცნიერო, სამხატვრო და დრამატიულ ნაწარმოებთა მთარგმნელი. მან სთარგმნა „ლუკმა პურის ამბავი", „დონკიხოტი", „თავადის ქალი", „ლალატი", „ყაჩაღები", „დონკარლოსი", „მარიამ სტიუარტი", „ვილჰელმ ტელი", „ვიდრე ხვალ უფადლო" და სხვა.

მასვე ეკუთვნის მრავალი მოგონება—წერილი ქართული თეატრისა და მწერლობის შესახებ.

ბოლო ხანებში დასწერა წიგნი: „საქონლის მოვლა-მოშენება საქართველოში".

როგორც ძველი საზოგადო მოღვაწე, სახელმწიფოსაგან პენსიას ღებულობდა.

გარდაიცვალა 85 წლისა.

# ღონისძიებანი პელაგრასთან საბრძოლველად

საქ. სახკომსაბჭომ დაამტკიცა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის მიერ პელაგრასთან საბრძოლველად შედგენილი ხარჯთაღრიცხვა.

ხარჯთაღრიცხვა ითვალისწინებს 2 სამეცნიერო - გამომკვლევი ექსპედიციის შექმნას კვალიფიკაციურ სპეციალისტებისაგან. ამ ექსპედიციაში შევლენ: ტერაპევტი, ნევროპატოლოგი, დერმატოლოგი, გემოტოლოგი, ჰიგიენისტი — ქიმიკოსი და სხვა. ექსპედიციები იმუშავებენ ზუგდიდის, სენაკის, ოზურგეთის, და ქუთაისის მაზრებში 3 თვის განმავლობაში.

საჭირო მედიკამენტების შესაძენად გადადებულია — 27.000 მანეთი. პელაგრით დაავადმყოფებულთა სტაციონალური მკურნალობის მიზნით ზუგდიდის და ოზურგეთას აღმასკომებს დაევალა სამაზრო საავადმყოფოებში გამოჰყონ ხუთ - ხუთი საწოლი, ხოლო ქუთაისის საოლქო აღმასკომს დაევალა 10 საწოლის გამოყოფა. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი ტერაპევტიულ და დერმატოლოგიურ კლინიკებთან გამოჰყოფს 25 საწოლს პელაგრის შესასწავლად და მასთან საბრძოლველად.

გარდა ამისა სახკომსაბჭომ საჭიროდ ჩასთვალა კარგი ხარისხის პურის მიწოდება იმ ადგილებში, სადაც გავრცელებულია ეს სნეულება. ამიერ - კავკასიის ვაჭრობის სახ. კომისარიატს ეთხოვა მიიღოს სასწრაფო ზომები პელაგრასთან საბრძოლველად ხორბლის და ბრინჯის ქატოს შემოსატანად.

წითელი ჯვრის საზოგადოებას დავალებული აქვს სპეციალური საწოლების რიცხვის გადიდება იმ პუნქტებში, რომლებიც იმყოფება პელაგრიან ადგილებში.

ამიერ - კავკასიის სახკომსაბჭოს წინაშე აღძრულია შუამდგომლობა პელაგრასთან საბრძოლველად 40.000 მანეთის გაღების შესახებ, სარეზერვო ფონდიდან.

# ფშავ-ხევსურეთის შესწავლა

## საქ. მუზეუმის ექსპედიციის დაბრუნება

დაბრუნდა საქართველოს მუზეუმის ეთნოლოგიური ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობდენ გ. ჩიტაია და ვ. ლომია. ექსპედიცია მუშაობდა ხევსურეთსა და ფშავში, სადაც ის გაგზავნილი იყო მოსახლეობის ყოფა - ცხოვრების შესასწავლად და ეთნოგრაფიული კოლექციების შესაძენად.

ექსპედიციამ ხევსურეთში დაჰყო 1½ თვე და მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია. წვრილმანებით იქნა შესწავლილი ხევსურეთ მატერიალური კულტურა: საცხოვრებელი ბინები, სასოფლო - სამეურნეო იარაღები, შინამრეწველობა (ხის დამუშავება, ქსელვა, ოქრო-მჭედლობა) და სხვ.

ექსპედიციამ მოახერხა დაწვრილებით გაცნობოდა ხევსურების სარწმუნოებას, საკულტო შენობებს და სარიტუალო საგნებს. აღწერილია ხევსურული „ხატობის" სრული რიტუალი; ჩაწერილია ზედმიწევნით. ხუცობის (წარმართული ხანის ლოცვა-ვედრების ნაშთია) ტექსტები და მათი სხვადასხვა ვარიანტი. გამორკვეულია ხევსურული „ხატის" მსახურთა იერარქია. ექსპედიციამ აღმოაჩინა ხევსურეთის ქადაგების საიდუმლო ენა.

ექსპედიციამ ფშავში რამოდენიმე სამარშრუტო ექსკურსია შეასრულა იმ მიზნით, რომ ფშაველების ყოფა - ცხოვრების დამახასიათებელი ტიპიური სოფლები შეერჩია შემდგომი ეთნოლოგიური მუშაობისათვის. ექსპედიციამ ჩამოიტანა ხევსურეთის და ფშავის ყოფა - ცხოვრების მახასიათებელი დიდძალი ეთნოგრაფიული კოლექცია. ფოტო-სურათები, ნახაზები და სხვა.

# რა ხდება ადგილებზე

### სამზადისი სარაიონო ყრილობისათვის

**ლანჩხუთი**, 21 სექტემბერი. ოზურგეთის მაზრაში დაიწყო სამზადისი სარაიონო ყრილობისათვის. დელეგატების არჩევნები თემებში უკვე დამთავრებულია. სათემო კრებებზე გაშუქებული იქნა დარაიონების მნიშვნელობა, ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტიურ ნიადაგზე მოწყობის საკითხი და სხვ. კრებებზე მიღებულ რეზოლუციებში სხვათა შორის ნათქვამია: „დარაიონების საკითხის დაყენება და მისი გატარება სწორი და დროულია. დარაიონების საშუალებით ხელისუფლება უახლოვდება მშრომელ მოსახლეობას, რაც თავდებია უფრო შეკავშირებული მუშაობის წარმოების და ჩვენი მეურნეობის კოლექტიურ საფუძველზე მოწყობის".

განზრახულია სარაიონო ყრილობები დამთავრდეს ოცდა ხუთ სექტემბრამდე.

ა. ჯიბუტი.

### ხანძარი ხეთის სადგურზე

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

14 სექტემბერს ღამის 1 საათზე და 30 წუთზე, შავი ზღვის რ-გზ. ხეთის სადგურთან ცეცხლი გაუჩნდა სამუშაო იარაღების და სხვა მოწყობილების საწყობის შენობას. ცეცხლი გადაედებოდა სადგურის შენობასაც და აგრეთვე საკრედიტო ამხანაგობის ფარდულს, მაგრამ რ-გ. მუშა - მოსამსახურეების და გლეხების ენერგიული მუშაობით და სადგურის ცეცხლის მქრობელი რაზმის საშუალებით ერთი საათის ბრძოლის შემდეგ ცეცხლი ჩაქრობილი იქნა. ცეცხლისაგან მიყენებული ზარალი და ცეცხლის გაჩენის მიზეზი ჯერ - ჯერობით არაა გამორკვეული. 15 სექტემბერს, 12 საათზე ხანძარის ადგილას გამოცხადდა რ-გზის ადმინისტრაცია. ხანძრის გაჩენის მიზეზი ირკვევა.

გ. ცხადაია.

### ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი

**ახალსენაკი**, 20 სექტემბერი. ჯერ-ჯერობით მაზრაში გავრცელდა ობლიგაციები: ქალაქის ფარგლებში—87.990 მანეთის, რკინისგზაზე —44.515 მანეთის და სოფლის მუშა-მოსამსახურეთა შორის 21.340 მანეთის.

### მეცადინეობის დაწყება

**ახალსენაკი**, 20 სექტემბერი. ყველა სკოლაში დაიწყო მეცადინეობა. უადგილობის გამო, განსაკუთრებით ტეხნიკუმებში და ათწლედებში, სკოლაში შესვლის მრავალი მსურველი გარედ დარჩა. (ადს)

### შვიდწლედის შენობა

**ახალსენაკი**, 20 სექტემბერი. სოფელ ძველ აბაშაში, თვითდაბეგვრის გზით შეგროვილი ფულით, შენდება შვიდწლედის შენობა. შენობა ჯდება 15.000 მანეთზე მეტი. (ადს)

### 1907 წელს დაბადებულთა გაწვევა

**ფოთი**, 20 სექტემბერი. ფოთში დამთავრდა 1907 წელს დაბადებულთა არმიაში გაწვევა. სულ გაწვეული იყო 161 კაცი. გამოცხადდა 155. დანარჩენი ვერ გამოცხადდა საპატიო მიზეზის გამო. გაწვევა აღფრთოვანებით ჩატარდა. (ადს)

### პურის ქარხანა

**ფოთი**, 20 სექტემბერი. ადგილობრივმა მუშკოოპმა მოაწყო პურის ქარხანა, რომელიც ჯერ-ჯერობით დღე-ღამეში აცხობს 8.000 კილოგრამ პურს. ქარხნის ამუშავების გამო პურის გაყიდვის საქმე მთლიანად მუშკოოპის ხელში გადავიდა; ქალაქში გახსნილია პურის გამყიდველი პუნქტების საკმაო რიცხვი. (ადს)

### ფარული ტროცკისტული მუშაობისათვის

**სოხუმი**, 21 სექტემბერი. საქართველოს კომკავშირის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმმა ფარული ტროცკისტული მუშაობისათვის გალის კომკავშირის ორგანიზაციიდან გარიცხა 34 კომკავშირელი. (ადს)

# ფიზკულტურა და სპორტი

### პროფკავშირების ფიზკულტურის ორკვირეული

საქ. პროფსაბჭომ ყველა პროფორგანიზაციებს მიმართა წერილით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ფიზკულტურის მასიური სახეების განვითარებისა და მასში უფროსი ასაკის მუშების, მუშა - ქალების და მუშა-ახალგაზრდობის ჩაბმის მიზნით, ს. პ. კ. ს. საჭიროდ სცნო 29 სექტემბრიდან 13 ოქტომბრამდე ჩატარებული იქნეს საქართველოს პროფკავშირების ფიზკულტურის ორკვირეული.

წინააღმდეგ ფ. კ. ჩვეულებრივ დღესასწაულებისა, რომლებშიაც საჩვენებელ-შეჯიბრებითი ნაწილი სჭარბობს და რომლებშიაც მასა პასიური რჩება, ორკვირეულის მიზანია პირველ რიგში გამოიწვიოს ამ მასის მაქსიმალური აქტივობა, ჩააბას იგი ფ. კ. ყველა სახეებში, და ჩაატაროს მისი ფართო აგიტაცია. ამისათვის მობილიზაცია უნდა ეყოს პროფკავშირების ყველა კულტორგანიზაციებს, ფ. კ. ყველა ინსტრუქტორებს, მთელ ფ. კ. აქტივს, ყველა კულტდაწესებულებებს, სტადიონებს, მოედნებს. წყალსადგურებს და სხვ.

ორკვირეულის დროს საქართველოს ყველა პროფორგანიზაციებმა უნდა ჩაატარონ:

ფ. კ. მასიური ექსკურსიები და გასეირნებანი ქალაქს გარედ; ფ. კ. ფართო პოპულარიზაცია — არა მარტო როგორც გართობის საშუალებისა, არამედ როგორც მუშათა კლასის გაჯანსაღების, პროფ-მავნებლობასთან ბრძოლის, სამხედრო მომზადების და ინტერნაციონალურ კლასობრივ აღზრდის საშუალებისა; მასიური შეჯიბრებანი ფ. კ. ცალკე სახეების მიხედვით, როგორც ცალკე დაწესებულებების შიგნით, ისე ფ. კ. წრეებს შორის; შეჯიბრების აუცილებელი პირობა უნდა იყოს კავშირის წევრების ჩაბმა ფიზკულტურაში.

ამასთან ერთად ორკვირეული გამოყენებული უნდა იქნეს ფ. კ. ორგანიზაციულად გამაგრებისათვის, ფიზკულტუროსნების კლასობრივ აღზრდისათვის და ფ. კ. შიგნით სხვადასხვა გადახრებთან ბრძოლის მიზნით (ცალმხრივი გატაცება ფ. კ.-ით; ფიზკულტუროსნების ჩამოშორება პროფკავშირების ორგანიზაციებისაგან და მათ კულტურულ - განმანათლებელ მუშაობიდან, ზოგიერთი მახინჯი მოვლენა: ლოთობა, ხულიგნობა, ერთი წრიდან მეორეში გადარბენა და სხვა).

ორკვირეული ამავე დროს უნდა გახდეს პროფკავშირების სრულიად საკავშირო ფ. კ. დღესასწაულის 1930 წელში მოსამზადებელ მუშაობად.

ფ. კ. ორკვირეულის ჩატარება დანიშნულია საქართველოში 29 სექტემბრიდან 13 ოქტომბრამდე.

29 სექტემბერს თბილისში დილის 12 საათზე ლენინის სახელობის მოედანზე ჯომარდ მოხდება თამაშობათა საშემოდგომო სეზონის გახსნა — ფეხბურთის სეზონის დაწყება. ყველა ჯომარდ თამაშობათა გუნდები ვალდებული არიან გამოცხადდნენ ფორმაში დილის 10 ნახ. საათზე (გათამაშების წესების მოსასმენად).

დღის 4 საათზე მოხდება გემო-კვების მუშაკთა მოედნის გახსნა. ფრენბურთის სეზონის დაწყება (პლეხანოვის 95). **სალამოს 5** საათზე — ველოდრომზე კალათბურთის სეზონის დაწყება.

ტრამვაის მუშათა კლუბში სალამოს 8 საათზე საზეიმო სხდომა ფიზკულტურის წრეების აქტივისა ფ. კ. ორკვირეულის და სოფლად ლაშქრობის შესახებ. ფიზკულტურული კონცერტი.

### „დინამო" 2—ნაკრები პროფკავშირები 2

დღეს, 22 სექტემბერს, დინამოს სტადიონზე გაიმართება „დინამო — მეორეს" და პროფკავშირების მეორე ნაკრები გუნდის ამხანაგური შეჯიბრება.

მატჩი დაიწყება ნაშუადღევის 4 საათზე.

მთელი წმინდა შემოსავალი გადადებულია ინდუსტრიალიზაციის ფონდის გასაძლიერებლად.

### შეჯიბრება წყალჯომარდობაში

30 სექტემბერს თბილისის საბანაო სადგურში (ვერის პარკი) გაიმართება შეჯიბრება წყალჯომარდობაში. შეჯიბრების პროგრამაში შედის სტილიური ცურვა (ყველა კლასიკურ სტილების დემონსტრაცია), წყალწაღებულის გადარჩენა, ცურვა 50 და 100 მეტრზე, წყალბურთის მატჩი და სხვა.

შეჯიბრება დაიწყება ნაშუადღევის 4 საათზე.

# შემთხვევები

### დაღრჩობა

19 სექტემბერს, დილის 5 საათზე მუხტაიდის შესახ. № 4, სას.-სამეურნეო სკოლის სარწყავ აუზში ბანაობის დროს დაიღრჩო „სამშენი"-ს მუშა ეფრემ ხაჩატურისძე რომანიანცი.

დამხრჩვალის გვამი გადაიგზავნა ქალაქის 1-ლ საავადმყოფოში.

### ურმის ქვეშ

რკინის გზის ლიანდაგს გადაღმა, აგურის ქარხნებთან, ურმის ქვეშ მოხვდა 7 წლის ვახტანგ მანუკიანი (მცხ. რიყის ქ. № 10), და მძიმედ დაშავდა. მეურმე შავერდაშვილი დაპატიმრებულია.

### დაჯახება

საბურთალოზე ავტო - მანქანა № 211, რომელსაც მართავდა შოფერი გიორგი კაპანაძე დაეჯახა 9 წლის ბავშვს, ჰეიდარ მამედისძე ვერდოვს და მძიმედ დააშავა. ბავში გადაიგზავნა რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

შოფერი დაპატიმრებულია.

### თავის დაჭრა

მოქ. ნატალია ზაქარიას ას. თუმანიშვილმა უცაბედათ დაიჭრა თავი რევოლვერით.

დაჭრილი მოთავსებულია რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

### ქურდობა

— გაქურდეს მოქ. ნიკოლოზ პავლესძე არხანგელსკის ბინა (გრიბოედოვის ქ. № 49), წაღებულია 200 მან. სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

— გაქურდეს მოქ. ზაქარია ნერსესასძე დვალოვის (დიდი ვანქის ქ. № 8) ბინა. წაღებულია 150 მან. ნივთები.

— გაქურდეს მუშკოოპის მაღაზია № 49, (საბურთალოში), წაღებულია 596 მანეთის საქონელი.

### ჯიბგირობა

— მოქ. ბიქტორ ბეჩკოვს (მცხ. ქ. ბაქოში) მონადირეთა კავშირის მაღაზიაში ჯიბიდან ამოაცალეს 150 მან. და სხვადასხვა საბუთები.

— მოქ. არტემ ველიანცს თავისუფლების მოედანზე ჯიბიდან ამოაცალეს 55 მან.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

კვირას, 22 სექტემბერს, დილის 9 საათზე, **საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იწვევს თათბირს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საკითხების ირგვლივ.** საჭიროა დაესწრონ ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქების და მაზრების ყველა პოლიტგანათლების გამგეები, პროფკავშირთა ცენტრალური გამგეობების და კოოპერაციის კულტგანყოფილებების გამგეები, ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების, „წერა-კითხვა"-ს და ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილების წარმომადგენლები.

დღის წესრიგი:

1. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ამოცანები; 2. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის გეგმა საქართველოში; 3. მოხსენებები ადგილებიდან წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიმდინარეობის შესახებ თბილისში, კახეთში, ქიათურაში, ახალქალაქში, ქუთაისში და ზუგდიდში.

პოლიტგანათლების გამგეებს და პროფკავშირების ცენტრალური გამგ. და კოოპერაციის კულტგანყოფილებათა გამგეებს ევალებათ გამოცხადდნენ თათბირზე თავიანთი წერილობითი მოხსენებებით წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის წარმოებული მუშაობის მსვლელობის შესახებ.

**ორშაბათს 23 სექტემბერს** სალამოს 5 საათზე მოწვეულია აღმასბიუროს კომფრაქციის გაფართოებული სხდომა პარტ-კომკავშირის ბიურო - კოლექტივის, პროფკომის კომფრაქციის, ცალკე პარტკომკავშირის უჯრედების ბიუროების წევრებთან ერთად, სადაც განსახილველია ფრიად სერიოზული საკითხები; დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

**ორშაბათს, 23 სექტემბერს, სალამოს 6** საათზე, შესდგება კომუნალური ბანკის უჯრედის წმენდა (ბანკის შენობა) გამწმენდი კომისიის შემადგენლობა: თავმჯდომარე — ამხ. ვოლსკი, წევრები — როსტიაშვილი და მარიამ ორახელაშვილი.

**სამშაბათს, 24 სექტემბერს, დღის 12** საათზე, კომკავშირის თბილისის თბილისის ორგანიზაციის აგიტპროპგანყოფილებაში (რუსთაველის პროსპექტი № 20) შესდგება თათბირი სწავლების დღის ჩატარების შესახებ. თათბირზე აუცილებლად უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: **ადამია** და **ოსიპოვი** (კომპარტიის თბილისის კომიტეტიდან), **არუთინოვი** და **ქრონზერი** (საქართველოს პროფსაბჭოდან), **სოსიანი** (თბილისის პოლიტგანი), **ბუჯიაშვილი** (კომკავშირის ცეკას აგიტპროპგანყოფილებიდან). საზოგადოება „წერა-კითხვა"-ს, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წარმომადგენლები და ყველა უჯრედების აგიტპროპები.

თბ. სახ. უნივერსიტეტის აგროფაკთან არსებული 1-ლ მე-2 კურსის ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ სწარმოებს მიღება საზაფხულო არდადეგების დროს გაცემული ანკეტებისა და საკავშირო დახასიათებების, აგრეთვე ახალ წევრთა რეგისტრაცია. რეგისტრაცია იწარმოებს კ. კავშირის ბიურო - კოლექტივში, შემდეგ დღეებში: 1) ორშაბათობით — 12 — 2 საათამდე, 2) ოთხშაბათობით 12 — 2 საათამდე, 3) შაბათობით 12 საათიდან 2 საათამდე.

**ორშაბათს, 23 სექტემბერს, დღის 12** საათზე შესდგება სახ-უნტის ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივის სხდომა; ბიურო-კოლექტივის წევრ - კანდიდატებისათვის დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

# ოფიციალური განყოფილება

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1929—30 წელს წყლის გამოსაღების ჩატარების შესახებ" გამოცემულ 1929 წ. სექტემბრის 10-ს დადგენილების მესამე მუხლისთვის შენიშვნის დამატების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1929—30 წელს წყლის გამოსაღების ჩატარების შესახებ" გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 10-ს დადგენილების მესამე მუხლს (გაზ. „კომუნისტი"-ს 216—2562 №-ში 1929 წ. სექტემბრის 19-სა) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„შენიშვნა. წყლის გამოსაღები არ უნდა გადახდეს იმ წყალმოჰმქმედ საწარმოს, რომელიც წყალს ხმარობს როგორც ამომძრავებელ ძალას ან ტეხნიკური და სამრეწველო მიზნით პირდაპირ ბუნებრივ წყალსათავისიდან (მდინარიდან, ტბიდან და სხვ)".

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
**გ. მგალობლიშვილი.**
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
**პ. მეგრელიშვილი.**
1929წ. სექტემბრის 17.
თბილისი-სასახლე.

---

თეთნულდზე ასვლის დროს ტრაგიკულად დაღუპულ

## სიმონ ჯაფარიძის

მშობლები, დები და ძმები გულითად მადლობას უცხადებენ ყველა იმ ორგანიზაციებს, დაწესებულებებს და კერძო პირთ, რომელთაც ამა თუ იმ სახით პატივი სცეს განსვენებულის ხსოვნას, განსაკუთრებით: ზემო-სვანეთის აღმასკომს და მის თავმჯდომარეს ამხ. ნავერიანს, პარტკომის მდივანს ამხ. დოლიძეს, გვამის მპოვნელ შვიდ თავგანწირულ მონადირეს: ტელემაკ ჯაფარიძეს, მასწავლებელ ვალიკო ყრუაშვილს, პავლე, გოჯი და მუსა ზურაბიანებს, არჩილ გუჯეჯიანს და ბართლომე ავალიანს, უანგარო მეგობარს შოთა მიქელაძეს, გადმოსვენებაში ხელის შემწყობ სვანებს და ამხ. სერაფიონ გედენიძეს. 3257

---

გაუბედურებული მშობლები: დედა ანეტა სულაქველიძე-კოტრიკაძისა, მამა ირაკლი კოტრიკაძე და უახლოესი მეგობარი მიშა თევდორაძე აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ კვირას, 22 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ერთად-ერთი შვილის

## შ უ შ ი კ ო ს

ხსოვნის აღსანიშნავად. 2—1 3203

---

მე-33 შრომის სკოლის ყოფილი მოწაფეები: ქსენია ცინცაძე, ელიკო ორაგველიძე, ლიდა მანჯგალაძე, ალიოშა ცინცაძე, მანია თურქესტანიშვილი, ოლია სიმონიშვილი, მაიკო მგალობლიშვილი, კატო ისაკაძე, ვასო და მარო ძიძიშვილები, თინა მაღლაკელიძე აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ უდროოთ დაკარგულ

## შუშიკო კოტრიკაძის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, (კვირას, 22 სექტემბერს), სალამოს 4 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. (ე)

---

უახლოესი მეგობარი მიშა თევდორაძე აუწყებს ნაცნობებს, ნათესავებს და მეგობრებს, რომ კვირას, 22 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უძვირფასესი მეგობრის, სიცოცხლით სავსე ცქრიალა

## შ უ შ ი კ ო ს (ჩემო)

ხსოვნის აღსანიშნავად. 3204

---

მეუღლე ნინო, შვილები: არჩილ, თამარ, ირაკლი, ქეთევან, ნინო, რუსუდან, გიორგი და ელო, რძლები: ბარბარე, ლიუდმილა და ნინო, სიძეები: ივანე ეპიტაშვილი და გოგი გუგუნავა და შვილიშვილები: მანანა, თინა, თამარი, ეთერი, ბიძინა და ლია მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## ნიკოლოზ იაკობის-ძე ავალიშვილი

გასვენება ბინიდან მლეთის ქუჩა 22, კვირას, 12 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. 3254

---

გულდამწვარი მშობლები: ლევანტი და ნატალია, ძმა ვახტანგი ანთიძეები და თამარი, სიძე შალიკო ჩიბოლიშვილები აუწყებენ მოკეთეებს და მეგობრებს მათთვის ძვირფასი პატარა

## გ ო გ ა ს

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 3 საათზე ბინიდან. ბროსეს ქ., № 4, ვერის ახალ სასაფლაოზე. 3260

---

ულრმეს მწუხარებაში მყოფი მეუღლე ოლღა შვილებით—შალია, ვალია, კირილე და ოლიჩკა მადლობას უცხადებთ თანაგრძნობისათვის ნათესავთ, ნაცნობთ და დაწესებულებას, სადაც მსახურებდა განსვენებული

## კირილე კონსტანტინეს-ძე ჭყონია

(ე)

---

მთავარ სახელოსნოების სალითონო საამქროს პარტუჯრედი და ამავე საამქროს მუშა-მოსამსახურეები გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას ამავე უჯრედის აქტიურ წევრის, საამქროს გამგის თანაშემწის ამხ.

## ალექსანდრე ფარსადანის-ძე კობულაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას, 22 სექტემბერს, შუადღის 12 საათზე, სუნჟენის ქ. № 8. 3243

---

ს. მიხეილიძე, ი. ნარსია, პ. იაშვილი, შ. ელიავა, ზ. ელიავა, ა. საბახტარიშვილი, მ. წულეისკირი, ბ. რამიშვილი, დ. ლომაძე, ა. კაკაბაძე, მ. გოგიბერიძე, ნ. გაბილაია, ფ. ხუნდაძე, ა. გაგუა, ა. ნიკოლაიშვილი და ნ. ქადაგიძე ამით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 18 სექტემბერს, ქ. აბასთუმანში გარდაიცვალა ძვირფასი ამხანაგი და მეგობარი

## ირაკლი არჩევანის-ძე ურუშაძე

სამოქალაქო პანაშვიდი შესდგება სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბის დარბაზში (რუსთაველის პრ. № 21), კვირას, 22 სექტემბერს, დღის 12 საათზე. 3256

---

| | |
|---|---|
| აპოლო (საზამთრო) | **გენერალი** ბესტერ კიტონის მონაწილეობით<br>23 სექტემბრიდან „გენერალი" |
| სოლეი | უცხოეთის ახალი სურათი **საქმის კაცი**<br>23 სექტემბრიდან იგივე სურათი |
| მინიონი | **ბოქსერის საცოლე**<br>23 სექტემბრიდან იგივე სურათი. |
| საზაფხულო აპოლო | **დედაბერი № 99**<br>23 სექტემბრიდან-„მოულოდნელი გმირი" |
| საზაფხულო ეთერი | **ივანე და შურისმაძიებელი**<br>23 სექტემბრიდან „ვიდოკ" 1-ლი და მე-2 სერია |
| საზაფხულო პალასი | **ვიდოკ** 1 და 2 სერია ერთად<br>23 სექტემბრიდან მე-3 და მე-4 სერია |

პირველი სეანსის დასაწყისი საზამთრო კინოებში სრულ 6 საათსა და 30 წუთზე. შესვლა სეანსების მიხედვით 0—19

---

## „კომუნისტი"

### მიიღება ხელის მოწერა ოქტომბრის თვისათვის

### გაზეთი ეღირება

| მუშების, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებელთათვის | დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის |
|---|---|
| წლის დამლევამდე | წლის დამლევამდე |
| 3 თვით—2—90 | 3 თვით—3—80 |
| 2 თვით—2— | 2 თვით—2—60 |
| 1 თვით—1— | 1 თვით—1—30 |

0—1

---

## გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

აცხადებს ყველა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საყურადღებოთ, რომ როგორც ქალაქებში, ისე სოფლათ, **ჩვენს** გაზეთზე ხელის მოწერას **იღებენ** როგორც მთავარი კანტორის რწმუნებულები და აგენტები, ისე ფოსტა-ტელეგრაფის ყველა დაწესებულებები და წერილის დამტარებლები. 0—2

---

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის უწყებაში მყოფი ადმინისტრატიულ ტეხნიკის

**სახელმწიფო კურსები** მსმენელთა მიღება დაიწყო უმაღლეს ტიპის

## საბუღალტერო სექტორზე

კურსის პრაქტიკული შესწავლა, ანგარიშწარმოების სპეციალური დარგების დაყოფით, უკანასკნელად მიღწეული ტეხნიკის და ანგარიშის ფორმების გამოყენების საფუძვლებზე.

მეცადინეობა დაიწყება 15 ოქტომბრიდან. გამოცდების შემოდგომის სესია 28/29 წლის მსმენელებისათვის დანიშნულია 5—15 ოქტომბერს.

დაწვრილებითი ცნობების გაცემა და აგრეთვე მსმენელთა ჩაწერა სწარმოებს ყოველდღიურად საღ. 7—9 საათამდე ა.-კ. კომუნისტურ უნივერსიტეტის შენობაში, შიო ჩიტაძის ქ. (ყოფ. ერმოლოვის) ოთახი 17, 1-ლი სართული. ნ. 3239

---

საზაფხულო

## აპოლო

(დარბაზის ბაღში)

ორშაბათიდან, 23 სექტემბრიდან

მხატვრული ფილმი

## მოულოდნელი გმირი

რეჟისორი—ტერეშჩენკო

ოპერატორი—რონა

მთავარ როლებში: ა. კუც და ა. მიხაილოვა. ნ. 3241

---

ე ქ ი მ ი

## ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116, საფტიმო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67 25—1.

---

## ბათომის საბაჟო

აცხადებს, რომ მისი ა. წ. 14 სექტემბრის დადგენილებით № 829, თურქეთის მოქ. ალი-ფუადის და დეკერზის საქონელი, სახელდობრ, სინათლის მგრძნობი ქაღალდები 41 ყუთი, შემოტანილი ნებართვით №№ 218710 და 218842—1928 წ. საბაჟოს მიერ ცნობილია კონტრაბანდათ. განსაჩივრება დადგენილებისა შეიძლება ერთი თვის ვადაში ბათომის საბაჟოს საშუალებით.

ბათომის საბაჟო.

ნ. 3299 3—2

---

## მუშკოოპის წევრთა საყურადღებოდ

ორდერების გაცემა შეშის მისაღებათ შეწყვეტილია 20 X-დე. შეშის გაცემა არ სწარმოებს შეშის უქონლობის გამო, რადგან რკინისგზამ არ შეასრულა ვაგონების მიწოდების გეგმა. შეშის გაცემის განახლების შესახებ ცალკე ცნობა იქნება გამოქვეყნებული. მუშკოოპის წევრები, რომლებსაც ორდერები აქვთ, უზრუნველყოფილი იქნებიან შეშით.

ცნობების მიღება შეიძლება მუშკოოპის სათბობ მასალათა განყოფილებაში—მაზუთის შესახვ. № 5, ტელ. 11—99.

მუშკოოპის სათბ. მასალათა განყოფილება.

ნ. 3240 2—1

---

## 1-ლი სახელ. სამუსიკო მუშფაკი

(ლენინის უბანი ლოტკის ქ. № 36).

განცხადებების მიღება გაგძელებულია 25-მდე. განცხადებასთან ერთად უნდა წარმოდგენილი იქნეს:

1. მოწმობა დაბადების შესახებ.
2. მოწმობა მშობლების სოციალურ მდგომ. შესახებ.
3. მოწმობა ჯამაგირის ან რაიმე შემოსავლის რაოდენობის შესახებ.

მისაღები გამოცდები 26 სექტემბერს. სწავლა დაიწყება 1-ლ ოქტომბერს. კანცელარია ღიაა ყოველდღე საღ. 4 ს. 8 ს. 3247

---

## გაზ. „კომუნისტი"-ს გამომცემლობა ამით აცხადებს

წლიური („კაპიტალი"-ს დამატებით)

### ხელისმომწერთა საყურადღებოთ

რომ ა. წ. 1-ლ ოქტომბრამდის მათ გადახდილი უნდა ჰქონდეთ ცალზე **15 მან. 50 კაპ.** ვისაც ხსენებულ რიცხვისთვის 15 მ. 50 კ. სრულად არ ექნება გადახდილი, ამ რიცხვიდან მათ შეუწყდება გაზეთების გზავნა. მათი წლიური ხელისმოწერა გაუქმებული იქნება და შემდეგ არავითარი პრეტენზიები არ იქნება მიღებული. საბოლოო ანგარიშით.

პროვინციის ხელისმომწერლებმა ფული უნდა გადმოგზავნონ იმ ვარაუდით, რომ იგი მიღებული იქნეს **1-ლ ოქტომბრამდის.**

აგრეთვე იმ პირებს, რომლებსაც უკვე შეუწყდათ გაზეთის გზავნა ფულის შეუტანლობის გამო, შეუძლიათ გადმოგზავნონ დანაკლისი თანხა იმ პირობით, რომ შეავსონ მთლიანად გადასახდელი **15 მ. 50 კ.** ამ შემთხვევაში ესენიც ჩაითვლებიან წლიურ ხელისმომწერათ და გაზეთის გზავნა განუახლდებათ ფულის მიღების დღიდან. 0—1

---

### გარე-უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი

ამით აცხადებს, რომ ის ა. წ. 28 სექტემბერს დილის 10 საათზე კომუნალურ ქუჩაზე № 118 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღის მცენარეებს, ხეხილს, ბოსტნეულობას და მის მოსავალს 4-5 დესიატინაზე აგრეთვე ბაღის ინვენტარს, ცხენს და ტაჩკას შეფასებულ 5 297 მან. 45 კაპ. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის ვალში, თანახმად თბილისის მაზრა ქალაქის სასამართლოს 1929 წ. 23 ივლისის თარიღით № 327/2 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა, ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ ფასებიდან. ნ. 3238

---

### ქ. თბ. შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 24 სექტემბერს 1929 წ. დღის 3 საათზე სახლში № 2 რუსის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სასადილო „ოქროს ზღუდეს" მოძრავ ქონებას: ვენურ სკამებს, მაგიდებს, პიანინოს და სხვა სასადილოს მოწყობილობას შეფასებულს 1027 მანეთად, სახალხო კვების პროფკავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქალ. თბ. შრომის სახალხო სასამართლოსაგან 23/VIII 1929 წ. თარიღით, № 2844 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3259

---

## გაზ. „კომუნისტი"-ს

### ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზეთის ქაღალდის ეკონომიის გამო, თვის პირველ რიცხვებში გაზეთის ზედმეტი კომპლექტი არ იბეჭდება, რისთვისაც გაზეთ „კომუნისტი"-ს გამომცემლობა სთხოვს ყველა ხელისმომწერლებს, აგენტებს და კონტრაგენტებს, ხელის მოწერა მომავალი თვისათვის მოგვაწოდონ აუცილებლივ მიმდინარე თვის 30-მდე.

დაგვიანებით მიღებული შეკვეთები შესრულებული იქნება მხოლოდ იმ დღიდან, როდესაც მიღებული იქნება შეკვეთა.

**ხელის მოწერის დღეს გაზეთი არ მიეცემა.** 0—1

---

**გამოვიდა:** საქ. კ. პ. (ბ) მე-6 ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში რუსულ ენაზე გვ. 692, ქართულზე—756 გვერდი, ფასი 2 მან.

**საქ. კ. პ. (ბ) მე-6 ყრილობის რეზოლიუციები** ქართულ და რუსულ ენებზე—ფასი 15 კაპ.

**ი ყ ი დ ე ბ ა:** საქართველოს და რ.ს.ფ.ს.რ.-ს სახელგამის მაღაზიებში. 4—1

---

## ვეძებ 1—2 ოთახს

ავეჯით და მოწყობილობით. წერილობითი წინადადება უნდა გამოიგზავნოს—პლეხ. პრ. სასტ. „ევროპა", 86 ა. ანოშჩენკოს. 3210

### გავშვთა ექიმი

## ა. ზარგარიანი

დაბრუნდა

ძერჟინსკის ქ (ყოფ. პეტრე დიდის) № 3, მიღება 10—12 ს. 2—1

**დაკარგა** პურის წიგნაკი სოფიო ხაჩატუროვის სახელზე, ჩ. გ. 3260

## მათემატიკის მასწავლებელი

## ივ. მაჩაიძე

ამზადებს მათემატიკაში (არითმეტ., ალგებ., გეომეტ., ტრიგონ.) და ყველა საგნებში შვიდწლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ. (ინდუსტ. ქიმ. და რკინისგზ.) მე-9 და მე-10 ჯგ.

შესავალი პლეხანოვის ქ. № 25 ან ჩერნიშევის ქუჩის კუთხიდან № 5. 9—12 საათ. 4—6 საათ. 3253

### კბილის ექიმი

## ა. გ. სოლოღაშვილი

დაბრუნდა.

რუსთაველის გამზირი № 12. 3255 13—1

ანა ჟასილის ასული

## მიქაბერიძე

პარიზში 1923 წ. დაამთავრა

### „სილამაზის ინსტიტუტი"

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3 მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—1

ქ. ქობულეთში

### გავშვების ექიმი

## ალ. მაღალაშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 საათამდე. მესხეთის ქ. № 14. 2838 25—25

**დაკარგა:** პირადობის მოწმობა № გ/22 და რკინის გზის ბილეთი № 6223 ივანე გოზალოვის სახელზე, ჩ. გ. 3258

**დაკარგა** კავშირის წიგნაკი № 2011—გრიგოლ ივანეს-ძე ბეშიას სახელზე, ჩ. გ. 3250

**დაკარგა** კავშირის წიგნაკი № 13/26632—დავით დარისპანის-ძე თელიას სახელზე ჩ. გ. 3251

**დაკარგა** პირადობის მოწმობა № 6825 და სამტრედიის ფინინსპექტორის მიერ გაცემული რეგისტრაციის ფურცელი კიმოთე ცანავას სახელზე, ჩ. გ. 3249

**დაკარგა** პურის წიგნაკი № 5—ისიდორე ქუთათელაძეს სახელზე ჩ. გ. 3244

**დაკარგა** პურის წიგნაკის ცნობა დავით კარბელაშვილის სახელზე ჩ. გ. 3245

**დაკარგა** მოწმობა თბილისის მე 4—9 წლიანი შრომის სკოლის 1926 წ. № 2521 და თბილისის მე-8 შრომის სკოლის მეცხრე ჯგუფის მოწმობა № 2211 გაცემული 1926 წ. ბაბულია სვიმონის ასული ვანაძეს სახელზე ჩ. გ. 3241

ტირაჟი—44.601

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა. ცამოს ქუჩა № 68.